



ვამაყობთ მრავალფეროვნებით

გზამკვლევი საველე პირობებში სოკოების ამოცნობაში დაგეხმარებათ. აქ გაცნობით საქართველოში გავხვედებულ 150 სახეობის მაკრომიცეტს და მიიღებთ ინფორმაციას სოკოების აგებულების, შეგროვებისა და მოწამვის საფრთხეების შესახებ.

თითოეული სახეობა წაჩმოდგენილია შემდეგი მახასიათებლებით:

- სახეობის ქართული, ლათინური და ინგლისური სახელწოდება;
- მოხფოდოვიანი აღწერა;
- ჰაბიტატი, სუბსტრატის და სეზონულობა;
- კონტინენტური გავრცელება;
- გამოყენება (საკვებად ვაჩივსობა/ტოქსიკულობა).

The purpose of the guide is to help you identify mushrooms in the wild. Here you will learn about 150 species of macromycetes that are commonly found in Georgia.

The guide contains information on poisonous and edible mushrooms as well as the structure and gathering of the mushrooms.

In addition, the guide also covers the following information on each species of mushrooms:

- Georgian, Latin and English names of the species;
- morphological description;
- habitat, substrate and seasonality;
- continental distribution;
- use (edibility, toxicity).

With funding from



www.cenn.org



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს სოკოები


საქართველოს სოკოები

საველე გზამკვლევი

MUSHROOMS of Georgia

The Field Guide

150 სახეობა



გზამკვლევის შესახებ

გზამკვლევის მიზანია, დაინტერესებულ ადამიანებს სოკოების სავსე-
ლე პირობებში ამოცნობაში დაეხმაროს. აქ გაცნობით 150 სახეობის
მაკრომიცეტს, რომლებიც საქართველოში გავრცელებული.

**გზამკვლევი თავმოყილია ინფორმაცია სოკოების აგებულების, შე-
გოვებისა და სოკოთი მოწამვლის შესახებ. ამასთან, ყოველი სახეო-
ბის სოკოს შესახებ წაჩმოდგენილია შემდეგი ცნობები:**

- სახეობის ქახთუდი, დათინუხი და ინგლისუხი სახეღწოდება;
- მოხფოდოგიუხი აღწეხა;
- ჰაბიგაგი, სუბსგხაგი და სეზონუხობა;
- კონტინენტუხი გავჩედება;
- გამოყენება (კვებითი ღიხებუდება, გოქსიკუხობა).

საქართველოს სოკოები © CENN

შემდგენელი: ია ჯორჯაძე

ფოტოები: ია ჯორჯაძე, www.shutterstock.com

ISBN 978-9941-8-4547-5

გზამკვლევი მომზადდა პროექტის – „ტყის მდგრადი მართვის ხელ-
შეწყობა სოფლის განვითარებისათვის“ – ფარგლებში, ავსტრიის
განვითარების თანამშრომლობის – ADC-ის – ფინანსური მხარდა-
ჭერით. სავსე მეგზურის შინაარსზე პასუხისმგებელია პროექტის
განმახორციელებელი და, შესაძლებელია, არ გამოხატავდეს ADC-ის
მოსაზრებებსა და შეხედულებებს.

თბილისი, 2022

Cantharellus cibarius (მიქლიო)



Boletus edulis

რა არის სოკო?

სოკო ცოცხალ ორგანიზმთა ცალკე სამეფოა – ცოცხალი ბუნების დამოუკიდებელი და ვრცელი ჯგუფი. მცენარისაგან განსხვავებით, სოკოს არ გააჩნია ფესვი, ღერო და ფოთოლი; არ შეუძლია საკვები ნივთიერებების წარმოქმნა და, ცხოველების მსგავსად, საკვებად მზა ორგანულ ნივთიერებებს იყენებს; ხოლო, ხავსებისა და გვიმრების მსგავსად, სპორებით მრავლდება. ტერმინში „სოკო“, როგორც წესი, თვალით ხილული, ნაყოფსხეულების მქონე – მაკრომიცეტები მოიაზრება.

ღლებისათვის საქართველოში სოკოების 7,000-მდე სახეობაა აღიგნებული. მათგან 1,300-სახეობამდე მაკრომიცეტია.

სოკოების შემსწავლელ მეცნიერებას მიკოლოგია ეწოდება.

სად იზრდება სოკო?

სოკო მცენარეულობის ყველა ტიპში გვხვდება. ის სხვადასხვა პირობებსა და სუბსტრატზე (გარემო, საიდანაც სოკო საკვებ ნივთიერებებს იღებს) იზრდება. მაკრომიცეტების უმრავლესობა ტყეებსა და ტყისპირებშია გავრცელებული. გარკვეული სახეობები გვხვდება მინდვრებში, ბაღებსა და პარკებში, სტეპებში, ნახევარუდაბნოებში, ჭაობებში და სხვ.

Sarcosypha coccinea



რა როლი აქვთ სოკოებს ბუნებაში?

სოკოებს ბუნებაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ, კერძოდ, დიდი ეკოლოგიური და ეკონომიკური წვლილი შეაქვთ დედამიწის ბიოსფეროში. **სოკოები თანამონაწილეობენ ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორებიცაა:**

- **ოხგანუდი მასალებისა და ნივთიერებების დაშლა და მინერალიზაცია;**
- **ნიადაგის გამჭორობის მოდიფიკაცია და აჩევიჩების ხედშეწყობა;**
- **ნიადაგწაჩმომქმნის მიკობიოლოგიური პოცესები, მათ შორის, ჰუმუსის ნივთიერებების სინთეზი;**
- **თესვების გაღვივების გაადვილება, მათი საფაჩვედის დაშლის გზით;**
- **ბიონდიკაცია, ანუ სოკოებისა და ღიქუნების (სოკოსა და წყაღმცენახისგან შედგენილი ოხგანუდები) გამოყენება გაჩემოს დაბინძურების (მათ შორის, ტყის მდგომარეობის) ინდიკატორად და სხვ.**

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოკოს, როგორც მიკორიზის წარმომქმნელს:

მიკორიზა ქურჭლოვან მცენარეთა ფესვებისა და სოკოს ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრებაა. ასეთ დროს, სოკოს ჰიფები (აბლაბუდისებრი ძაფები, რითაც სოკო ნიადაგზეა დამაგრებული) გარს ეხვევა მცენარის ფესვებს და ამით ზრდის ფესვის შეხების არეალს ნიადაგთან. შედეგად, მცენარე უკეთ შეიწოვს წყალსა და მინერალებს, ხოლო სოკო მცენარისგან თავისთვის საჭირო საკვებ ნივთიერებებს იღებს.

როგორი მაკრომიცეტები გვხვდება?

მაკრომიცეტების უმრავლესობა ერთიანდება ბაზიდიუმიანი სოკოების (**ბაზიდიომიცეტები**) ჯგუფში (როგორებიცაა: **ქუდიანი სოკოები, აბედები, საჩეჩელები, ფშუკუნები** და სხვ.), ხოლო ნაწილი – ჩანთიანი სოკოების (**ასკომიცეტები**) ჯგუფში (ასეთებია: **ჭამა სოკო, უნაგირა სოკო, ხარისფაშვა, ტრიუფელები** და სხვ.).

სოკოს აგებულება

სოკო მინისზედა და მინისქვეშა ნაწილებად შეგვიძლია განვიხილოთ. მინისზედა ნაწილი, ანუ ნაყოფსხეული, ჩვენთვის იმთავითვე ხილულია, როდესაც მას ტყეში, მინდორში ან სხვა ადგილას ვაგროვებთ. **ნიადაგს ან სხვა სუბსტრატს სოკო ემაგრება აბლაბუდისებრი**

ძაფებით, რომელსაც მიცელიუმს ვუწოდებთ. მიცელიუმი წვრილი, დატოტვილი და ერთმანეთში გადახლართული ძაფების (ჰიფების) სისტემისგან შედგება.

სოკოს ფორმა

ფორმის მიხედვით, სოკოს ნაყოფსხეული შეიძლება იყოს ბოლქვისებრი, ბრტყელი, დისკოსებრი, ენისებრი, თაროსებრი, მარჯნისებრი, მსხლისებრი, სფეროსებრი, ქოლგისებრი, ძაბრისებრი, ჯამისებრი და ა.შ. როგორც საჭმელი, ასევე, შხამიანი სოკოების უმრავლესობის ნაყოფსხეული შედგება ქუდისა და ფეხისაგან, თუმცა, ზოგიერთს ფეხი არ გააჩნია.

სოკოს ქული

ფორმის მიხედვით, ქუდი შეიძლება იყოს: ბალიშისებრი, ამობურცული, ბრტყელი, გაშლილი, ენისებრი, ზარისებრი, კვერცხისებრი, კონუსისებრი, მომრგვალო, მომრგვალო-კვერცხისებრი, მრგვალად ამობურცული, ნახევარსფეროსებრი, სფეროსებრი, სფეროსებრ-ზარისებრი, ქოლგისებრი, ძაბრისებრი და ა.შ. ზრდის საწყის სტადიაში შეიძლება ჰქონდეს ერთი ფორმა, მომნიშვნელობის კი – სხვა.

ქუდის ზედაპირი, ტექსტურის მიხედვით, შეიძლება იყოს: აბრეშუმისებრ-ბოჭკოვანი, ბოჭკოვანი, გლუვი, დამსკდარი (დახეთქილი), დაღარული, ზოლებიანი, ლაქებიანი, ლორწოვანი, მეჭეჭებიანი, მშრალი, სადა, ხორცოვანი, სქელხორცოვანი, ქერცლოვანი, წებოვანი, ხავერდოვანი, ხორკლიანი და ა.შ.

ქუდის კიდეები შეიძლება იყოს: აპრეხილი, ბამბისებრ-ბოჭკოვანი, ბოჭკოვანი, დანაკვთული, რადიალურად დაღარული, დაღარულზოლიანი, ტალღოვანი, შეკეცილი, ზოგჯერ – ქეჩისებრი კერძო საბურველის ნარჩენებით და ა.შ.

ქუდის ქვედა მხარეს მოთავსებულია ფირფიტები, ფორები ან ეკლიანი წანაზარდები, რომელსაც ჰიმენიალური შრე (ჰიმენიუმი, ჰიმენოფორი) ეწოდება.

სწორედ ამ ნაწილში ვითარდება ბაზიდიუმები სპორებით. **ფირფიტებს, ფორებს ან ეკლიან წანაზარდებს შესაძლოა, სხვადასხვაგვარი განლაგება ჰქონდეს:** თავისუფალი (ფირფიტები ან ფორები ფეხს

არ ეხება), ამოკვეთილი (კბილისებურადაა შეზრდილი ფეხთან), შეზრდილი (მთელი ზედაპირითაა შეზრდილი ფეხთან) ან დაღმავალი (ფირფიტები ან ფორების ზედაპირი მთლიანადაა შეზრდილი ფეხთან და, ამავე დროს, ფეხსაც დაჰყვება ძირისკენ).

სოკოს ფეხი

სოკოს ფეხი, უმეტესად, ქუდის ცენტრშია მიმაგრებული, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, გვერდულადაც არის ხოლმე.

ფორმის მიხედვით, სოკოს ფეხი შეიძლება იყოს: ცილინდრული, ქუდისკენ უფრო წვრილი ან, პირიქით, ქუდისკენ გამსხვილებული, თითისტარისებრი, ფეხისებრ-წაგრძელებული, კვერთხისებრი, ძირისკენ გამსხვილებული, ძირისკენ მოღუნული, ძირში ბოლქვისებრ-გამსხვილებული და ა.შ.

ტექსტურის მიხედვით, სოკოს ფეხი შეიძლება იყოს: აბრეშუმისებრ-ბოჭკოვანი, ბოჭკოვანი, ბოჭკოვან-ქერცლოვანი, ქერცლოვანი, გლუვი, გრძელბოჭკოვანი, ელასტიკური, მყიფე, პრიალა, ხორკლიანი, შიგნიდან ამოვსებული (მთლიანი) ან ფუყე (ცარიელი, მილნაირი) და ა.შ.

რა უნდა გავითვალისწინოთ სოკოს იდენტიფიკაციისას?

თავდაპირველად, სოკოს ზოგიერთი სახეობა დაფარულია აპკისებრი გარსით (კერძო საბურველი), რომელიც ჰიმენიალურ შრეს (როგორც წესი, ესაა ქუდის ქვედა მხარეს განთავსებული შრე) ფარავს. მოგვიანებით, კერძო საბურველი იხევა და ქუდის კიდეზე ფთილების სახით ან ფეხზე საყელოსავით რჩება. ზოგ სახეობაში კერძო საბურველი აბლაბუდისებრია. არის სახეობები, რომლებიც ნორჩობაში მთლიანად დაფარულია აპკისებრი გარსით (საერთო საბურველი) და კვერცხს მოგვაგონებს. შემდგომ, საერთო საბურველი იხევა და ფეხის ძირზე ტოპრაკივით (ვოლვა), ქუდის ზედაპირზე კი მეჭეჭებივით ან ნაფლეთებივით რჩება. ზოგ სახეობას კერძო საბურველიც აქვს და საერთოც.

სოკოების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელია სპორების ფერის ცოდნაც. ამისთვის სპორების მტვრის ანაბეჭდი დაგჭირდებათ, რომელიც შემდეგნაირად კეთდება:

მომნივებულ ნაყოფსხეულს ჰიმენიალურ შრემდე ეჭრება ფეხი. დარჩენილი ქუდი გადანაჭრით თავსდება თეთრ ქალაღებზე, ზემოდან კი ჭურჭელი ეფარება. 4-12 საათის შემდეგ ქალაღებზე სპორების ანაბეჭდი რჩება.

მნიშვნელოვანია სპორების ფორმისა და ზედაპირის მახასიათებლებიც, რომლებიც შეიძლება იყოს: განიეროვალური, ელიფსური, ვარსკვლავისებრი, კვერცხისებრი, მომრგვალო, სფეროსებრი, გლუვი, სადა, ორნამენტებიანი, ეკლებიანი, ხორკლიანი და ა.შ.

ყურადღება უნდა მიექცეს სოკოს რბილობსაც, მის სტრუქტურას, ფერსა და სუნს.

ამ მახასიათებლების მიხედვით, რბილობი შეიძლება იყოს: ხორცოვანი, თხელხორცოვანი, წყლიანი, მშრალი, მყიფე, მოთეთრო, მოყვითალო, კრემისფერი, მომუავო, ხილის, ნუშის, ფენოლის სუნებით და ა.შ. ზოგ შემთხვევაში, გადატეხილი რბილობი ჰაერზე იცვლის ფერს ან რძისებრ სითხეს გამოყოფს.

როლის შვავაროვით სოკო?

სოკოები ყველაზე მეტი რაოდენობით (დაახლ. 95 %-მდე) ტყეებსა და ტყისპირებში გვხვდება. მათი შეგროვება ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე და, ზოგ შემთხვევაში, ზამთრის პირველ ყინვებამდეცაა შესაძლებელი.

თბილი და ტენიანი გაზაფხულის პირობებში, პირველი სოკოები (ხარისფაშვა, ლურჯფეხა, მდელოს ქამა, მინდვრის ქამა, მერცხალა სოკო და სხვ.) უკვე **მარტის შუა რიცხვებიდან შეგვიძლია შევავაროვოთ;** მომდევნო თვეებში კი სოკოს სახეობათა რიცხვი თანდათან მატულობს და, რაოდენობრივი თუ სახეობრივი თვალსაზრისით, **ყველაზე უხვად შემოდგომაზე გვხვდება.**

სოკოების სიმცირე, ჩვეულებრივ, უმეტესად ზაფხულის შუა პერიოდში აღინიშნება. გამონაკლისს წარმოადგენს უხვნალექიანი ზაფხული.

როგორც წესი, ყველაზე მეტი რაოდენობით სოკოს შეგროვება წვიმიანი ამინდების მომდევნო დღეებშია შესაძლებელი. ჩვეულებრივ, გვალვიან ზაფხულს თუ წვიმიანი შემოდგომა მოჰყვა და ჰაერის ტემპერატურამ დაინია, ხოლო შემდეგ მზიანი, თბილი ამინდი დადგა, **სოკო განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იზრდება.**

ზოგიერთი სახეობა ზამთრის პირველ ყინვებამდეც შეიძლება შეგვხვდეს (მაგ. შავჩოხა, იისფრა, ღრუბელა, მანჭკვალა და სხვა). ტყეში, ტყისპირებში, მინდვრებში, მდელოებსა და საძოვრებზე შესაძლებელია შეგვხვდეს სოკოები, რომლებიც ნიადაგზე წრიულადაა ამოსული, რასაც „ქაჯის წრეს“ უწოდებენ.

რა სისწრაფით იზრდება სოკო?

სოკოს ნაყოფსხეულის განვითარებისთვის აუცილებელია თბილი და წვიმიანი დღეები (5-6 დღე). იმის მიხედვით, თუ სოკოს რომელი სახეობაა, ნაყოფსხეულის სრულ განვითარებას, როგორც წესი, 1-7 დღე სჭირდება. ასევე, სოკოს ახასიათებს პერიოდულობა (მოსვენების ფაზები) და ერთი ან რამდენიმე წლის გამოტოვებით ნაყოფიანობა (უხვმოსავლიანობა).

როგორ შვავაროვით სოკო?

სოკოს შეგროვებისას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება მის ჰაბიტატსა (საცხოვრებელ გარემოს) და სუბსტრატს (სად და რაზე იზრდება სოკო): ტყეებში, ტყისპირებში, მინდვრებში, მდელოებზე, საძოვრებზე, ნიადაგზე, ხეებზე, ხექცეულებზე, ჩამონაცვენზე, ნაკელზე და ა.შ.

როგორც სოკოს ჰაბიტატის, ასევე, მისი სუბსტრატის ცოდნა აუცილებელია სოკოს სწორად იდენტიფიკაციისთვის.

სასურველია, შეგროვდეს ნორჩი, მკვრივი და საღი ნაყოფსხეულები. დაზიანებული (მატლებისგან, მწერებისგან, ობისგან) სოკოს შეგროვება არასასურველია, რადგან, გარდა იმისა, რომ საკვებად გამოუსადეგარია, შეიძლება სხვა ეგზემპლარებიც დააზიანოს. არასასურველია პატარა ზომის, ბოლომდე ჩამოყვანილებული ნაყოფსხეულების შეგროვებაც, რადგან მათ ჯერ კიდევ არ აქვთ სათანადოდ ფორმირებული სახეობის იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი ყველა დამახასიათებელი ნიშანი, **რის გამოც შესაძლოა, გაჭირდეს საქმელი სოკოს გარჩევა მისი შხამიანი ორეულისგან.**

სოკო უნდა მოიჭრას ძირში ან წრიული მოძრაობით მოსცილდეს სუბსტრატს. ნიადაგიდან დაუზიანებლად, ფეხის მოჭრის გარეშე ამოღების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება სოკოს კონკრეტული

სახეობის სრულფასოვნად გარკვევა, რაც სოკოს ფეხში გადაჭრისას რთულდება, რაკი ამ დროს, სოკოს მნიშვნელოვანი მახასიათებლები (ვოლვა, ფეხის დაბოლოების ფორმა და ტექსტურა) იკარგება. დაუშვებელია სოკოს გარშემო მინის გაჩიჩქნა და გათელვა, რადგან ამით ზიანდება სოკოს მიცელიუმი. ამან, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ამ ტერიტორიაზე სოკოს შემცირება. **სასურველია, ნაყოფსხეულები ადგილზევე გაინმინდოს ნარჩენებისგან** (მინა, ფოთლები, ნიწვები და სხვ.).

გაფრთხილება:

სოკოები უნდა შეგროვდეს კალათაში ან ხის კონტეინერში.

დაუშვებელია სოკოს შეგროვება პოლიეთილენის პარკში, რადგან სოკო ჩახურდება და ცილოვანი ნივთიერებები დაიშლება, რამაც გარკვეულ პირობებში შეიძლება გამოიწვიოს მეორადი მონამვლა.

დაუშვებელია საჭმელი სოკოს შეგროვება საავტომობილო გზებთან და დაბინძურებულ ადგილებთან ახლოს, რადგან სოკო, სხვა ორგანიზმებისგან განსხვავებით, ნიადაგიდან, ჰაერიდან და მერქნიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ითვისებს მძიმე მეტალებს. **სოკოს ბევრ ქვეყანაში გარემოს დაბინძურების ბიონდიკატორად იყენებენ. ამიტომ, ასეთ ადგილებში შეგროვებულმა საჭმელმა სოკომ შეიძლება მონამვლა გამოიწვიოს.**

დაუშვებელია იმ სოკოების შეგროვება, რომლებშიც ეჭვი გვეპარება. იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ სოკოთი მონამვლა, აუცილებელია, შევავროვოთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთვის კარგად ნაცნობი სოკოები.

მცდარია მოსახლეობაში გავრცელებული მოსაზრებები, თითქოს:

- მწეხები მხოლოდ კახე სოკოებს ეტანებიან;
- შხამიან სოკოებს ცუდი სუნი აქვთ;
- შხამიანი სოკოს ნახაქში ხახვი მწვანდება, ხოლო ვეხცხდის კოვზი – შავდება.

ეს და სხვა მსგავსი „ორიენტირები“, სოკოს საკვებად გამოყენების თვალსაზრისით, გაუმართლებელი და სახიფათოა.

შხამიანი სოკოებიდან განსაკუთრებული ყურადღება საკვები სოკოების შხამიან ორეულებს უნდა მივაქციოთ და, მონამვლის თავიდან აცილების მიზნით, კარგად გვახსოვდეს მათი განმასხვავებელი ნიშნები.

როგორია შხამიანი სოკო?

შხამიანად მიიჩნევა ყველა სოკო, რომელიც შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებას და ინვესს მონამვლას.

არსებობს, პირობითად საკვები სოკოები, რომლებიც ასევე შეიცავენ ტოქსიკურ, მაგრამ არა მომაკვდინებელ ნივთიერებებს. ასეთი სახეობების გამოყენება უვნებელია თერმული დამუშავების შემდეგ, კერძოდ, საჭიროა წყალში მათი წამოდულება 10-20 წუთის მანძილზე, ნახარშის გადაღვრა და კერძის მხოლოდ ამის შემდგომ მომზადება. აღსანიშნავია, რომ თერმული დამუშავება სასურველია ყველა სახეობის სოკოსათვის, რათა ინტოქსიკაციის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

სოკოებში შემავალ შხამებს, პირობითად, სამ ჯგუფად ყოფენ:

პირველი ჯგუფის (ლოკალური მოქმედების) **შხამები**, ძირითადად, საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას იწვევს და მათი მოქმედება სოკოს მიღებიდან 1-2 საათის შემდეგ ვლინდება.

სიმპტომები: მონამულს აღენიშნება გულისრევის შეგრძნება, ღებინება, მუცლის ტკივილი, სისუსტე და ფაღარათი. ასეთი მონამვლა საჭმელი სოკოს არასათანადო თერმული დამუშავების შემდეგ მიღებამაც შეიძლება გამოიწვიოს.

მეორე ჯგუფის შხამები ნერვულ ცენტრებზე მოქმედებს. ასეთ შხამებს შეიცავენ ცადამაყვანა (*Amanita muscaria*), თავჭედილა (*Amanita panterina*) და სხვ. მონამვლის ნიშნები დაახლოებით 30-40 წუთის, ხოლო ზოგ შემთხვევაში 1.5-2 საათის შემდეგ ვლინდება.

სიმპტომები: მონამულს აღენიშნება ღებინება, ჭარბი ოფლდენა, ჰალუცინაციები, მეტყველების, სმენისა და მხედველობის დროებითი დარღვევა, განწყობის მკვეთრი ცვალებადობა, ეიფორია, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა და გონების დაკარგვა.

მესამე ჯგუფის შხამები, უმეტეს შემთხვევაში, მომაკვდინებლად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე. ასეთი შხამების მოქმედება 8-48 საათის შემდეგ ვლინდება. კუჭში მოხვედრილი შხამები თავიდან არ იწვევს შესამჩნევ მონამვლას; მონამვლის ნიშნები შეიმჩნევა მაშინ, როდესაც შხამი მიაღწევს ტვინამდე და ცალკეულ ორგანოთა ფუნქციების მარეგულირებელ ნერვულ ცენტრებზე იწყებს ზემოქმედებას.

სიმპტომები: მონამულს აღენიშნება თავისა და მუცლის ძლიერი ტკივილი, სისუსტე, ღებინება, მხედველობის დარღვევა, კრუნჩხვები, ძლიერი ფალარათი, დაუოკებელი წყურვილი. სამი დღის შემდეგ დაზარალებულს ეწყება მოჩვენებითი უკეთესობა, მაგრამ სინამდვილეში ინტენსიურად მიმდინარეობს ღვიძლის დაშლა და საბოლოო შედეგი ლეტალურია.

ასეთ მონამვლას იწვევს: შხამა (*Amanita phalloides*), თეთრი შხამა (*Amanita virosa*), გაზაფხულის შხამა (*Amanita verna*), გვარების *Cortinarius*-ის, *Inocybe*-ს ზოგიერთი წარმომდგენელი და სხვა)

სოკოთი და ალკოჰოლით ინტოქსიკაცია

ზოგიერთი სოკო, მაგალითად, სილიო (*Coprinopsis atramentaria*), მგლის სოკო (*Coprinellus micaceus*) და სხვა, ალკოჰოლთან ერთად მიღებისას, მონამვლას იწვევს. სოკოს კერძთან ერთად ალკოჰოლის მიღებისას რეაქცია დაახლოებით 20-40 წუთის შემდეგ ვლინდება.

სიმპტომები: მონამულს აღენიშნება სახის სინითლე, ცხვირის წვერისა და ყურის ბიბილოების გაუფერულება, სხეულის ტემპერატურის მომატება, წყურვილის ძლიერი გრძნობა, გულისრევა და ფალარათი, აჩქარებული მაჯისცემა, ლაპარაკის გაძნელება, მხედველობის დაქვეითება. გარკვეული ხნის შემდეგ ყველა ეს სიმპტომი გაივლის, მაგრამ მეორე დღეს ალკოჰოლის კვლავ მიღების შემთხვევაში, მონამვლის ნიშნები განმეორდება.

რა განსაზღვრავს სოკოთი მონამვლის ხარისხს?

სოკოთი მონამვლის სიმძიმის ხარისხი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ, **დიდი მნიშვნელობა აქვს მიღებული შხამიანი სოკოს რაოდენობას, ადამიანის ასაკს, მისი ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობას, იმას, თუ რა სახით ჭამა სოკო** (ნედლი სოკო ყოველთვის უფრო სახიფათოა, ვიდრე თერმულად დამუშავებული).

სოკოთი მონამვლა ყველაზე სახიფათოა ბავშვებსა და მოხუცებში, რომელთა შორის სასიკვდილო შემთხვევათა პროცენტული რაოდენობა ყველაზე მაღალია. 6 წლამდე ასაკის ბავშვებში სოკოს მიღება საერთოდ არ არის რეკომენდებული.

რა მოვიმოქმედოთ სოკოთი მონამვლის შემთხვევაში?

ნებისმიერი მონამვლის შემთხვევაში, აუცილებელია გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. ექიმის მოსვლამდე, სასურველია, გამოიწვიოთ პირღებინება.

არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ ალკოჰოლი. ეს ხელს შეუწყობს შხამების სისხლში სწრაფად მოხვედრას, რაც მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებას გამოიწვევს.

სასურველია გამოყენებული სოკოს, მირთმეული კერძის ან კუჭიდან ამოღებული მასის შენახვა, რათა მისი ანალიზის შედეგად დადგინდეს, თუ რომელი სახეობის სოკომ გამოიწვია მონამვლა. სოკოს სახეობის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სათანადო დახმარების აღმოსაჩენად.

სიმბოლოების განმარტება



საკვებად ვარგისია



შხამიანია




სასიკვდილოდ მომნამლაკია




არ არის საკვებად ვარგისი


სოკოს აგებულება




ქუდის ფორმა




ამოზნეული




ნახევარსფეროსებრი




ბოხცვაკით



ჩაჭყდებილი




დაბრისებრი




კონუსისებრი


ქუდის კიდე




სწორი



ტადლოვანი




შეკეცილი




დალახულ-ზოლიანი


ფეხის ფორმა




ციდინდუდი




გუხონებში



ბოღქვისებში




გამობეხილი




ფესვისებში


ფიფიგების განდაგება ფეხთან




თავისუფალი



დაღმავადი



შეხილი



შეხილი კბილით

სოკოების საძიებელი ოჯახების მიხედვით

Ascomycota

ჩანთიანი სოკოები

Discinaceae

დისცინასებინი

1. *Discina ancilis*
2. *Gyromitra esculenta*
3. *Gyromitra gigas*

Helvellaceae

ჰელველასებინი

4. *Helvella lacunosa*

Morchellaceae

საჩისტაშვასებინი

5. *Morchella esculenta*

Sarcoscyphaceae

სარკოსციფასებინი

6. *Sarcoscypha coccinea*

Tuberaceae

ტუბერასებინი

7. *Tuber aestivum*

Basidiomycota

ბაზიდიუმის სოკოები

Agaricaceae

ჟამასებინი

8. *Agaricus abruptibulbus*
9. *Agaricus arvensis*
10. *Agaricus augustus*
11. *Agaricus bitorquis*

12. *Agaricus campestris*
13. *Agaricus placomyces*
14. *Agaricus sylvicola*
15. *Agaricus sylvaticus*
16. *Agaricus xanthodermus*
17. *Bovista plumbea*
18. *Calvatia gigantea*
19. *Chlorophyllum rhacodes*
20. *Coprinus comatus*
21. *Echinoderma asperum*
22. *Lepiota brunneoincarnata*
23. *Lepiota cristata*
24. *Lycoperdon perlatum*
25. *Macrolepiota procera*

Amanitaceae

ამანიტასებინი

26. *Amanita caesarea*
27. *Amanita ceciliae*
28. *Amanita citrina*
29. *Amanita crocea*
30. *Amanita fulva*
31. *Amanita gemmata*
32. *Amanita muscaria*
33. *Amanita ovoidea*
34. *Amanita pantherina*
35. *Amanita phalloides*
36. *Amanita rubescens*
37. *Amanita vaginata*
38. *Amanita verna*

Auriculariaceae

აუჩიკულაჩისებინი

39. *Auricularia auricula-judae*

Bankeraceae

ბანკეხასებინი

40. *Sarcodon imbricatus*

Boletaceae

ბოლეტუსისებინი

41. *Boletus edulis*
42. *Imleria badia*
43. *Leccinellum crocipodium*
44. *Leccinellum griseum*
45. *Leccinum aurantiacum*
46. *Leccinum scabrum*
47. *Neoboletus erythropus*
48. *Rubroboletus satanas*
49. *Suillellus luridus*
50. *Tylopilus felleus*
51. *Xerocomellus chrysenteron*
52. *Xerocomus subtomentosus*

Cantharellaceae

მიქლიოსებინი

53. *Cantharellus cibarius*
54. *Craterellus cornucopioides*
55. *Craterellus tubaeformis*

Clavariadelphaceae

კლავარიადელფუსისებინი

56. *Clavariadelphus truncatus*

Cortinariaceae

კოჩინაჩიუსისებინი

57. *Cortinarius callisteus*

Entolomataceae

ენტოლომატასებინი

58. *Clitopilus prunulus*
59. *Entoloma sinuatum*

Fistulinaceae

ფისტულასოკოსებინი

60. *Fistulina hepatica*

Fomitopsidaceae

ფომიტოფისისებინი

61. *Fomitopsis betulina*

Gloeophyllaceae

გლოეოფილასებინი

62. *Neolentinus lepideus*

Gomphaceae

გომფასოკოსებინი

63. *Gomphus clavatus*
64. *Ramaria flava*
65. *Ramaria formosa*

Gomphidiaceae

გომფიდანასებინი

66. *Chroogomphus rutilus*
67. *Gomphidium glutinosus*

Hericiaceae

ბაჩაჩასებინი

68. *Hericium cirrhatum*
69. *Hericium coralloides*
70. *Hericium erinaceus*
71. *Hericium flagellum*

Hydnaceae

ჰიდნუსისებინი

72. *Hydnum repandum*

Hydnangiaceae

ჰიდნანგიუსისებინი

73. *Laccaria laccata*

Hygrophoraceae

პიგოფორუსისებრნი

74. *Ampulloclitocybe clavipes*
75. *Hygrocybe coccinea*
76. *Hygrocybe conica*
77. *Hygrophorus russula*

Hygrophoropsidaceae

პიგოფოროფორუსისებრნი

78. *Hygrophoropsis aurantiaca*

Hymenogastraceae

ჰიმენოგასტრუსისებრნი

79. *Galerina marginata*
80. *Hebeloma crustuliniforme*

Inocybaceae

ბოჭკოვანასებრნი

81. *Inocybe erubescens*
82. *Inocybe geophylla*
83. *Inocybe rimosa*

Lyophyllaceae

ლიოფილუსისებრნი

84. *Calocybe gambosa*
85. *Lyophyllum decastes*

Marasmiaceae

მარსამიუსისებრნი

86. *Marasmius collinus*
87. *Marasmius oreades*
88. *Mycetinis alliaceus*
89. *Mycetinis scorodoniis*

Meripilaceae

მერიპილუსისებრნი

90. *Grifola frondosa*
91. *Meripilus giganteus*

Omphalotaceae

ომფალოტუსისებრნი

92. *Gymnopus dryophilus*
93. *Gymnopus fusipes*

Paxillaceae

პაქსილუსისებრნი

94. *Gyrodon lividus*
95. *Paxillus involutus*

Phallaceae

ფევენისგუნდისებრნი

96. *Phallus impudicus*

Physalacriaceae

ფიზალაკრიუსისებრნი

97. *Armillaria mellea*
98. *Desarmillaria tabescens*
99. *Flammulina velutipes*

Pleurotaceae

პლეოტუსისებრნი

100. *Pleurotus cornucopiae*
101. *Pleurotus eryngii*
102. *Pleurotus ostreatus*

Pluteaceae

პლუტეუსისებრნი

103. *Volvariella bombycina*

Polyporaceae

პოლიპორუსისებრნი

104. *Cerioporus squamosus*
105. *Fomes fomentarius*
106. *Laetiporus sulphureus*
107. *Panus rudis*

Psathyrellaceae

ფსათრელიუსისებრნი

108. *Coprinellus micaceus*
109. *Coprinopsis atramentaria*

Russulaceae

რუსულუსისებრნი

110. *Lactarius aurantiacus*
111. *Lactarius deliciosus*
112. *Lactarius flexuosus*
113. *Lactarius piperatus*
114. *Lactarius scrobiculatus*
115. *Lactarius torminosus*
116. *Lactarius vellereus*
117. *Lactarius volemus*
118. *Lactarius zonarius*
119. *Russula adusta*
120. *Russula aeruginea*
121. *Russula aurea*
122. *Russula cyanoxantha*
123. *Russula delica*
124. *Russula emetica*
125. *Russula foetens*
126. *Russula risigallina*
127. *Russula rosea*
128. *Russula virescens*

Sclerodermataceae

სკლეროდერმატუსისებრნი

129. *Pisolithus arhizus*
130. *Scleroderma citrinum*
131. *Scleroderma verrucosum*

Sparassidaceae

სპარასიდუსისებრნი

132. *Sparassis crispa*

Strophariaceae

სტროფარიუსისებრნი

133. *Hypholoma fasciculare*
134. *Hypholoma lateritium*
135. *Kuehneromyces mutabilis*

Suillaceae

სუილუსისებრნი

136. *Suillus granulatus*
137. *Suillus luteus*

Tapinellaceae

ტაპინელიუსისებრნი

138. *Tapinella atrotomentosa*

Tremellaceae

ტრემელიუსისებრნი

139. *Tremella mesenterica*

Tricholomataceae

ტრიქოლომატუსისებრნი

140. *Clitocybe nebularis*
141. *Clitocybe odora*
142. *Clitocybe phyllophila*
143. *Infundibulicybe geotropia*
144. *Infundibulicybe gibba*
145. *Lepista nuda*
146. *Lepista personata*
147. *Lepista sordida*
148. *Tricholoma portentosum*
149. *Tricholoma terreum*
150. *Tricholoma virgatum*



ფიჭვის დისცინა

Pig's Ears

Discina ancilis

ნაყოფსხეული – დისკოსებრი, თეფშისებრი, უსწორმასწორო, დანაოჭებული ზედაპირით, 5-17 სმ. დიამეტრის, მოყავისფრო-მოვარდისფრო, ზემოდან – გლუვი, ხორცისფერი, ქვემოდან – მოთეთრო-მონაცრისფრო, ხავერდოვანი, ხრტილოვან-ცვილისებრი, ძირში პატარა, 0.5-1 სმ სიგრძის ფეხით ან მის გარეშე

ჰიმენოფორი – გლუვი, ხორცისფერი

რბილობი – ხორცოვან-ხრტილოვანი, მყიფე, მოთეთრო-მოყავისფრო, უსუნო

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი, სამი ცხიმოვანი წვეთით; 24-30 x 13-14 მკმ; ანაბეჭდი – მოთეთრო-მოყვითალო

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულზე და ზაფხულში, წინვოვანი ხეების (ძირითადად, ფიჭვის) ხრწნად მერქანზე და მის ახლოს.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადული წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იწვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას.





ნაოჭა სოკო

False Morel

Gyromitra esculenta

ქუდი – 3-12 x 4-8 სმ. **ფერი:** ღია ყავისფერი, წაბლისფერი; **ფორმა:** მომრგვალო, ტვინისებრ დანაოჭებული, უსწორმასწორო; **ტექსტურა:** მყიფე, ცვილისებრი, ფუყე; **კიდე:** ნაწილობრივ შებრდილი

ფეხი – 3-9 x 1-3.5 სმ; **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო-მოყვითალო; **ფორმა:** ცილინდრული, უსწორმასწორო; **ტექსტურა:** სიგრძივ დანაოჭებული, ხრტილოვან-ცვილისებრი, ფუყე

სპორები – ელიფსური, გლუვი, ორი ცხიმოვანი წვეთით; 19-25 x 10-13 მკმ; ანაბეჭდი – მოყვითალო

რბილობი – ხრტილოვან-ცვილისებრი, მყიფე, მოთეთრო, უსუნო

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულზე ნიადაგზე, ძირითადად, წიწვოვან ტყეში, უპირატესად – ფიჭვნარში, მთიან ადგილებში, ბილიკებთან, ნახანძრალებზე.

გავრცელება – ევროპა, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – შხამიანია. შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებას, გირომიტრინს, რომლის კონცენტრაცია ნაყოფსხეულში განსხვავებულია გავრცელების არეალის მიხედვით, შესაბამისად, განსხვავებულია ინტოქსიკაციის ხარისხიც მსუბუქი ინტოქსიკაციიდან ლეტალურ შედეგამდე. გირომიტრინი უარყოფითად მოქმედებს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემასა და ღვიძლზე. მოწამლულს აღენიშნება: მუცლის ძლიერი ტკივილი, პირღებინება, ფაღარათი, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, კოორდინაციის დარღვევა, რთულ შემთხვევაში – კომა და ღვიძლის მწვავე უკმარისობა.





გიგანტური ნაოჭა სოკო

Giant's False Morel

Gyromitra gigas

ქუდი – 8-20 x 4-15 სმ. **ფერი:** მოყვითალო-ყავისფერი; **ფორმა:** დანაოჭებულ-ტალღოვანი, უსწორმასწორო; **ტექსტურა:** მყიფე, ცვილისებრი, ფუყე; **კიდე:** შეზრდილი ფეხთან

ფეხი – 2-10 x 2-6 სმ. **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო; **ფორმა:** მოკლე, განიერი, უფორმო, მთლიანად ჩაფლული სუბსტრატში; **ტექსტურა:** დანაოჭებული, ხრტილოვან-ცვილისებრი, ფუყე

სპორები – ელიფსური, გლუვი, ორი ცხიმოვანი წვეთით; 26-40 x 11 -15 მკმ; ანაბეჭდი – მოყვითალო

რბილობი – ხრტილოვან-ცვილისებრი, მყიფე, მონაცრისფრო; ახასიათებს სასიამოვნო სუნი

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულზე, ხეების დამპალ, ხრწნად მერქანსა და მათ ახლოს ნიადაგზე, ჩამონაცვენზე.

გავრცელება – ევროპა, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – შხამიანია. შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებას, გირომიტრინს.

მსგავსი სახეობები – გიგანტური ნაოჭა სოკო ვიზუალურად ძალიან ჰგავს ნაოჭა სოკოს (*Gyromitra esculenta*). მათ შორის განსხვავება ზომამია, რომელსაც არ შეიძლება დავეყრდნოთ. ძირითადად კი, განსხვავდებიან სპორებით.





უნაგირა სოკო

Elfin Saddle

Helvella lacunosa

ქუდი – 2-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო-ლეგა, მურა-ნაცრისფერი, რუხი-მოყავისფრო, ქვედა მხრიდან – უფრო ღია ფერის; **ფორმა:** უსწორმასწორო, დანაოჭებულ-დანაკვთული, შუაში ჩაზნექილი, უნაგირის მსგავსი; **ტექსტურა:** გლუვი ან დანაოჭებული ზედაპირითა და გლუვი ქვედა პირით; **კიდე:** თავისუფალი, იშვიათად, ფეხთან ოდნავ შეზრდილი

ფეხი – 2-10 x 1-3 სმ. **ფერი:** თავიდან – მოთეთრო, შემდეგ – მონაცრისფრო-ლეგა, მურა-მოყავისფრო; **ფორმა:** ცილინდრული, უსწორმასწორო; **ტექსტურა:** სიგრძივ დანაოჭებულ-დაღარული, კუთხოვანი, ხრტილოვანი, დრეკადი

სპორები – ელიფსური, გლუვი ზედაპირით, ერთი დიდი ცხიმოვანი წვეთით; 15-20 x 10-13 მკმ; ანაბეჭდი – მოთეთრო

რბილობი – თხელი, ხრტილოვანი, მყიფე, მოთეთრო, უსუნო

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეში, უმეტესად წიფლნარში

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა მხოლოდ ქუდები 25-30-წუთიანი თერმული დამუშავების – შემდეგ. ნადული წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.

მსგავსი სახეობები – უნაგირა სოკო ვიზუალურად ძალიან ჰგავს ხუჭუჭა უნაგირა სოკოს (*Helvella crispa*), რომელიც, უნაგირა სოკოსგან განსხვავებით, მოთეთრო, კრემისფერი ან მოყავისფრო-მოყვითალოა.





ხარისფაშვა (ირმისტუჩა)

Morel

Morchella esculenta

ქუდი – 2-10 სმ დიამეტრისა და 5-12 სმ სიმაღლის; **ფერი:** მოყვითალო-მურა, თაფლისფერი, მოყავისფრო-მოვარდისფრო, მურა; **ფორმა:** მომრგვალო-კვერცხისებრი, ოვალური, კონუსისებრი; **ტექსტურა:** ზედაპირი – უსწორმასწორო, დანაოჭებული, ფიჭისებრი, ფუყე; **კიდე:** მთლიანად შეზრდილი ფეხთან

ფეხი – 3-7 x 2-3 სმ. **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო, მოთეთრო-მოყვითალო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** დანაოჭებული, ხრტილოვან-ცვილისებრი, მთლიანად ფუყე, ისე, რომ ქუდი და ფეხი შიგნიდან არ არის ერთმანეთისგან გამოყოფილი.

სპორები – ელიფსური, გლუვი; 18-24- x 10-12 მკმ; ანაბეჭდი – მოყვითალო

რბილობი – ხრტილოვან-ცვილისებრი, მყიფე, მოთეთრო, ახასიათებს სასიამოვნო სუნს.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულზე, ღია ადგილებში, ნიადაგზე, ძირითადად, ნათელ, ფოთლოვან ტყეში, ჭალის ტყეებში, უმეტესად ვერხვებთან, ასევე, შერეულ წიწვოვან ტყეებსა და ბალ-პარკებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა 25-30-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადუღი წყალი უნდა გადაიღვაროს.





ტურიპროჭა

Ruby Elfcup

Sarcosypha coccinea

ნაყოფსხეული – ჯამისებრი, ფიალისებრი, 2-6 სმ დიამეტრის. შიგნიდან – მუქი ალისფერი, გლუვი, გარედან – მოვარდისფრო-მოთეთრო, ოდნავ შებუსვილი, ხავერდოვანი, მყიფე, **კიდე**: ზოგჯერ დახეთქილი, ძირში – მოთეთრო, შებუსვილი ფეხით ან მის გარეშე

ჰიმენოფორი – გლუვი, წითელი

რბილობი – თხელი, მყიფე, მოვარდისფრო, უსუნო

სპორები – მოგრძო-ელიფსური, გლუვი, რამდენიმე ცხიმოვანი წვეთით; 25-35 x 11-14 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულზე, ფოთლოვანი ხეების ჩამონაცვენზე, ხრწნად მერქანზე ხავსში. უყვარს ნესტიანი ადგილები.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა. ძირითადად, დეკორატიული კომპოზიციების გასაფორმებლად იყენებენ.





საჭმელი ტრიუფელი (ზაფხულის ტრიუფელი)

Summer Truffle

Tuber aestivum

ნაყოფსხეული – მიწისქვეშა, ბოლქვისებრი, მომრგვალო, 3-10 სმ დიამეტრის. მოყავისფრო-მოშავო, მოლურჯო-მოშავო; დაფარულია 4-6 ნახნავიანი, პირამიდისებრი მეჭეჭებით.

რბილობი – თავიდან – მოთეთრო-მოყვითალო-მონაცრისფრო, მოგვიანებით – მოყვითალო-მოყავისფრო, მრავალი თეთრი, ძარღვისებრი ჩანართით, რაც ქმნის მარმარილოსებრ ეფექტს. თავიდან – ძალიან მკვრივი, შემდეგ – ფაშარი; ახასიათებს თხილის გემო და ნეშომპალას სუნი.

სპორები – ოვალური, ბადისებრი ორნამენტით; 24-45 x 17-30 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ფოთლოვან ტყეში, ძირითადად, მუხასთან, წიფელთან და რცხილასთან, ნიადაგში 3-25 სმ სიღრმეზე; ზოგჯერ ამოდის მიწის ზედაპირზეც.

გავრცელება – ევროპა, ჩრდ. ამერიკა. ჩრდ. აფრიკა

გამოყენება – იჭმევა.





ძირბოლქვა ქამა

Flat-bulb Mushroom

Agaricus abruptibulbus

ქუდი – 8-14 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო; თითის დაჭერისას უჩნდება ყვითელი ლაქები; **ფორმა:** თავიდან – კვერცხისებრი, შემდეგ – ბრტყელი, ცენტრში ოდნავ ამოზრცული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, აბრეშუმისებრ-ბოჭკოვანი ზედაპირით; **კიდე:** შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – ტალღოვანი

ფეხი – 10-12 x 1-2 სმ; **ფერი:** თეთრი, ქუდისკენ მოვარდისფრო ელფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ მოღუნული და ბოლქვივით გამსხვილებული **ტექსტურა:** გლუვი, ოდნავ აბრეშუმისებრ-ბოჭკოვანი, ფუყე; **საყელო/ვოლვა:** საყელო – ზემოდან თეთრი, ქვედა მხრიდან მოყვითალო, განიერი, თხელი, დაშვებული; ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, მონაცრისფრო-მოვარდისფრო, შემდეგ – მურა-ნაბლისფერი

სპორები – განიეროვალური, გლუვი, ორი ფლუორესცენტული წვეთით; 6-8 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

რბილობი – მოთეთრო; ახასიათებს ნუშის სუნი; გადატეხისას ფეხი ოდნავ უვარდისფრდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, განსაკუთრებით – ფიჭვნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ძირბოლქვა ქამა შეიძლება აგვერიოს შხამაში (*Amanita phalloides*), რომელიც მომაკვდინებლად შხამიანია. ძირბოლქვა ქამასგან განსხვავებით, შხამას ნუშის სუნი არ ახასიათებს, შხამას ფირფიტები ყოველთვის თეთრია და ფეხის ძირში აქვს ვოლვა. ძირბოლქვა ქამა შეიძლება აგვერიოს შხამიან ქამაშიც (*Agaricus xanthodermus*), რომელიც ხასიათდება ფენოლის მძაფრი სუნით და ფეხის ძირში გადატეხისას სწრაფად ყვითლდება.





მინდვრის ქამა

Horse Mushroom

Agaricus arvensis

ქუდი – 8-20 სმ დიამეტრის; **ფერი:** თავიდან – მოთეთრო, ზრდასთან ერთად ღია მოყვითალო ლაქებით, შეხებისას ყვითლდება; **ფორმა:** მრგვლად ამობურცული, შემდეგ – ბრტყელი; **ტექსტურა:** სქელხორცოვანი, გლუვი ზედაპირით; **კიდე:** შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – ქეჩისებრი კერძო საბურველის ნარჩენებით

ფეხი – 5-10 x 1.5-3 სმ. **ფერი:** თეთრი, შეხებისას ყვითლდება; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** გლუვი; **საყელო/ვოლვა:** ქუდთან ახლოს განიერი და მოზრდილი ორშრიანი მოთეთრო-მოყვითალო საყელოთი; ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, მოთეთრო-მოვარდისფრო, მოგვიანებით – მურა-წაბლისფერი ან თითქმის შავი

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი; 7-9 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

რბილობი – მოთეთრო; ახასიათებს ნუშის სუნი; გადატეხისას ოდნავ ყვითლდება.

ჰაბიტატი – იზრდება ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ღია ადგილებში, მდელოებზე, ბალ-პარკებში, ტყისპირებში (უპირატესად ნაძვნარში).

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – მინდვრის ქამა შეიძლება აგვერიოს გაზაფხულის შხამაში (*Amanita verna*), თეთრ შხამაში (*Amanita virosa*) ან შხამაში (*Amanita phalloides*). სამივე სახეობა მომაკვდინებლად შხამიანია. მინდვრის ქამასგან განსხვავებით, მათ არ ახასიათებთ ნუშის სუნი, მათი ფირფიტები ყოველთვის თეთრია და ფეხის ძირში აქვთ ვოლვა. მინდვრის ქამა შეიძლება აგვერიოს შხამიან ქამაშიც (*Agaricus xanthodermus*), რომელიც ხასიათდება ფენოლის მძაფრი სუნით და ფეხის ძირში გადატეხისას სწრაფად ყვითლდება.





სამეფო ქაბა

The Prince

Agaricus augustus

ქუდი – 10-25 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-კრემისფერი, დაფარული კონცენტრულად განლაგებული მოყავისფრო ქერცლით. შეხებისას ყვითლდება; **ფორმა:** სფეროსებრ-ზარისებრი, შემდეგ – ბალიშისებრი და ბრტყელი, ცენტრში ოდნავ ამობურცული; **ტექსტურა:** სქელხორცოვანი, ქერცლოვანი ზედაპირით; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – ტალღოვანი, კერძო საბურველის ნარჩენებით

ფეხი – 7-20 x 2-3 სმ; **ფერი:** თეთრი, მოყვითალო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** საყელოს ზემოთ – გლუვი, საყელოს ქვემოთ – თეთრქერცლოვანი; **საყელო/ვოლვა:** საყელო – თეთრი, განიერი, დაშვებული; ხელის შეხებით ყვითლდება და ადვილად სცილდება ფეხს. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, მოთეთრო-მოვარდისფრო, მოგვიანებით – მურა-წაბლისფერი; თავიდან მთლიანად დაფარულია ქეჩისებრი თეთრი კერძო საბურველით.

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი; 7-9 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

რბილობი – ხორცოვანი, მოთეთრო; ახასიათებს ნუშის სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, განსაკუთრებით სოჭნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა.





ქალაქის ქამა

Pavement Mushroom

Agaricus bitorquis

ქუდი – 3-15 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო, მოგვიანებით – მოყავისფრო ლაქებით, ზოგჯერ – ცენტრში მიკრული მოყავისფრო ქერცლით. შეხებისას ფერს არ იცვლის; **ფორმა:** მომრგვალო, შემდეგ – მრგვლად ამობურცულ-გაშლილი, შუაში ოდნავ ჩაჭყლეთილი; **ტექსტურა:** სქელხორცოვანი, გლუვი აბრეშუმისებრი ზედაპირით; **კიდე:** შეკეცილი, ბამბისებრ-ბოჭკოვანი

ფეხი – 4-7 x 2-4 სმ. **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ – ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** გლუვი; **საყელო/ვოლვა:** ფეხის შუა ნაწილში გააჩნია ორშრიანი საყელო, ზედა თეთრი საყელო დარჩენილია კერძო საბურველისგან, ხოლო ქვედა საყელო საერთო საბურველის ნარჩენებია. ძირში იშვიათად აქვს ვოლვის მსგავსი საერთო საბურველის ნარჩენი.

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, მონაცრისფრო-მოვარდისფრო, მოგვიანებით – მურა-წაბლისფერი; ნორჩობაში ფირფიტები მთლიანად დაფარულია კერძო საბურველით.

სპორები – მომრგვალო, გლუვი; ერთი ან ორი ფლუორესცენტული წვეთით; 5-6 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

რბილობი – მოთეთრო, მკვრივი; ახასიათებს სასიამოვნო მომჟავო სუნი; გადატეხისას თანდათან ხდება მოვარდისფრო.

ჰაბიტატი – იზრდება ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ღია ადგილებში, საძოვრებზე, ბალებსა და პარკებში. ხშირად ინვეს ასფალტის ამობრუნებას.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ქალაქის ქამა ჰგავს მდელოს ქამას (*Agaricus campestris*), რომლისგანაც განსხვავდება ორმაგი საყელოთი.





მდელოს ქამა

Field Mushroom

Agaricus campestris

ქუდი – 5-12 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-კრემისფერი; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ბრტყლად ამოზნექილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, აბრეშუმისებრ გლუვი, დამსკდარი, ზოგჯერ – ცენტრში მურა ქერცლით დაფარული; **კიდე:** ღრმად შეკეცილი, შემდეგ გაშლილი, ბამბისებრი საბურველის ნარჩენებით

ფეხი – 3-10 x 1-2 სმ. **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, სწორი, უშეტესად – თანაბარი სისქის, იშვიათად – ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** ქერცლოვანი, შიგნიდან ამოვსებული; **საყელო/ვოლვა:** ფეხის შუა ნაწილში აქვს თეთრი საყელო, რომელიც ზოგჯერ უქრება. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, მოვარდისფრო, შემდეგ – მოყავისფრო

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი; 5-9 x 4-6.5 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

რბილობი – ხორცოვანი, თეთრი; ახასიათებს სოკოს სასიამოვნო სუნი; გადატეხისას ჰაერზე ვარდისფრდება.

ჰაბიტატი – იზრდება ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მინდვრებში, საძოვრებზე, ბაღებსა და პარკებში, განსაკუთრებით – ნაკელიან ნიადაგზე. ზოგჯერ ქმნის „ქაჯის წრეს“.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – მდელოს ქამა შეიძლება აგვერიოს გაზაფხულის შხამაში (*Amanita verna*), თეთრ შხამაში (*Amanita virosa*) ან შხამაში (*Amanita phalloides*). სამივე სახეობა მომავკვდინებლად შხამიანია. მათგან განსხვავებით, მდელოს ქამას არ აქვს ფეხზე ვოლვა, მისი ფირფიტები მოგვიანებით ყავისფრდება, რბილობი ჰაერზე ვარდისფრდება და ხასიათდება სასიამოვნო სუნით. მდელოს ქამა შეიძლება აგვერიოს შხამიან ქამაშიც (*Agaricus xanthodermus*), რომელსაც ფენოლის მძაფრი სუნი აქვს და ფეხის ძირში გადატეხისას სწრაფად ყვითლდება.





ჭრელი ქაბა

Eastern Flat Topped Agaricus

Agaricus placomyces

ქუდი – 8-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო, რუხი; **ფორმა:** მომრგვალო-კვერცხისებრი, შემდეგ – ამობურცული, გაშლილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, დაფარული მოყავისფრო-მონაცრისფრო ქერცლით, რომელიც წარმოიქმნება ქუდის ზედაპირის დახეთქის შედეგად; **კიდე:** შეკეცილი

ფეხი – 8-17 x 1.2-2.5 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო-მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში გამსხვილებული; **ტექსტურა:** გლუვი, პრიალა, ფუყე; **საყელო/ვოლვა:** საყელო თეთრი. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თავიდან – მოთეთრო, მოვარდისფრო, ბოლოს – ყავისფერი

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი; 5-7 x 3-4 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

რბილობი – თეთრი, ფეხში (განსაკუთრებით, ძირში) გადატეხისას ყვითლდება; ახასიათებს ფენოლის სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად მთაში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა

გამოყენება – შხამიანია და იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.





ტყისპირა ქამა

Wood Mushroom

Agaricus sylvicola

ქუდი – 5-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მკრთალ მოყვითალო-თეთრი, შეხებისას ყვითლდება; **ფორმა:** კვერცხისებრი, შემდეგ – გაშლილი, ბრტყლად ამოზნექილი; **ტექსტურა:** სქელხორცოვანი, გლუვი, აბრეშუმისებრი ზედაპირით; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – ტალღოვანი და საერთო საბურველის ნარჩენებით

ფეხი – 6-8 x 1-1.5 სმ; **ფერი:** თეთრი, შეხებისას ყვითლდება; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ გამსხვილებული, ზოგჯერ – ოდნავ მოღუნული, თავიდან – შიგნით ბოჭკოვანი, შემდეგ – ფუყე; **ტექსტურა:** აბრეშუმისებრ-ბოჭკოვანი. **საყელო/ვოლვა:** ქუდთან ახლოს აქვს განიერი და საკმაოდ მოზრდილი მოთეთრო, ჩამოკიდებული საყელო. ზედაპირი გლუვია, ხოლო ქვედა მხარე – კიდეზე მოყვითალო ნაფიფქით. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, მონაცრისფრო-მოვარდისფრო, მურა-წაბლისფერი ან თითქმის შავი

სპორები – ყავისფერი, კვერცხისებრი, გლუვი ზედაპირით; ერთი ან ორი ფლუორესცენტული წვეთით; 5-6 x 3-4 მკმ.

რბილობი – მოთეთრო; ახასიათებს ნუშის სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებსა და ტყისპირებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ტყისპირა ქამა ხშირად შეიძლება აგვერიოს შხამაში (*Amanita phalloides*), რომელიც მომაკვდინებლად შხამიანია. ტყისპირა ქამასგან განსხვავებით, შხამას არ ახასიათებს ნუშის სუნი. შხამას ფირფიტები ყოველთვის თეთრია და ფეხის ძირში აქვს ვოლვა. ტყისპირა ქამა შეიძლება აგვერიოს შხამიან ქამაშიც (*Agaricus xanthodermus*), რომელიც, ტყისპირა ქამასგან განსხვავებით, ხასიათდება ფენოლის მძაფრი სუნით და ფეხის ძირში გადატეხისას სწრაფად ყვითლდება.





ტყის ქამა

Blushing Wood Mushroom

Agaricus sylvaticus

ქუდი – 5-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** ჟანგისფერ-მურა-მოყავისფრო; **ფორმა:** კვერცხისებრ-ზარისებრი, შემდეგ – ბრტყლად ამოზნექილი, ხშირად – შუაში ბორცვაკით; **ტექსტურა:** მშრალი, ზოგჯერ – დამსკდარი, ხშირი მურა ქერცლით დაფარული ზედაპირით; **კიდე:** შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ოდნავ ტალღოვანი, ზოგჯერ – კერძო საბურველის ნარჩენებით

ფეხი – 5-15 x 0.5-1.5 სმ; **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო, შეხებისას ვარდისფერდება; **ფორმა:** ცილინდრული, ხშირად – ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** ბოჭკოვანი, ნაზი ქერცლით დაფარული, თავიდან – შიგნიდან ამოვსებული, შემდეგ – ფუყე. **საყელო/ვოლვა:** ფეხის შუაში აქვს განიერი, მოთეთრო საყელო, რომელიც ზოგჯერ ქრება. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი, შემდეგ – მოყავისფრო-მურა

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი; 4.5-6 x 3-3.5 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

რბილობი – თეთრი; ახასიათებს სასიამოვნო სუნი; გადატეხისას ჰაერზე ჯერ ხდება მონითალო, შემდეგ ყავისფრდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, წიწვოვან და შერეულ ტყეებში, ძირითადად, ფიჭვნარში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – შეიძლება აგვერიოს სამეფო ქამაში (*Agaricus augustus*), რომელიც ზომით აღემატება ტყის ქამას.



შხამიანი ქამა

Yellow Stainer

Agaricus xanthodermus

ქუდი – 6-18 სმ დიამეტრის; **ფერი:** თეთრი ან მოთეთრო-მონაცრისფრო, ხელის დაჭერისას ყვითლდება; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცული, გაშლილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, აბრეშუმისებრი, ოდნავ ქერცლოვანი, ზოგჯერ – დახეთქილი; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი

ფეხი – 5-17 x 1-3 სმ; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** გლუვი, ფუყე. **საყელო/ვოლვა:** საყელო – განიერი, თეთრი, კიდე ხანდახან ორადაა გაყოფილი. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – თხელი, ფეხთან თავისუფალი, მოვარდისფრო, მოგვიანებით – ყავისფერი. ნორჩობაში მთლიანად დაფარულია ბამბისებრი კერძო საბურველით.

სპორები – ელიფსური, გლუვი; 4.5-6 x 3-4.5 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

რბილობი – ხორცოვანი, მოთეთრო, ახასიათებს ფენოლის სუნი, რაც თერმული დამუშავებისას უფრო მძაფრდება. გადატეხისას (განსაკუთრებით – ფეხის არეში) ჰაერზე ყვითლდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, მინდვრებში, ბაღებსა და პარკებში, ტყისპირებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – შხამიანია. იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას. მიღებიდან 1-2 საათში ვლინდება მოწამვლის ნიშნები: ძლიერი მუცლის ტკივილი, პირღებინება და დიარეა.

მსგავსი სახეობები – შხამიანი ქამა შეიძლება აგვერიოს მინდვრის ქამაში (*Agaricus arvensis*) ან მდელოს ქამაში (*Agaricus campestris*). მათგან განსხვავებით, შხამიან ქამას ახასიათებს ფენოლის მძაფრი სუნი და ფეხის ძირში გადატეხისას სწრაფად ყვითლდება.





ტყვიისფერი ფშუკუნა (გუდაფშუკა, კუსკუნელა, საცუარაი, ცუანა სოკო)

Grey Puffball

Bovista plumbea

ნაყოფსხეული – სფეროსებრი, 1-4 სმ დიამეტრის. გარეთა გარსი (ეგზოპერიდიუმი) – თხელი, აპკისებრი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოთეთრო-მონაცრისფრო, გლუვი, ნაფლეთებად სცილდება შიდა შრეს. შიგნითა გარსი (ენდოპერიდიუმი) – გლუვი, პერგამენტისებრი, მყარი, ნაცრისფერი ან ტყვიისფერი, რომელიც მომწიფებისას იხსნება უსწორმასწოროკიდიანი ცენტრალური ნასვრეტით.

სპორები – მუქი ყავისფერი, სფეროსებრი; ცხიმოვანი წვეთით, მოკლე კუდისებრი დანამატით; 4 x 6 მკმ

რბილობი – გლება – თავიდან ხორცოვანი, თეთრი, შემდეგ – მოყვითალო-მომწვანო, ბოლოს – მუქი ყავისფერი, ბამბისებრი, ამოვსებული სპორებით; უსუნო; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, უმეტესად, მდელოებსა და მინდვრებში, ასევე, საძოვრებზე და ტყისპირებშიც, განსაკუთრებით მთაში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში, სანამ რბილობი თეთრია. ხალხურ მედიცინაში მისი სპორების მტვერი გამოიყენება ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად.

მსგავსი სახეობები – ტყვიისფერი ფშუკუნა შეიძლება აგვერიოს შავ ფშუკუნაში (*Bovista nigrescens*). მათი ერთმანეთისგან განსხვავება შესაძლებელია მაშინ, როცა ჩანს შიგნითა გარსი (ენდოპერიდიუმი).





გიგანტური ფუჟუნა (ფურფაჟა)

Giant Puffball

Calvatia gigantea

ნაყოფსხეული – სფეროსებრი, 10-50 სმ დიამეტრის; წონა – 4-15 კგ, ძირში ფესვისებრი მიცელიუმის ძაფებით. გარეთა გარსი (ეგზოპერიდიუმი) – თხელი, რბილი, მყიფე, გლუვი, აბრეშუმისებრი; თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოყვითალო-მურა, ნაფლეთებად სცილდება შიდა შრეს. შიგნითა გარსი (ენდოპერიდიუმი) – თხელი, აპკისებრი, ძალიან მყიფე, მომწიფებისას სკდება, ნაწევრდება და ჩნდება გლება.

სპორები – მოყვითალო-მოყავისფრო, სფეროსებრი, ოდნავ ხორკლიანი ან თითქმის გლუვი; 3-5.5 x 3-5 მკმ

რბილობი – გლება – თავიდან ხორცოვანი, თეთრი, შემდეგ – მოყვითალო-მომწვანო, მომწიფებისას – მოყავისფრო-მურა, ბამბისებრი, ამოვსებული სპორებით; გამოკვეთილი სუნის გარეშე; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ბალახებში, ტყისპირებში, სტეპებში, უმეტესად – მაღალმთიან და სუბალპურ მდელოებსა და მინდვრებში. ზოგჯერ ქმნის „ქაჯის წრეს“.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში, სანამ რბილობი თეთრია. მისი სპორების დიდი რაოდენობით შესუნთქვამ შესაძლოა, გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია: სურდო, გულის აჩქარება, თავბრუსხვევისა და გულისრევის შეგრძნებები. რთულ შემთხვევაში ვითარდება ჰიპერსენსიტიური პნევმონიტი.





რბილობნითელა წეროსწვივა

Shaggy Parasol

Chlorophyllum rhacodes

ქუდი – 7-15 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო-მოყავისფრო; **ფორმა:** კვერცხისებრი, შემდეგ – გაშლილი, ქოლგისებრი, განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** ხორცოვანი, დახეთქილი, ბოჭკოვანი ზედაპირით, მეჩხრად განლაგებული კრამიტისებური, მომსხო, მოყავისფრო, კიდეებაწეული ქერცლით; **კიდე:** შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი

ფეხი – 10-22 x 1-5 სმ; **ფერი:** მოთეთრო-მოყავისფრო; შეხებისას ხდება მოყავისფრო-მონითალო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ბოლქვისებრი; **ტექსტურა:** გლუვი, ნაზი ქერცლით დაფარული, მაგარი, ფუყე, ადვილად სცილდება ქუდს; **საყელო/ვოლვა:** საყელო – ფეხის ზედა ნაწილში, ზემოდან – თეთრი, ქვემოდან – მოყავისფრო, **კიდე:** ქეჩისებრი, ორად გაყოფილი, ფეხის მიმართ მოძრავია. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი, თითის დაჭერისას უჩნდება მონითალო ლაქები.

სპორები – ელიფსური, გლუვი; ერთი ან ორი ფლოორესცენტული წვეთით; 8.5-13 x 5-8 მკმ; ანაბეჭდი – მოთეთრო

რბილობი – თეთრი. გადატეხისას (განსაკუთრებით ფეხში) ხდება მონითალო.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, გზისპირებში, მდელოებზე, ბაღებსა და პარკებში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა, თუმცა, ზოგჯერ იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლასა და ალერგიულ რეაქციას.

მსგავსი სახეობები – რბილობნითელა წეროსწვივა შეიძლება აგვერიოს წეროსწვივაში (*Macrolepiota procera*), რომელიც ზომით მასზე დიდია. გარდა ამისა, რბილობნითელა წეროსწვივას ფეხზე არ აქვს ყავისფერი ზიგზაგისებური ორნამენტი და გადატეხისას მისი რბილობი წითლდება. შხამიანი ორეულებიდან შეიძლება აგვერიოს *Chlorophyllum molybdites*-ში (საქართველოში არ ფიქსირდება), რომლისგანაც, ძირითადად, განსხვავდება მწვანე ფერის სპორების ანაბეჭდით.





მერცხალა სოკო (გველის სოკო)

Shaggy Inkcap

Coprinus comatus

ქუდი – 4-14 სმ სიმაღლის; **ფერი:** თეთრი, მოთეთრო-მონაცრისფრო; **ფორმა:** თავიდან – მოგრძო კვერცხისებრი, შემდეგ – რამდენადმე გაშლილი, ვიწროზარისებრი, ცენტრში – ყავისფერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** ბოჭკოვანი; მოთეთრო-მოყავისფრო, კიდეანული ხშირი ქერცლით დაფარული ზედაპირით; **კიდე:** სწორი, ქერცლოვანი, შემდეგ – აპრეხილი

ფეხი – 5-15 x 1-2 სმ; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** ცილინდრული; **ტექსტურა:** ნაზი ქერცლით დაფარული, აბრეშუმისებრი, ფუყე, მყიფე; **საყელო/ვოლვა:** საყელო – პატარა, თეთრი, მოძრავი, რომელიც მალე ქრება. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოვარდისფრო, მომწიფებული შავია და თანდათან ქუდთან ერთად იქცევა შავ, თხევად, მელნისებრ მასად.

სპორები – ელიფსური, გლუვი; 8.5-12.5 x 6.5-9 მკმ; ანაბეჭდი – შავი

რბილობი – თეთრი, რბილი, უსუნო

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ბაღებსა და ბოსტნებში, საძოვრებსა და მინდვრებში, ნაკელიან ნიადაგზე.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში, სანამ შეეპარება სიშავე. აუცილებელია სოკოს შეგროვებისთანავე გამოყენება. ასევე იყენებენ ძაფის შესაღებად, იძლევა მომწვანო-მონაცრისფრო ფერს.





ეკლებიანი ლეკიოტა

Freckled Dapperling

Echinoderma asperum

ქუდი – 4-13 სმ დიამეტრის; **ფერი:** მუქი კრემისფერი; **ფორმა:** მომრგვალო-ბალიშისებრი, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, ქოლგისებრი; **ტექსტურა:** მშრალი, დამსკდარი, დაფარული მურამოყავისფრო პირამიდისებური წვეტიანი ხორკლებით; **კიდე:** სწორი, ზოგჯერ დახეთქილი

ფეხი – 5-12 x 0.8-1 სმ; **ფერი:** კრემისფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ბოლქვისებრი; **ტექსტურა:** საყელოს ზემოთ გლუვი, ქვემოთ მუქი ქერცლით; **საყელო/ვოლვა:** საყელო – თეთრი, განიერი, დაკიდებული, ქვედა მხრიდან ყავისფერხორკლებიანი კიდით, ზოგჯერ საყელო იგლიჯება. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი, ნორჩობაში მთლიანად დაფარულია ბამბისებრი კერძო საბურველით.

სპორები – მოგრძო-ოვალური, გლუვი; 6-11 x 2-4 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი; ახასიათებს უსიამოვნო სუნი; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ტენიან ადგილებში, ბაღებსა და პარკებში, კომპოსტზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია

გამოყენება – მხამიანია. იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.





ყავისფერი ლეპიოტა

Deadly Dapperling

Lepiota brunneoincarnata

ქუდი – 2-6 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-კრემისფერი, ცენტრში მოყავისფრო ბორცვაკით; **ფორმა:** თავიდან – კვერცხისებრი, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, ცენტრალური ბორცვაკით; **ტექსტურა:** მშრალი, დახეთქილი, კონცენტრულად განლაგებული ყავისფერი ქერცლით; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი

ფეხი – 2-4 x 0.5-1 სმ; **ფერი:** საყელოს ზემოთ – კრემისფერი, საყელოს ქვემოთ – მოვარდისფრო; **ფორმა:** ცილინდრული; **ტექსტურა:** ბოჭკოვან-ქერცლოვანი, საყელოს ქვემოთ მუქი ქერცლი ქმნის ზიგზაგისებურ ორნამენტს. ფუყე. **საყელო/ვოლვა:** საყელო – ბოჭკოვანი, რომელიც მალე ქრება. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თხელი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი; 8-10 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი; ახასიათებს ხილის სუნი; გადატეხისას ქუდის არეში და ფეხის ზედა ნაწილში ხდება კრემისფერი, ფეხის ქვედა ნაწილში კი – მონითალო.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ბაღებსა და პარკებში, მდელოებზე, ტყისპირებში, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში.

გავრცელება – ევროპა, აზია

გამოყენება – მომაკვდინებლად შხამიანი. მოწამვლის პირველი ნიშნები კუჭ-ნაწლავის მოქმედების დარღვევისა და პირღებინების სახით უმეტესად აღინიშნება მიღებიდან დაახლოებით 10 საათის შემდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ ვლინდება ღვიძლის დაზიანებაც.

მსგავსი სახეობები – ყავისფერი ლეპიოტა შეიძლება აგვერიოს ამავე გვარის (*Lepiota*) სხვა სახეობებში, რომელთა ნაწილი ასევე შხამიანია. ამიტომ მსგავსი სოკოების შეგროვება დაუშვებელია.





სავარცხელა ლეპიოტა

Stinking Dapperling

Lepiota cristata

ქუდი – 2-5 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო, ცენტრში მურა-ჟანგისფერი ბორცვაკით; **ფორმა:** ზარისებრი, შემდეგ – ბრტყლად ამოზნექილი ბორცვაკით; **ტექსტურა:** დაფარული ცენტრში უფრო ხშირი, კიდისკენ კი მეჩხერი, მურა-ჟანგისფერი ქერცლით; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, სწორი, ზოგჯერ – დახეთქილი

ფეხი – 4-7 x 0.2-0.3 სმ; **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ოდნავ გამსხვილებული; **ტექსტურა:** აბრეშუმისებრი, გრძელობოჭკოვანი, მყიფე; **საყელო/ვოლვა:** საყელო – აპკისებრი, მოთეთრო, რომელიც ადვილად ზიანდება და სწრაფად ქრება. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი

სპორები – გლუვი, ტყვიისებრი ფორმის; 5-8 x 2.5-4 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი; ახასიათებს უსიამოვნო სუნი; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, მდელოებზე, პარკებში, ტყისპირებში, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – შხამიანია. იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.

მსგავსი სახეობები – სავარცხელა ლეპიოტა შეიძლება აგვერიოს ამავე გვარის (*Lepiota*) სხვა სახეობებში, რომელთა ნაწილი მომაკვდინებლად შხამიანია, ამიტომ მსგავსი სოკოების შეგროვება დაუშვებელია.





ხორკლებიანი გუდაფუკა (გუდაფუკა, კუსკუსელა, საცუარაი, ცუანა სოკო, ძილგუდა)

Common Puffball

Lycoperdon perlatum

ნაყოფსხეული – მსხლისებრი, გურზისებრი, მჯდომარე ან კარგად განვითარებული ცრუ ფეხით, 3-8 სმ სიმაღლის და 3-6 სმ დიამეტრის. გარეთა გარსი (ეგზოპერიდიუმი) თავიდან – მოთეთრო, შემდეგ – მურა შეფერილობის, პირამიდისებრი ხორკლებით დაფარული ზედაპირით, რომელთა ჩამოცვენის შემდეგ ზედაპირზე რჩება ბადისებრი ორნამენტი. შიგნითა გარსი (ენდოპერიდიუმი) – თხელი, პერგამენტისებრი, მურა; მომწიფებისას იხსნება ცენტრალური, მომრგვალო ნასვრეტით.

სპორები – მურა-მომწვანო, სფეროსებრი, ნაზხორკლიანი; 3-4 მკმ დიამეტრის

რბილობი – გლეხა თავიდან რბილია, ღრუბლისებრი, თეთრი, მომწიფებისას – მომწვანო-მოყავისფრო, ფხვიერი, ამოვსებული სპორებით; მკვეთრი სუნის გარეშე; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ზოგჯერ ჩამონაცვენზე და დამპალ მერქანზე, მდელოებზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში. გვხვდება როგორც დაბლობში, ასევე ალპურ და სუბალპურ მდელოებზე. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სოკოა.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში, სანამ რბილობი თეთრია. ხალხურ მედიცინაში მისი სპორების მტვერი გამოიყენება ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად. სპორების დიდი რაოდენობით შესუნთქვა იწვევს ალერგიულ რეაქციებს: სურდოს, გულის აჩქარებას, თავბრუსხვევასა და გულისრევის შეგრძნებას. რთულ შემთხვევაში ვითარდება ჰიპერსენსიტიური პნევმონიტი.





წეროსწვივა (მგზავრიო, ვიჭი ქორგოლ, წერანუა, წერენო, წერასტო, წეროშ ბოკო, წორასწო)

Parasol

Macrolepiota procera

ქუდი – 10-30 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო-მოთეთრო; **ფორმა:** კვერცხისებრი, შემდეგ – გაშლილი, ქოლგისებრი, მოზრდილი მოყავისფრო ბორცვაკით; **ტექსტურა:** ხორცოვანი, დახეთქილი, ნაბოქკოვანი ზედაპირით, მეჩხრად განლაგებული კრამიტისებური, მომსხო, მოყავისფრო, ქეჩისებრი ქერცლით; **კიდე:** სწორი, ქეჩისებრ ქერცლოვანი

ფეხი – 10-30 x 1-4 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო-მოყავისფრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში სფეროსებრ გამსხვილებული, ადვილად სცილდება ქუდს; **ტექსტურა:** გლუვი, დაფარული წრიულად განლაგებული მუქი ქერცლით, რაც ქმნის ზიგზაგისებურ ორნამენტს. **საყელო/ვოლვა:** საყელო – ფეხის ზედა ნაწილში, ზემოდან თეთრი, ქვემოდან – მოყავისფრო, კიდე – ქეჩისებრი, ორად გაყოფილი, ფეხის მიმართ მოძრავია. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი; 15-20 x 10-13 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, უსუნო; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ტყისპირებში, ნათელ ტყეში, მდელოებზე, გზისპირებში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – წეროსწვივა შეიძლება აგვერიოს რბილობნითელა წეროსწვივაში (*Chlorophyllum rhacodes*), რომლისგანაც განსხვავდება უფრო დიდი ზომით, ფეხზე ზიგზაგისებური ორნამენტით და იმით, რომ რბილობი ჰაერზე ფერს არ იცვლის.





ნიყვი (მალქვალა, ნიყვ, სოკოკვერცხა, სოკონითელა)

Caesar's Amanita

Amanita caesarea

ქუდი – 8-20 სმ დიამეტრის; **ფერი**: ოქროსფერ-ნარინჯისფერი; **ფორმა**: თავიდან კვერცხისებრი, შემდეგ – ნახევარსფეროსებრი, ამოზნექილი, გაშლილი; **ტექსტურა**: ხორცოვანი, მშრალი, პრიალა, გლუვი, ზოგჯერ – თეთრი საერთო საბურველის ნარჩენებით დაფარული ზედაპირით, რომლებიც მალე ქრება; **კიდე**: სწორი, დაღარულზოლიანი

ფეხი – 8-14 x 2-4 სმ; **ფერი**: მოთეთრო-მოყვითალო; **ფორმა**: ცილინდრული, ძირისკენ ბოლქვისებრ გამსხვილებული; **ტექსტურა**: გლუვი, საყელოს ზემოთ – მკრთალად დაზოლილი; **საყელო/ვოლვა**: საყელო – განიერი, მოყვითალო, დაკიდებული, მკრთალად დაზოლილი; ვოლვა – ტოპრაკისებრი, განიერი 4-5 მმ. სისქის, გარედან – თეთრი, შიგნიდან – მოყვითალო

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, მოყვითალო-ოქროსფერი

სპორები – ელიფსური, გლუვი; 9-13 x 5-10 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ხორცოვანი, ქუდის კანქვეშ – ღია მოყვითალო ელფერით, ფეხის კანქვეშ – თეთრი. ახასიათებს თხილის სუსტი სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ძირითადად მუხნარში, ნიფლნარსა და ნაბლნარში, ძალიან იშვიათად – ნინვოვან ტყეში, უპირატესად მთის სამხრეთ ფერდობებზე. ნაყოფსულებების განვითარებისთვის აუცილებელია, ჰაერის ტემპერატურა, მინიმუმ, 15 დღის განმავლობაში არ იყოს 20°C-ზე დაბალი.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ნიყვი შეიძლება აგვერიოს ცადამაყვანაში (*Amanita muscaria*). ამიტომ უნდა გვახსოვდეს: ნიყვის ფირფიტები მოყვითალო-ოქროსფერია, ცადამაყვანასი კი – ყოველთვის თეთრი; ნიყვის ვოლვა განიერია და თავისუფალი, ცადამაყვანასი კი შებრძლია და ზოლებადაა შემორტყმული; ნიყვის ქუდის ზედაპირი გლუვია, ცადამაყვანასი კი თეთრი მეჭეჭებითაა დაფარული.





სენილიას ლივლივა

Snakeskin Grisette

Amanita ceciliae

ქუდი – 8-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მოყავისფრო, თაფლისფერი, კიდისკენ უფრო ღია; **ფორმა:** ზარისებრი, შემდეგ – გაშლილი, ცენტრში ბორცვაკით; **ტექსტურა:** მონაცრისფრო, მეჭეჭისებრი საერთო საბურველის ნარჩენებით, რომელიც ზოგჯერ შეიძლება გაქრეს; **კიდე:** დაღარულხოლიანი

ფეხი – 10-20 x 1.5-3 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო; **ფორმა:** ცილინდრული, ქუდისკენ უფრო ვიწრო; **ტექსტურა:** წვრილქერცლოვანი, რომელიც ქმნის ზიგზაგისებურ ორნამენტს; შიგნიდან ამოვსებული, შემდეგ – ფუყე. **საყელო/ვოლვა:** საყელოს გარეშე; ფეხის ძირში კარგად გამოხატული მონაცრისფრო ვოლვით

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი

სპორები – მომრგვალო, გლუვი; 11-14 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, უსუნო, ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში, უმეტესად წიფლნარებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





ბილწა სოკო

False Deathcap

Amanita citrina

ქუდი – 5-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მონაცრისფრო, მომწვანო, ზოგჯერ მოთეთრო-ქუჭყისფერი; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – გაშლილი; **ტექსტურა:** სქელხორცოვანი, ზედაპირზე საერთო საბურველის მოთეთრო ფანტელისებრი ნარჩენებით; **კიდე:** მკრთალად დაბოლილი, ზოგჯერ დახეთქილი

ფეხი – 5-12 x 1-2 სმ; **ფერი:** თეთრი ან მოყვითალო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ბოლქვისებრ გასქელებული; **ტექსტურა:** აბრეშუმისებრი, ნაზი ქერცლით დაფარული, ფუყე. **საყელო/ვოლვა:** საყელო – მოთეთრო-მოყვითალო, ჩამოკიდებული, რომელიც მალე ქრება. ვოლვა – მოყვითალო, შეზრდილი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თავიდან – ფეხთან ოდნავ შეზრდილი, შემდეგ – თავისუფალი, მოთეთრო, ზოგჯერ – მოყვითალო კიდეებით

სპორები – ელიფსური, გლუვი; 6 x 9 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მოთეთრო-მონაცრისფრო, გამსხვილებულ ფეხის ნაწილში – მონარინჯისფრო; ახასიათებს დამპალი კარტოფილის სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში. გვხვდება ზღვის დონიდან 1400 მეტრამდე.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – არ იჭმევა, შეიძლება გამოიწვიოს მონამვლა.

მსგავსი სახეობები – ბილწა სოკო შეიძლება აგვერიოს გაზაფხულის შხამაში (*Amanita verna*), თეთრ შხამაში (*Amanita virosa*) ან შხამაში (*Amanita phalloides*). სამივე სახეობა მომავკდინებლად შხამიანი. მათგან ბილწა სოკო გამოირჩევა დამპალი კარტოფილის სუნით.





ოქროსფერი ლივლივა

Orange Grisette

Amanita crocea

ქუდი – 4-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** ოქროსფერ-ნარინჯისფერი; **ფორმა:** კვერცხისებრ-ზარისებრი, შემდეგ – მომრგვალო, გაშლილი, გამოსატული განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** გლუვი, ოდნავ ლორწოვანი, გაშრობისას პრიალა, თეთრი საერთო საბურველის ნარჩენებით, რომლებიც მალე ქრება; **კიდე:** დაღარულხოლიანი

ფეხი – 6-14 x 1-1.5 სმ; **ფერი:** მოთეთრო-მოყვითალო; **ფორმა:** ცილინდრული, ქუდისკენ შევიწროებული; **ტექსტურა:** აბრეშუმისებრ-ბოჭკოვანი, ქერცლოვანი, რომელიც ქმნის ზიგზაგისებურ ორნამენტს; თავიდან – შიგნიდან ამოვსებული, შემდეგ – ფუყე, მყიფე. **საყელო/ვოლვა:** საყელოს გარეშე; ვოლვა – თეთრი, განიერი, თავისუფალი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, ვიწრო, კიდისკენ განიერი, თეთრი

სპორები – მომრგვალო, გლუვი, უფერული; 8-14 მკმ დიამეტრის; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, მყიფე, უსუნო; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში, ძირითადად, არყთან და წიფელთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადული წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.

მსგავსი სახეობები – ოქროსფერი ლივლივა შეიძლება აგვერიოს შხამიან ყვითელ ბილნა სოკოში (*Amanita gemmata*), რომლისგან განსხვავებითაც ოქროსფერ ლივლივას არ გააჩნია საყელო, ქუდზე საერთო საბურველის ნარჩენები და ფეხის ძირში ბოლქვისებრ არ მსხვილდება.





წაბლისფერი ლივლივა

Tawny Grisette

Amanita fulva

ქუდი – 4-10 სმ; **ფერი:** მოყვითალო-ყავისფერი, ღია წაბლისფერი, კიდისკენ უფრო ღია **ფორმა:** კვერცხისებრ-ზარისებრი, შემდეგ – გაშლილი, გამოხატული განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** გლუვი, ოდნავ ლორწოვანი, გაშრობისას – პრიალა, თეთრი საერთო საბურველის ნარჩენებით, რომლებიც მალე ქრება; **კიდე:** დაღარულბოლიანი.

ფეხი – 7-16 x 1-1.5 სმ; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** ცილინდრული, ქუდისკენ შევიწროებული; **ტექსტურა:** ნაზი ქერცლით დაფარული, მყიფე, თავიდან შიგნიდან ამოვსებული, შემდეგ – ფუყე, მყიფე; **საყელო/ვოლვა:** საყელოს გარეშე; ვოლვა – ტოპრაკისებრი, ტყავისებრი, განიერი, ნახევრად თავისუფალი, მოთეთრო-მოყავისფრო

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი

სპორები – გლუვი, მომრგვალო; 9-12 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, ჰაერზე ფერს არ იცვლის, დამახასიათებელი სუნის გარეშე.

ჰაბიტატი – იზრდება ნიადაგზე, ფოთლოვან და წიწვოვან ტყეში, ზაფხულში და შემოდგომაზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადუდი წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იწვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას.

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადუდი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იწვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას.

მსგავსი სახეობები – წაბლისფერი ლივლივა შეიძლება აგვერიოს ოქროსფერ ლივლივაში (*Amanita crocea*), რომელსაც უფრო მკვეთრი ნარინჯისფერი ქუდი და ფეხზე ზიგზაგისებური ორნამენტი აქვს. შხამიანი სახეობებიდან შეიძლება აგვერიოს ყვითელ ბილწა სოკოშიც (*Amanita gemmata*), რომელსაც ქუდზე საერთო საბურველის ნარჩენები, ფეხზე კი საყელო აქვს და რომლის ფეხი ძირში ბოლქვისებრ გამსხვილებულია.





ყვითელი ბილნა სოკო

Jewelled Amanita

Amanita gemmata

ქუდი – 3-11 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მოთეთრო, ქარვის-ფერი, კიდისკენ ღია; **ფორმა:** მრგვალად ამობურცული, შემდეგ – გაშლილი; **ტექსტურა:** ოდნავ ნებოვანი, გლუვი, თეთრი, ფანტელისებრი საერთო საბურველის ნარჩენებით; **კიდე:** დაღარული

ფეხი – 4-12 x 0.5-2 სმ; **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ბოლქვისებრ გამსხვილებული; **ტექსტურა:** გლუვი, ზოგჯერ ნაზი ქერცლით დაფარული, მყიფე, თავიდან – შიგნიდან სავსე, შემდეგ – ფუყე. **საყელო/ვოლვა:** საყელო – ვინრო, თეთრი, მალე ქრება და ფეხზე ტოვებს მკრთალ კვალს. ვოლვა – თეთრი, შეზრდილი, კიდე დაფლეთილი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თხელი, ფეხთან თავისუფალი, მოთეთრო

სპორები – გლუვი, ელიფსური; 8-11 x 5.5-9 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, გამოსატული სუნის გარეშე, ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ძირითადად, წინვოვან ტყეში, მეტწილად – ფიჭვნარში, იშვიათად – ფოთლოვან ტყეში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – ძლიერ შხამიანია. როგორც წესი, მოწამვლის ნიშნები ვლინდება მიღებიდან სამი საათის შემდეგ, ვიზუალური ჰალუცინაციის, გულისრევის შეგრძნების ან პირღებინების, კუჭის ტკივილის, დიარეის, გულისცემის შენელების ან არითმიის სახით. მძიმე შედეგები, როგორებიცაა კომაში ან კრუნჩხვაში ჩავარდნა ან გარდაცვალება, უაღრესად იშვიათია.



ცადამაყვანა (წითელი შხაა)

Fly Agaric

Amanita muscaria

ქუდი – 5-20 სმ დიამეტრის; **ფერი:** მუქი წითელი ან წარინჯისფერ-მონითალო; **ფორმა:** თავდაპირველად – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცული, გაშლილი; **ტექსტურა:** ნებოვანი, გამოშრობისას პრილა, თეთრი მეჭეჭისებრი საერთო საბურველის ნარჩენებით დაფარული ზედაპირით; **კიდე:** ოდნავ დაზოლილი

ფეხი – 6-16 x 1-2 სმ; **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ ბოლქვისებრ გამსხვილებული; **ტექსტურა:** გლუვი, ნაზბოჭკოვანი, თავიდან – შიგნიდან სავსე, შემდეგ – ფუყე; **საყელო/ვოლვა:** საყელო – თეთრი, კიდეებთან მოყვითალო, ჩამოკიდებული, კიდე დანაკვთული; ვოლვა – თეთრი, მოყვითალო მეჭეჭისებრი ქერცლით, შებრდილია და ზოლებად შემორტყმული

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი

სპორები – ელიფსური, გლუვი; 9-10 x 7-8 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, კანქვეშ მოყვითალო; ახასიათებს სასიამოვნო სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე როგორც წინვოვან, ისე ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად, ნაძვებთან და არყებთან ახლოს.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – ძლიერ შხამიანია. მიღებიდან დაახლოებით ნახევარ საათში ვლინდება შემდეგი სიმპტომები: გულისრევა, დიარეა, კუნთების თვითნებური კრთომა, საერთო სისუსტე, ჭარბი ნერწყვდენა და ოფლიანობა. მძიმე შემთხვევებში ვლინდება მხედველობის დროებითი დარღვევა, ძლიერი ჰალუცინაცია, განწყობის მკვეთრი ცვალებადობა, ეიფორია, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, ფსიქომოტორული აგზნება და კომატოზური მდგომარეობა.

მსგავსი სახეობები – ცადამაყვანა შეიძლება აგვერიოს ნიყვში (*Amanita caesarea*), რომლისგან განსხვავებით, ცადამაყვანას აქვს თეთრი ფირფიტები, ფეხთან რკალებად შებრდილი ვოლვა და ქუდზე თეთრი მეჭეჭისებრი საერთო საბურველის ნარჩენები.





კვერცხისებრი ბილწა სოკო

Bearded Amanita

Amanita ovoidea

ქუდი – 10-20 სმ დიამეტრის; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** კვერცხისებრი, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, თეთრი ფანტელისებრი საერთო საბურველის ნარჩენებით, რომლებიც მალე ქრება; **კიდე:** ქეჩისებრი კერძო საბურველის ნარჩენებით

ფეხი – 10-15 x 6-8 სმ დიამეტრის; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** ქეჩისებრ ფიფქოვანი; **საყელო/ვოლვა:** საყელო – თეთრი, განიერი, დაკიდებული. ვოლვა – ნახევრად თავისუფალი, სქელი, ტოპრაკისებრი, კიდე – დანაკვთული, მოთეთრო-მოყავისფრო

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი, ნორჩობაში მთლიანად დაფარული კერძო საბურველით

სპორები – გლუვი, კვერცხისებრი; 10-12 x 6-8 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, გამოხატული სუნის გარეშე, ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში, გვხვდება იშვიათად

გავრცელება – ევროპა, აზია, აფრიკა

გამოყენება – არ იჭმევა.

მსგავსი სახეობები – კვერცხისებრი ბილწა სოკო ერთი შეხედვით ძალიან ჰგავს შხამიან *Amanita proxima*-ს (საქართველოში არ ფიქსირდება), რომელსაც, კვერცხისებრი ბილწა სოკოსგან განსხვავებით, აქვს მუქი ჟანგისფერი ვოლვა და შიშველი ქუდის კიდე.



თავჭედილა

Panthercap

Amanita pantherina

ქუდი – 4-12 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მოყავისფროდან ღია წაბლისფრამდე; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ბრტყლად ამოზნექილი; **ტექსტურა:** მოთეთრო მეჭექისებრი საერთო საბურველის ნარჩენებით დაფარული ზედაპირით, ზოგჯერ – ლორწოვანი; **კიდე:** დაღარულბოლიანი.

ფეხი – 5-15 x 1-2 სმ; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ ბოლქვისებრ გამსხვილებული; **ტექსტურა:** ნაზი ქერცლით დაფარული, ფუყე; **საყელო/ვოლვა:** საყელო თეთრი, მყიფე, მალე ქრება; ვოლვა – თეთრი, შეზრდილი, ქმნის კონცენტრულ რგოლებს.

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი, ზოგჯერ მურა ლაქებით

სპორები – ელიფსური, გლუვი; 8-13.5 x 6-9.5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, მყიფე; ახასიათებს უსიამოვნო სუნი; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად ფიჭვთან, მუხასთან და ნიფელთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – ძლიერ შხამიანია. მიღებიდან დაახლოებით ორ საათში იწყება პირღებინება, დიარეა, გულის აჩქარება, პირის სიმშრალე, ტემპერატურის მატება და სუნთქვის გაძნელება. მძიმე შემთხვევებში ვლინდება ძლიერი ჰალუცინაცია, ეიფორია, ფსიქომოტორული აგზნება და კომატოზური მდგომარეობა.

მსგავსი სახეობები – თავჭედილა შეიძლება აგვერიოს მარწყვიოში (*Amanita rubescens*), რომლის საყელოს ზედაპირი დაღარულბოლიანია. გარდა ამისა, თავჭედილას რბილობი ყოველთვის თეთრია, ხოლო მარწყვიოს რბილობი გადატეხისას ჰაერზე წითლდება.





შხამა

Deathcap

Amanita phalloides

ქუდი – 5-15 სმ დიამეტრის; **ფერი**: მოთეთრო-მონაცრისფრო, მოყვითალო-მომწვანო; **ფორმა**: თავდაპირველად – კვერცხისებრი, შემდეგ – ნახევარსფეროსებრი, ამოზნექილი, გაშლილი; **ტექსტურა**: თავიდან – ლორწოვანი, შემდეგ – გლუვი, აბრეშუმისებრი, ზოგჯერ თეთრი საერთო საბურველის ნარჩენებით დაფარული ზედაპირით, რომლებიც მალე ქრება; **კიდე**: გლუვი

ფეხი – 5-10 x 0.5-2 სმ; **ფერი**: მოთეთრო, ქუდისფერი; **ფორმა**: ცილინდრული, ძირისკენ ბოლქვისებრ გამსხვილებული; **ტექსტურა**: ქერცლოვანი, რომელიც ქმნის ზიგზაგისებურ ორნამენტს, ფუყე; **საყელო/ვოლვა**: საყელო – განიერი, ჩამოკიდებული, თეთრი, მომწვანო, ზემოდან რადიალურად დაბოლილი, ქვემოდან გლუვი; იშვიათად საყელო ქრება; ვოლვა – ტოპრაკისებრი, განიერი, თეთრი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – თეთრი, ხშირი, ფეხთან თავისუფალი

სპორები – სფეროსებრი, გლუვი; 7-12.5 x 6-8.5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ხორცოვანი, თეთრი, გადატეხისას ჰაერზე ფერს არ იცვლის. ახალგაზრდა ნაყოფსხეულებს ახასიათებს სასიამოვნო სუნი, გადაბერებულს კი – უსიამოვნო სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ნათელ წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად – მუხნარში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – მომავკდინებლად შხამიანია. ნაყოფსხეულის 30 გრამიც კი საკმარისია, რომ გამოიწვიოს სიკვდილი. შხამიანია მისი სპორებიც, ამიტომ დაუშვებელია შხამას გვერდით გაზრდილი სოკოების შეგროვება, რადგან შესაძლოა, მათზეც გადასული იყოს შხამას სპორების მტკერი. მიღებიდან 6-40 საათში ვლინდება შემდეგი სიმპტომები: თავისა და მუცლის ძლიერი ტკივილი, სისუსტე, ღებინება, მხედველობის დარღვევა, კრუნჩხვა, ძლიერი ფაღარათი, დაუკლებელი წყურვილი. სამი დღის შემდეგ მონამულს ეწყება მოჩვენებითი უკეთესობა, თუმცა, სინამდვილეში, ინტენსიურად მიმდინარეობს ღვიძლის დაზღვა, რაც საბოლოოდ სრულდება ლეტალურად. შხამას ხელში შემთხვევითი ალებისას აუცილებელია ხელების მაშინვე კარგად დაბანა.

მსგავსი სახეობები – შხამა შეიძლება აგვერიოს ქამას სახეობებში. უნდა გვახსოვდეს, რომ ქამა სოკოსგან განსხვავებით, შხამას ფირფიტები ყოველთვის თეთრია, ფეხზე ყოველთვის აქვს ვოლვა და არ ახასიათებს ნუშის სუნი.





მარწყვიო

Blusher

Amanita rubescens

ქუდი – 4-16 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოვარდისფრო-მონაცრისფრო; **ფორმა:** თავიდან – მომრგვალო-კვერცხისებრი, შემდეგ – ბრტყლად ამოზნექილ-ამობურცული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, ნესტიან ამინდში ლორწოვანი, მოყვითალო-მოთეთრო, მეჭექისებრი საერთო საბურველის ნარჩენებით დაფარული ზედაპირით; **კიდე:** ოდნავ დაღარულხოლიანი

ფეხი – 5-15 x 1-4 სმ; **ფერი:** მოვარდისფრო-მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ ბოლქვისებრ გაფართოებულ-გამსხვილებული; **ტექსტურა:** მკვრივი, თავიდან – შიგნიდან ამოვსებული, შემდეგ – ფუყე, ქერცლოვანი. **საყელო/ვოლვა:** საყელო – განიერი, მოთეთრო-მოვარდისფრო, ზემოდან – დაღარულხოლიანი; ვოლვა სუსტადაა გამოხატული, მონაცრისფრო, შეზრდილი რკალების სახით, რომელიც მალე ქრება.

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, მოთეთრო; შეხებისას წითლდება.

სპორები – ელიფსური, გლუვი; 6-10.5 x 4-6.5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ხორცოვანი, თეთრი; ახასიათებს სასიამოვნო სუნ; გადატეხისას (ქუდშიც და ფეხშიც) ჰაერზე ხდება ღვინისფერ-მოვარდისფრო.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადუღი წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვეცს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.

მსგავსი სახეობები – მარწყვიო შეიძლება აკვერიოს შხამიან თავჭედილაში (*Amanita pantherina*). უნდა გვახსოვდეს: მარწყვიოს რბილობი ჰაერზე წითლდება, ხოლო თავჭედილას რბილობი ყოველთვის თეთრია; მარწყვიოს საყელოს ზედაპირი დაღარულხოლიანია, თავჭედილას კი – გლუვი.





რუხი ლივლივა

Grisette

Amanita vaginata

ქუდი – 4-16 სმ დიამეტრის; **ფერი:** თეთრი, მოთეთრო-მონაცრისფრო, ნაცრისფერი, მონაცრისფრო-მოყავისფრო, კიდისკენ უფრო ღია; **ფორმა:** კვერცხისებრ-ზარისებრი, შემდეგ – გამლილი, გამოხატული განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** გლუვი, ოდნავ ლორწოვანი, გამრობისას პრიალა, თეთრი საერთო საბურველის ნარჩენებით, რომლებიც მალე ქრება; **კიდე:** დაღარულბოლიანი

ფეხი – 6-16 x 0.5-2 სმ; **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო; **ფორმა:** ცილინდრული, ქუდისკენ შევიწროებული; **ტექსტურა:** აბრეშუმისებრ ბოჭკოვანი, ქერცლოვანი ზედაპირით, რომელიც ქმნის ზიგზაგისებურ ორნამენტს, თავიდან შიგნიდან სავსე, შემდეგ – ფუყე, მყიფე; **საყელო/ვოლვა:** საყელოს გარეშე; ვოლვა – განიერი, ტოპრაკისებრი, თავისუფალი, თეთრი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი

სპორები – გლუვი, მომრგვალო; 9-14 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მოთეთრო, დამახასიათებელი სუნის გარეშე, ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში გვხვდება ტყის ყველა სარტყელში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადული წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.

მსგავსი სახეობები – რუხი ლივლივა შეიძლება აგვერიოს შხამაში (*Amanita phalloides*), რომელიც მომაკვინებლად შხამიანია. ორივეს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი ფერის ქუდი. რუხი ლივლივასგან განსხვავებით, შხამას აქვს საყელო, რომელიც ზოგ შემთხვევაში შეიძლება მოსძვრეს, ამიტომ სოკოს გამოუცდელი შემგროვებლისთვის რუხი ლივლივას შეგროვება არ არის რეკომენდებული.





გაზაფხულის შხამა

Spring Amanita

Amanita verna

ქუდი – 4-14 სმ დიამეტრის; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** თავიდან – კვერცხისებრი, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი ან ბრტყელი; **ტექსტურა:** გლუვი, პრიალა, ხორცოვანი; **კიდე:** სწორი, გლუვი

ფეხი – 7-12 x 1-2 სმ; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ბოლქვისებრ გამსხვილებული; **ტექსტურა:** გლუვი, შიგნიდან – თავიდან სავსე, შემდეგ – ფუყე. **საყელო/ვოლვა:** საყელო – განიერი, თეთრი, არამკვეთრი ზოლიანი კიდით; ვოლვა – თეთრი, თავისუფალი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თხელი, ფეხთან თავისუფალი, თეთრი

სპორები – გლუვი, ოვალური; 10-11 x 7-9 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი; თავიდან უსუნო, შემდეგ ახასიათებს უსიამოვნო სუნი; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან შემოდგომამდე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, უმეტესად – მუხასთან და წიფელთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – მომავკვინებლად შხამიანია. მიღებიდან 6-24 საათში ვლინდება შემდეგი სიმპტომები: თავისა და მუცლის ძლიერი ტკივილი, სისუსტე, პირღებინება და ძლიერი ფალარათი, მხედველობის დარღვევა, კრუნჩხვა, დაუოკებელი წყურვილი. სამი დღის შემდეგ მონამულუს ეწყება მოჩვენებითი უკეთესობა, თუმცა, სინამდვილეში, ინტენსიურად მიმდინარეობს ღვიძლის დაშლა, რაც საბოლოოდ სრულდება ლეტალურად. გაზაფხულის შხამას ხელში შემთხვევით ალებისას აუცილებელია ხელების მაშინვე კარგად დაბანა.

მსგავსი სახეობები – ზოგიერთი მიკოლოგი (სოკოების სპეციალისტი) გაზაფხულის შხამასა და თეთრ შხამას (*Amanita virosa*) ერთსა და იმავე სახეობად მიიჩნევს. ორივე სახეობა მომავკვინებელია და ვიზუალურად მათი განსხვავებაც თითქმის შეუძლებელია. ორივე სახეობა შეიძლება აგვერიოს ქამის სახეობებში. ამიტომ უნდა გვახსოვდეს: შხამას სახეობებს ფირფიტები ყოველთვის თეთრი აქვთ, ფეხზე (საყელოს გარდა) ყოველთვის აქვთ ვოლვა და, ქამასოკოებისგან განსხვავებით, არ ახასიათებთ ნუშის სუნი.





ყურა სოკო (გარდამრიდა, კაცისყურა, ყურჭაბა)

Jelly Ear

Auricularia auricula-judae

ნაყოფსხეული – ადამიანის ყურის ფორმის, დანაოჭებული, დრეკადი, ცვილისებრი, ხავერდოვანი, 3-10 სმ დიამეტრის; ზედა მხრიდან – მოყვითალო-მოყავისფრო, მონაცრისფრო, ხორცისფერი, ქვედა მხრიდან – გლუვი და უფრო მუქი ფერის

სპორები – გლუვი, ელიფსური, მოხრილი, ორი ცხიმოვანი წვეთით; 12-19 x 4-8 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თხელი, ლაბისებრი, უსუნო; გამოშრობისას მაგრდება და იკუმშება.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ჯგუფებად როგორც ცოცხალ, ისე გამხმარ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით დიდგულასა და მურყანზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა.





ირემა სოკო (ზღარბა სოკო)

Shingled Hedgehog

Sarcodon imbricatus

ქუდი – 4-20 სმ დიამეტრისა და 0.5-3 სმ სისქის; **ფერი:** თავიდან – ღია ყავისფერი, შემდეგ – მურა; **ფორმა:** მრგვალად ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, უსწორმასწორო, შუაში ჩაზნექილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, დაფარული სქელი, დიდი, კონცენტრულად განლაგებული კრამიტისებური, მუქი ყავისფერი ქერცლით; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი

ფეხი – 2-8 x 1-2 სმ, **ფერი:** ქუდისფერი, ძირისკენ მუქი; **ფორმა:** ცენტრალური ან ექსცენტრული, ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ გამსხვილებული; **ტექსტურა:** მკვრივი, მშრალი, წვრილქერცლოვანი, თავიდან – სავე, მოგვიანებით – ფუყე

ჰიმენოფორი – ეკლისებრი, წვეტიანი, 5-6 მმ სიგრძის, დაღმავალი, თავიდან – მოთეთრო-ნაცრისფერი, შემდეგ – მოყავისფრო; მყიფე

სპორები – სფეროსებრ-კუთხოვანი, ხორკლიანი; 5-8.5 x 5-7.5 მკმ; ანაბეჭდი – მურა

რბილობი – თავიდან – ხორცოვანი, მოთეთრო, მოგვიანებით – უხეში და მაგარი; ახასიათებს სასიამოვნო სუნი. გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე წიწვოვან ტყეში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ, იმის გამო, რომ იშვიათი სახეობაა, შეგროვება არ არის რეკომენდებული.





დათვის სოკო (დედაბერა, ბებერა სოკო, კრიანთელი, ძირბუკა)

Penny Bun

Boletus edulis

ქუდი – 8-30 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთროდან მურა-მოყავისფრომდე; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ბალიშისებრი, ზოგჯერ – უფრო ბრტყელი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, სადა, ქეჩისებრი, ხავერდოვანი, მშრალ ამინდში – ზოგჯერ დახეთქილი, წვიმიან ამინდში – ოდნავ ლორწოვანი; **კიდე:** თავიდან – სწორი, შემდეგ – ტალღოვანი

ფეხი – 8-20 x 3-6 სმ; **ფერი:** ღია მოყვითალო-მოთეთრო-მოყავისფრო, ქუდთან შედარებით ყოველთვის უფრო ღია შეფერილობის; **ფორმა:** თავდაპირველად – კასრისებრი, ძირისკენ უფრო გასქელებული, შემდეგ – უფრო ცილინდრული, ქუდთან და ძირში შევიწროებული, **ტექსტურა:** მკვრივი, მასიური, მოთეთრო, ზოგჯერ – მურა შეფერილობის, ბადისებრი ძარღვებით დაფარული ზედაპირით, ბადისებრი ორნამენტი იშვიათად თითქმის შეუმჩნეველია.

ჰიმენოფორი – მილნაირი, წვრილი, მომრგვალო, ოდნავ კუთხოვანი, ჰიმენიალური შრე 1-2 სმ სისქის, ადვილად სცილდება ქუდს, თავდაპირველად – მოთეთრო-მოყვითალო, შემდეგ – მომწვანო-მოყვითალო. თითის დაჭერით ფერს არ იცვლის.

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 14-17 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – მომწვანო-მოყვითალო

რბილობი – თავიდან – მკვრივი, ხორცოვანი, თეთრი, მოგვიანებით – ღრუბლისებრი, მოყვითალო ელფერით; მკვეთრად გამოხატული სუნის გარეშე; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – დათვის სოკო შეიძლება აგვერიოს ნაღველა სოკოში (*Tylopilus felleus*). დათვის სოკოს რბილობი გადატეხისას რჩება თეთრი, ხოლო ნაღველა სოკოს რბილობი ვარდისფრდება და ახასიათებს ძალიან მწარე გემო.





წაბლისფერი ხავსის სოკო

Bay Bolete

Imleria badia

ქუდი – 3-18 სმ დიამეტრის; **ფერი:** ღია მონითალო-მოყავისფროდან მუქ წაბლისფრამდე; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, ბალიშისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, მშრალი, ხავერდოვანი, ნესტიან ამინდში – ლორწოვან-ცხიმოვანი, პრილა; **კიდე:** თავიდან – დაშვებული, შემდეგ – გაშლილი

ფეხი – 5-10 x 0.8-4 სმ; **ფერი:** მოყვითალო-მურა, მოყავისფრო, ქუდთან უფრო ღია ფერის; **ფორმა:** ცილინდრული; ქუდისკენ ვიწროვდება, ზოგჯერ დაგრეხილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, ბოჭკოვან-ქერცლოვანი, ბადისებური ორნამენტის გარეშე

ჰიმენოფორი – მილნაირი, განიერკუთხოვანი ფორებით, თავიდან – ღია მოყვითალო, შემდეგ – მომწვანო-მოყვითალო; თითის დაჭერისას ხდება მოლურჯო-მონაცრისფრო.

სპორები – თითისტარისებრ-ოვალური, გლუვი; 11-17 x 5-6 მკმ; ანაბეჭდი – მომწვანო-მოყავისფრო

რბილობი – ხორცოვანი, მკვრივი, მოთეთრო-მოყვითალო; ახასიათებს ხილის სასიამოვნო სუნი; გადატეხისას ჰაერზე ოდნავ ლურჯდება, შემდეგ ისევ ბაცდება.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ძირითადად, წიწვოვან ტყეში, უმეტესად – ფიჭვებთან. ფოთლოვან ტყეში გვხვდება იშვიათად. უყვარს ხავსიანი და დამრეცი ადგილები.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა და იყენებენ საღებავადაც; იძლევა ყვითელი ფერის ტონებს.

მსგავსი სახეობები – წაბლისფერი ხავსის სოკო შეიძლება აგვერიოს დათვის სოკოში (*Boletus edulis*) ან ნაღველა სოკოში (*Tylopilus felleus*). მათგან განსხვავებით, წაბლისფერი ხავსის სოკოს არ ახასიათებს ფეხზე ბადისებური ორნამენტი, ხოლო მისი რბილობი ჰაერზე ჯერ მოლურჯო ფერს იღებს, მერე კი ბაცდება.





ბებერა სოკო

Saffron Bolete

Leccinellum crocipodium

ქუდი – 5-15 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მოყავისფრო-მომწვანო; **ფორმა:** ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – გაშლილი, ბალიშისებრი; **ტექსტურა:** სადა, მშრალი, ხავერდოვანი, ხშირად – დამსკდარი ზედაპირით; **კიდე:** სწორი, ზოგჯერ – დამსკდარი

ფეხი – 5-12 x 1-3 სმ; **ფერი:** მოყვითალო-მოყავისფრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მუქი ქერცლით, ძირისკენ ბადისებური ორნამენტით

ჰიმენოფორი – მილნაირი, წვრილფორებიანი, მომრგვალო-ნახნაგოვანი, ფეხთან შეზრდილი, ჰიმენიუმში 1.5-2.5 სმ სისქის, მოყვითალო; თითის დაჭერისას ხდება მოყავისფრო-მოიისფრო.

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 11-18 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – მოყვითალო-მომწვანო

რბილობი – მოთეთრო-მოყვითალო, გადატეხისას ხდება მონითალო, მოყავისფრო-მოიისფრო და ბოლოს შავდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ნესტიან ფოთლოვან ტყეში, განსაკუთრებით მუხნარსა და წიფლნარში.

გავრცელება – ევროპა, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ბებერა სოკო შეიძლება აგვერიოს არყისძირაში (*Leccinum scabrum*), რომლის ქუდიც დახეთქილი არ არის, სპორების ანაბეჭდი მოყავისფროა და რბილობი ჰაერზე ფერს არ იცვლის.





რცხილისძირა

Leccinellum griseum

ქუდი – 4-14 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო-მოყავისფრო, ზოგჯერ თხილისფერი; **ფორმა:** ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – გაშლილი, ბალიშისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, ხავერდოვანი, ოდნავ დაჭმუჭნული, ნესტიან ამინდში წებოვან-ცხიმოვანი; **კიდე:** გადაბერებული სოკოს კანი შეიძლება შეიჭმუნხოს და გამოჩნდეს რბილობი და მილაკები.

ფეხი – 5-12 x 2-4 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო-მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული ან ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მურა-მოყავისფრო წვრილი ქერცლით დაფარული ზედაპირით, ძირისკენ უფრო ქერცლოვანი

ჰიმენოფორი – მილნაირი, მილები ვიწრო, მომრგვალო-კუთხოვანი, მოთეთრო-მონაცრისფრო, ჰიმენიალური შრე 2.5-3 სმ სისქის

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 9-19 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – მურა

რბილობი – ხორცოვანი, თეთრი, რბილი, გადატეხისას ხდება მოიისფრო-მოლურჯო, შემდეგ უფრო მუქდება და შავდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, ძირითადად რცხილნარში.

გავრცელება – ევროპა, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – რცხილისძირა შეიძლება აგვერიოს არყისძირაში (*Leccinum scabrum*), რომლის ქუდიც არ არის დაჭმუჭნული, რბილობი კი ჰაერზე ფერს არ იცვლის. რცხილისძირა შეიძლება აგვერიოს, ასევე, ბებერა სოკოში (*Leccinellum crocipodium*), რომლისგან განსხვავებითაც, რცხილისძირას ფეხზე არ აქვს ბადისებრი ორნამენტი.





ვერხვისძირა

Orange Oak Bolete

Leccinum aurantiacum

ქუდი – 6-18 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონითალო-ნარინჯისფერი, მუქი ნარინჯისფერი; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, მთლიანად შემოჭდობილი ფეხზე, შემდეგ – გაშლილი, ბალიშისებრი, ადვილად სცილდება ფეხს; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მკვრივი, ქეჩისებრ-ხავერდოვანი; **კიდე:** თავიდან – მთლიანად მიმაგრებულია ფეხზე, შემდეგ შორდება; ანეული, ზოგჯერ დახეთქილი

ფეხი – 6-16 x 1.5-5 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო-მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, ხშირად – ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მკვრივი; მოგრძო მურა ბოჭკოვანი ქერცლით დაფარული ზედაპირით

ჰიმენოფორი – მილნაირი, ფეხთან თავისუფალი, წვრილი, მომრგვალო, ოდნავ შესამჩნევი კუთხეებით, თავიდან – მოთეთრო, შემდეგ – მურა-მონაცრისფრო, ზოგჯერ მოყვითალო ელფერით, ჰიმენიალური შრე 1-3 სმ სისქის, შეხებისას მუქდება.

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 14-16 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – მომწვანო-მოყავისფრო

რბილობი – მკვრივი, ხორცოვანი, თეთრი, დამახასიათებელი სუნის გარეშე; ჰაერზე ხდება მოცისფრო-მოლურჯო, თანდათან უფრო მუქდება და შავდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან და შერეულ ტყეებში, უმეტესად ვერხვნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





არყისძირა

Brown Birch Bolete

Leccinum scabrum

ქუდი – 5-15 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-კრემისფერიდან მუქ ყავისფრამდე; **ფორმა:** ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – გაშლილი, ბალიშისებრი; **ტექსტურა:** გლუვი, მშრალი, ხავერდოვანი ან წვრილ-ქეჩისებრი ზედაპირით, ნესტიან ამინდში ოდნავ ლორწოვანი; **კიდე:** სწორი

ფეხი – 6-18 x 1-3 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო-მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, ხშირად – ძირისკენ გამსხვილებული; **ტექსტურა:** მურა-მოყავისფრო, წვრილი ქერცლით დაფარული ზედაპირით

ჰიმენოფორი – მილნაირი, წვრილი, მრგვალოფორებიანი, ფეხთან თავისუფალი, თავიდან – მოთეთრო, შემდეგ – მურა-მონაცრისფრო; ჰიმენიუმი – 1-2.5 სმ სისქის, ადვილად სცილდება ქუდს.

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 12-18 x 4.5-6 მკმ; ანაბეჭდი – მომწვანო-მოყავისფრო

რბილობი – თეთრი, რბილი, გადატეხისას ფერს არ იცვლის. ახასიათებს სოკოს სასიამოვნო სუნი. გადაბერებული ნაყოფსხეულების რბილობი ხდება ღრუბლისებრი და ძალიან წყლიანი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ძირითადად არყნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – არყისძირა შეიძლება აგვერიოს ბებერა სოკოში (*Leccinellum crocipodium*) და რცხილისძირაში (*Leccinellum griseum*). მათგან განსხვავებით, არყისძირას რბილობი გადატეხისას ფერს არ იცვლის.





წითელფეხა მუხისძირა

Scarletina Bolete

Neoboletus erythropus

ქუდი – 5-18 სმ დიამეტრის; **ფერი:** ღია ნაბლისფრიდან მურა-ყავისფრამდე, ზოგჯერ – ზეთისხილისფერი ან მონითალო ელფერით; ხელის დაჭერისას მუქდება ან შავდება, ზოგჯერ ლურჯდება; **ფორმა:** თავიდან ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცული, მომრგვალობალიშისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, ხავერდოვანი, ნესტიან ამინდში ოდნავ ლორწოვანი; **კიდე:** თავიდან დაშვებული, შემდეგ – ზოგჯერ ზემოთ ანეული, ტალღოვანი

ფეხი – 6-14 x 2-5 სმ; **ფერი:** მოყვითალო-მონითალო-ნარინჯისფერი; **ფორმა:** ცილინდრული ან ბოლქვისებრი, კასრისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მკვრივი, ზედაპირზე წითელი წინწკლებისებრი ქერცლით, ბადისებრი ორნამენტის გარეშე

ჰიმენოფორი – მილნაირი, წვრილი, მომრგვალო ფორებით, თავიდან – მოყვითალო, მოყვითალო-მომწვანო, შემდეგ – მონითალო-ნარინჯისფერი, ხელის დაჭერისას ლურჯდება.

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 11-16 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – მომწვანო-მოყავისფრო

რბილობი – ხორცოვანი, ყვითელი ან მოყვითალო; დამახასიათებელი სუნის გარეშე; გადატეხისთანავე ლურჯდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში, უპირატესად მუხებთან და ნაძვებთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ჩრდ. აფრიკა

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადუღი წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.

მსგავსი სახეობები – წითელფეხა მუხისძირა შეიძლება აგვერიოს შხამიან სატანას სოკოში (*Rubroboletus satanas*), რომლისგანაც განსხვავდება რბილობით. სატანას სოკოს რბილობი გადატეხისას ნელ-ნელა წითლდება და შემდეგ ლურჯდება. ახასიათებს უსიამოვნო სუნი.



სატანას სოკო

Devil's Bolete

Rubroboletus satanas

ქუდი – 10-35 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო, იშვიათად – მოყვითალო ან მომწვანო ელფერით, მოვარდისფრო ლაქებით; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცული, მომრგვალო-ბალიშისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მკვრივი, მშრალი, ხავერდოვანი, ნესტიან ამინდში – ლორწოვანი; **კიდე:** თავიდან – დაშვებული, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი

ფეხი – 6-18 x 4-12 სმ; **ფერი:** მოყვითალო-წითელი, ქუდთან და ძირში მკვეთრად ყვითელი; **ფორმა:** თავიდან – მომრგვალო-კასრისებრი, შემდეგ – ცილინდრული, ძირში – ბოლქვისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მკვრივი, მშრალი, ბადისებრი ორნამენტით

ჰიმენოფორი – მილნაირი, წვრილი, მომრგვალო ფორებით, თავიდან – მოყვითალო, შემდეგ – მოყვითალო-მომწვანო, ნარინჯისფერი, ბოლოს – ღვინისფერ-წითელი. თითის დაჭერისას ხდება მოლურჯო-მომწვანო.

სპორები – თითისტარისებრ ოვალური, გლუვი; 11-15 x 4-7 მკმ; ანაბეჭდი – მომწვანო-მოყავისფრო

რბილობი – ხორცოვანი, მკვრივი, ქუდში – მოთეთრო, ფეხში – ოდნავ მოვარდისფრო, გადატეხისას ნელ-ნელა წითლდება და შემდეგ ლურჯდება. ახალგაზრდა ნაყოფსხეულს ახასიათებს სასიამოვნო სუნი, შემდეგ კი – მძორის არასასიამოვნო სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ნათელ ფოთლოვან ტყეში, უმეტესად მუხნარებში, კარბონატულ ნიადაგზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – შხამიანია. იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის ძლიერ დაზიანებას. მიღებიდან დაახლოებით 2 საათის შემდეგ ვლინდება შემდეგი სიმპტომები: ძლიერი მუცლის ტკივილი, ღებინება, ფაღარათი (ზოგჯერ სისხლიანი), რაც შეიძლება გახანგრძლივდეს 6 საათამდე. მძიმე შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს კიდურების დამბლა, ძლიერი თავის ტკივილი და გონების დაკარგვა.

მსგავსი სახეობები – სატანას სოკო შეიძლება აგვერიოს წითელფეხა მუხისძირაში (*Neoboletus erythropus*) ან მუხისძირაში (*Suillellus luridus*). მათგან განსხვავებით, სატანას სოკოს რბილობი გადატეხისას ნელ-ნელა წითლდება და ბოლოს ლურჯდება.





მუხისძირა

Lurid Bolete

Suillellus luridus

ქუდი – 3-15 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მურა ან მურა-მონაცრისფერი; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცული, ბალიშისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, ხავერდოვანი, ნესტიან ამინდში – ლორწოვანი; **კიდე:** თავიდან – დაშვებული, შემდეგ – ტალღოვანი

ფეხი – 5-15 x 2-5 სმ; **ფერი:** მონთალო-მოყვითალო, თითის დაჭერისას ლურჯდება; **ფორმა:** თავიდან – კასრისებრი, შემდეგ – ცილინდრული და ძირისკენ უფრო გამსხვილებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მკვრივი; მონთალო-მურა შეფერილობის მოგრძო, ბადისებრი ძარღვებით დაფარული ზედაპირით

ჰიმენოფორი – მილნაირი, წვრილი, მომრგვალო ფორებით, თავიდან – მომწვანო-მოყვითალო, შემდეგ – წითელი; ხელის დაჭერისას ლურჯდება.

სპორები – კვერცხისებრ-ელიფსური, გლუვი; 9-17 x 5-7 მკმ; ანაბეჭდი – მომწვანო-მოყვითალო-მურა

რბილობი – ხორცოვანი, მკვრივი, ღია მოყვითალო, ფეხის ძირში – მონთალო, გადატეხისას სწრაფად ლურჯდება.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, უმეტესად მუხნარებში, კარბონატულ ნიადაგზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ჩრდ. აფრიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადუდი წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.

მსგავსი სახეობები – მუხისძირა შეიძლება ავეერიოს შხამიან სატანას სოკოში (*Rubroboletus satanas*), რომლისგანაც განსხვავდება რბილობით. სატანას სოკოს რბილობი გადატეხისას ნელ-ნელა წითლდება და შემდეგ ლურჯდება, ახასიათებს უსიამოვნო სუნს.





ნალველა სოკო

Bitter Bolete

Tylopilus felleus

ქუდი – 3-12 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-ყავისფერი, ჩალისფერი, მონაცრისფრო-მოყავისფრო; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, ბალიშისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, ხავერდოვანი, ნესტიან ამინდში – ოდნავ ლორწოვანი; **კიდე:** თავიდან – დაშვებული, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – დახეთქილი

ფეხი – 4-10 x 1.5-4 სმ; **ფერი:** მოყავისფრო-ჩალისფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში გამსხვილებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მურა ფერის ბადისებრი ორნამენტით

ჰიმენოფორი – მილნაირი, წვრილი ფორებით, მომრგვალო-ნახნაგოვანი, ფეხთან შებრდილი; ჰიმენიუმი 2 სმ სისქის; თავიდან – თეთრი, შემდეგ – ქუჩყისფერ-ვარდისფერი; თითის დაჭერისას ვარდისფრდება.

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 12-14 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – მოვარდისფრო

რბილობი – ხორცოვანი, მკვრივი, თეთრი; დამახასიათებელი სუნის გარეშე; გადატეხისას ვარდისფრდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – მწარე გემოს გამო საჭმელად თითქმის არ იყენებენ. შეიძლება გამოიწვიოს ლებინება.

მსგავსი სახეობები – ნალველა სოკო შეიძლება აგვერიოს დათვის სოკოში (*Boletus edulis*) ან წაბლისფერ ხავსის სოკოში (*Imleria badia*). მათგან განსხვავებით, ნალველა სოკოს რბილობი გადატეხისას ვარდისფრდება.





ჭრელი ხავსის სოკო

Red Cracking Bolete

Xerocomellus chrysenteron

ქუდი – 2-8 სმ დიამეტრის; **ფერი:** მომწვანო-მოყავისფრო-მოყვითალო, მონაცრისფრო-მოყავისფრო, მონითალო-მოყავისფრო, მონითალო-მოვარდისფრო; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ბალიშისებრ-ამობურცული, ზოგჯერ – შუაში ოდნავ ჩაჭყლეთილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, აბრეშუმისებრ-ბოჭკოვანი, მშრალი, ხავერდოვანი, ბადისებურად დახეთქილი ზედაპირით, ნახეთქებში – მოვარდისფრო; **კიდე:** თავიდან – დაშვებული, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – აპრეხილი, ტალღოვანი

ფეხი – 5-8 x 1-1.5 სმ; **ფერი:** ზედა ნაწილში – ყვითელი, ქვევით – მონითალო-იისფერი, თითის დაჭერისას უჩნდება მოლურჯო ლაქები; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ წვრილდება, ზოგჯერ მოგრეხილი; **ტექსტურა:** წვრილბოჭკოვანი, გლუვი

ჰიმენოფორი – მილნაირი, განიერკუთხიანი ფორებით, ფეხთან შეზრდილი, თავიდან – ყვითელი, შემდეგ – მოყვითალო-მომწვანო, გოგირდისფერი; თითის დაჭერისას ლურჯდება.

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 9-16 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – მომწვანო-მოყავისფრო

რბილობი – მოყვითალო, ქუდის კანქვეშ და ფეხის ძირში მონითალო; დამახასიათებელი სუნის გარეშე; გადატეხისას ლურჯდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად წიფლნარებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ჩრდ. აფრიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა.





მწვანე ხაზის სოკო

Suede Bolete

Xerocomus subtomentosus

ქუდი – 3-12 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მომწვანო, მომწვანო-მონაცრისფრო; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, ბალიშისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, ხავერდოვან-ბოჭკოვანი, ზოგჯერ – დამსკდარი; **კიდე:** ტალღოვანი

ფეხი – 5-10 x 1-2 სმ; **ფერი:** მოყვითალო-ყავისფერი, ზოგჯერ – მონათალო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ წვრილდება, ზოგჯერ – მოგრეხილი; **ტექსტურა:** გლუვი, ბოჭკოვანი, მურა ბადისებრი ორნამენტით

ჰიმენოფორი – მილნაირი, მსხვილკუთხიანი ფორებით, ფეხთან შეზრდილი, დაღმავალი, ყვითელი; თითის დაჭერისას ლურჯდება.

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 10-14 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – მურა

რბილობი – მოყვითალო; ახასიათებს ხილის სუნი; გადატეხისას ოდნავ ლურჯდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ასევე, გზისპირებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ჩრდ. აფრიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა.





მიქლიო (მელაკუდა, მელისყურა, ქათამბარკალა)

Chanterelle

Cantharellus cibarius

ქუდი – 4-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** ღია ყვითლიდან მუქ ნარინჯისფრამდე; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი, ძაბრისებრი, ზოგჯერ ჩაჭყლებილი, ქუდსა და ფეხს შორის მკაფიო საზღვარი არ შეინიშნება; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მკვრივი, გლუვი; **კიდე:** შეკეცილი, ტალღოვანი, დანაკვეთილი

ფეხი – 4-7 x 1-4 სმ; **ფერი:** ქუდისფერი; **ფორმა:** ზემოთ განიერი, ქვემოთ ვრცელი; **ტექსტურა:** მკვრივი, გლუვი

ჰიმენოფორი – ქუდი ქვემოდან დაფარულია ქუდისფერი, სქელი, მეჩხერი, ფეხისკენ დაღმავალი, ჩანგლისებურად განშტოებული ძარღვებით (ცრუფირფიტები).

სპორები – ელიფსური, გლუვი, ცხიმოვანი წვეთებით, 7-10 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – ყვითელი

რბილობი – ხორცოვანი, მოყვითალო-მოთეთრო, ახასიათებს ხილის სასიამოვნო სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ხავსიან და ტენიან ადგილებში, ხშირად ჯგუფებად.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – მიქლიო შეიძლება აგვერიოს ცრუ მიქლიოში (*Hygrophoropsis aurantiaca*). მიქლიოს ქუდი ყვითელია, ცრუ მიქლიოსი – მუქი ნარინჯისფერ-ყვითელი, მიქლიოს ფეხი ყოველთვის მკვრივი და არ არის ფუყე; ნამდვილი მიქლიო არასოდეს იზრდება დამპალ მერქანზე და ჩამოცვენილ ტოტებზე.





ძაბრა სოკო

Horn Of Plenty

Craterellus cornucopioides

ქუდი – 3-6 სმ დიამეტრის; **ფერი:** შიგნიდან – მონაცრისფრო-მოშავო, გარედან მონაცრისფრო-მოთეთრო; **ფორმა:** ძაბრისებრი, ღრმულიანი, ძირისკენ თანდათან წვრილდება, ქუდი პირდაპირ გადადის ფეხში, მათ შორის ზღვარი არ არის; **ტექსტურა:** ბოჭკოვანი, ქერცლოვანი; **კიდე:** შეკეცილი, ტალღოვანი, ზოგჯერ დანაკვეთული

ფეხი – 5-12 x 1-3 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო-მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული; **ტექსტურა:** ცვილისებრი, ფუყე

ჰიმენოფორი – ქუდი და ფეხი გარედან დაფარულია მონაცრისფრო, გლუვი, ოდნავ დანაოჭებული ჰიმენიალური ფენით, ძარღვისებრი ცრუფირფიტები არ გააჩნია.

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი; 11-13.5 x 6.5-9 მკმ; ანაბეჭდი – კრემისფერი

რბილობი – თხელი, დრეკადი, მოშავო, გამობატული სუნის გარეშე

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ჯგუფებად ნიადაგზე, მთაში, ტენიან ფოთლოვან ტყეში, განსაკუთრებით წიფლნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





ძაბრისებრი მიქლიო

Trumpet Chanterelle

Craterellus tubaeformis

ქუდი – 1-4 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყავისფრო-მოყვითალო, მოყვითალო-მონაცრისფრო-ყავისფერი; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ძაბრისებრი, ღრმად ჩაჭყლეთილი, თითქმის მილნაირი, ქუდი პირდაპირ გადადის ე.წ. ფეხში, მათ შორის მკაფიო საზღვარი არ შეინიშნება; **ტექსტურა:** თხელხორცოვანი, ხვერდოვანი, დრეკადი; **კიდე:** შეკეცილი, ტალღოვანი, დანაკვეთული

ფეხი – 3-6 x 0.3-1 სმ; **ფერი:** ყვითელი, მოყვითალო ნაცრისფერი; **ფორმა:** ცილინდრული, გვერდებში შეჭყლეთილი, მილნაირი, ზოგჯერ ქუდში უჩნდება ხვრელი; **ტექსტურა:** დრეკადი, ფუყე, ცვილისებრი

ჰიმენოფორი – ქუდი ქვემოდან დაფარულია მონაცრისფრო, სქელი, მეჩხერი, ფეხისკენ დაღმავალი, ჩანგლისებურად განშტოებული ძარღვებით (ცრუფირფიტები).

სპორები – ელიფსური, გლუვი; 9-11 x 6-11 მკმ; ანაბეჭდი – კრემისფერი

რბილობი – თხელი, დრეკადი, მოყვითალო; გამოირჩევა ოდნავ სასიამოვნო სუნით.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ხავსიან და ტენიან ადგილებში, ხშირად ჯგუფებად.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





კომბალა სოკო

Truncated Club

Clavariadelphus truncatus

ნაყოფსხეული – კომბლისებრი, კვერთხისებრი, ბლაგვი თავით, ზემოთ – განიერი, ქვევით – ვიწრო, 5-15 სმ სიმაღლის, 3-8 სმ სიგანის, ყვითელი, ძირისკენ მონაცრისფრო ელფერით, დანაოჭებული ზედაპირით, ზოგჯერ გლუვი

სპორები – ელიფსური, გლუვი; 9-12 x 5-8 მკმ; ანაბეჭდი – მოყვითალო

რბილობი – მოთეთრო; დამახასიათებელი სუნის გარეშე; გადატეხისას მუქდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე და ჩამონაცვენზე წინვოვან ტყეში, უმეტესად – ნაძვნარში. გვხვდება ერთეულ ეგზემპლარებად.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში იშვიათად გვხვდება, შეგროვება არ არის რეკომენდებული.





ზვისპირა აბლაბუდა სოკო

Tawny Webcap

Cortinarius callisteus

ქუდი – 3-8 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მოყავისფრო, მუქი ყავისფერი; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ამობურცულ-ბრტყელი, ბორცვაკის გარეშე; **ტექსტურა:** ხორცოვანი, წვრილბოჭკოვანი, ქერცლით, შემდეგ – სადა; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი

ფეხი – 6-9 x 1-2 სმ; **ფერი:** მოყვითალო-მოყავისფრო; **ფორმა:** ცილინდრული ან გურზისებრი; **ტექსტურა:** ბოჭკოვანი; **საყელო/ვოლვა:** ყავისფერი, აბლაბუდისებრი კერძო საბურველის ნარჩენებით

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეტ-ნაკლებად მეჩხერი, ფეხთან შეზრდილი კბილით, ქუდისფერი

სპორები – ელიფსური, ხორკლიანი; 8-9 x 7-8 მკმ; ანაბეჭდი – მურა ყავისფერი

რბილობი – ხორცოვანი, მოყვითალო, ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – შხამიანია.

მსგავსი სახეობები – ყველა აბლაბუდა სოკოს ძირითადი მახასიათებელია ქუდის კიდეებზე ან ფეხზე (ან ერთდროულად ორივეგან) აბლაბუდისებრი კერძო საბურველის ნარჩენები. იმის გამო, რომ სახეობების დიდი ნაწილი შხამიანია (ზოგი მომაკვდინებლადაც), ხოლო სახეობებს შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ სოკოს გამოუცდელი შემგროვებლისთვის რთულია მათი ერთმანეთისგან გარჩევა, აბლაბუდა სოკოების შეგროვება დაუშვებელია.





ალუბლისძირა

The Miller

Clitopilus prunulus

ქუდი – 3-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო, მოთეთრო-მონაცრისფრო; **ფორმა:** მრგვლად ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ ძაბრისებრი, ოდნავ ჩაჭყლეტილი; **ტექსტურა:** გლუვი, მშრალი, ნესტიან ამინდში – ოდნავ ლორწოვან-ნებოვანი; **კიდე:** ტალღოვანი, ოდნავ შეკეცილი

ფეხი – 2-6 x 1-2 სმ; **ფერი:** ქუდისფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ – ექსცენტრული, მოღუნული, ძირისკენ უფრო წვრილი; **ტექსტურა:** ბოჭკოვან-ზოლიანი, შიგნიდან ამოვსებული

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თავიდან – მოთეთრო, შემდეგ – ხორცისფერი, დაღმავალი

სპორები – ელიფსური, ნუშისებრი, ექვსი გრძივი ღარით; 8-12 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – მოვარდისფრო

რბილობი – მოთეთრო; ახასიათებს ფქვილის სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ტყის-პირებში, მდელოებზე, ბაღებსა და -პარკებში, ხშირად გვხვდება მუხასთან და არყთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ალუბლისძირა შეიძლება აგვერიოს შხამიან ცრუ ქამაში (*Entoloma sinuatum*), რომლისგან განსხვავებითაც, ალუბლისძირას ფირფიტები დაღმავალია.





ცრუ ქამა

Livid Pinkgill

Entoloma sinuatum

ქუდი – 5-20 სმ დიამეტრის; **ფერი**: მოთეთრო-მონაცრისფრო, ზოგჯერ მურა ელფერით; **ფორმა**: თავიდან – ამობურცული ან ზარისებრი, შემდეგ – ბრტყლად გაშლილი, შუაში განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა**: ბოჭკოვანი, ნესტიან ამინდში – ოდნავ წებოვანი, გაშრობისას – პრილა; **კიდე**: თავიდან – დაშვებული, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – ტალღოვანი

ფეხი – 6-10 x 1-2.5 სმ; **ფერი**: მოთეთრო-მონაცრისფრო; **ფორმა**: ცილინდრული, ძირისკენ გამსხვილებული, ზოგჯერ მოღუნული, გვერდებში შეწყლეთილი; **ტექსტურა**: მკვრივი, ბოჭკოვან-ზოლიანი, დაფქვილულივით

ჰიმენოფორი – ფირფიტები – განიერი, მეჩხერი, ოდნავ შეზრდილი ფეხთან კბილით, თავიდან – მოყვითალო, შემდეგ – მოვარდისფრო-ხორცისფერი

სპორები – გლუვი, მომრგვალო-ექვსკუთხა; 8-10 x 7-8.5 მკმ; ანაბეჭდი – ვარდისფერი

რბილობი – თეთრი, მკვრივი; ახასიათებს ფქვილის სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ტყის-პირებში, საძოვრებზე, ბაღებსა და პარკებში, უპირატესად თიხნარ ნიადაგზე, მუხასთან, რცხილასთან და წიფელთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – შხამიანია. იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას. მიღებიდან დაახლოებით ნახევარ საათში ვლინდება შემდეგი სიმპტომები: ძლიერი თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეტეორიზმი, გულისრევა, ფაღარათი და სისუსტე. ძლიერი ინტოქსიკაციის შედეგი ლეტალურია.

მსგავსი სახეობები – ცრუ ქამა შეიძლება აგვერიოს მაისის სოკოში (*Calocybe gambosa*), ალუბლისძირაში (*Clitopilus prunulus*) ან მინდვრის სოკოში (*Clitocybe nebularis*). მაისის სოკოსგან განსხვავებით, ცრუ ქამას ფირფიტები მოვარდისფროა, მაისის სოკოსი კი – ყოველთვის თეთრი; ცრუ ქამას სპორების ანაბეჭდი ვარდისფერია, მაისის სოკოსი კი – თეთრი; ცრუ ქამასგან განსხვავებით, ალუბლისძირას ფირფიტები ფეხზე დაღმავალია, მინდვრის სოკოსი კი – უფრო ხშირი, მოთეთრო და ოდნავ დაღმავალი ფეხზე.





ღვიძლა სოკო

Beefsteak Fungus

Fistulina hepatica

ქუდი – 8-25 სმ დიამეტრისა და 2-6 სმ სისქის; **ფერი:** მოწითალო-ხორცისფერი, შემდეგ – მუქი ყავისფერი; **ფორმა:** მომრგვალო-ენისებრი, ღვიძლისებრი, რომელიც გადადის მოკლე გვერდით ფეხში; **ტექსტურა:** ხორცოვანი, ნორჩი სოკოს ზედაპირი სტრუქტურით ჰგავს ხბოს ენას, ხავერდოვანია და ოდნავ წებოვანი, მოგვიანებით კი – პრილა და მშრალი; **კიდე:** სქელხორცოვანი, ზოგჯერ – ტალღოვანი

ფეხი – ძალიან მოკლე და სქელი, ზოგჯერ მის გარეშე; **ფერი:** ზემოდან – ქუდისფერი, ქვემოდან – თეთრი; **ფორმა:** ცილინდრული, გვერდითი; **ტექსტურა:** მაგარი, მკვრივი, ძირში მუქი ბუსუსებით

ჰიმენოფორი – მილნაირი, მრგვალი მილაკები არ არის ერთმანეთთან შეზრდილი; ნორჩობაში შეუიარაღებელი თვალისათვის შესამჩნევია, შემდეგ ერთიან მასას ემსგავსება; თავიდან – მოთეთრო-მოვარდისფრო, შემდეგ – მოყვითალო, ბოლოს – მოწითალო-მოყავისფრო; ფეხზე – დაღმავალი; თითის დაჭერისას ხდება მოწითალო-მურა, ნორჩობაში ზედაპირი ნესტიანია, ხშირად – წითელი ფერის წვეთებით.

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი; 4.5-6 x 3-4 მკმ; ანაბეჭდი – მოვარდისფრო

რბილობი – ხორცოვანი, წვნიანი, სისხლისფერი, მოთეთრო ძარღვისებრი ჩანართებით, წააგავს ახალ ხორცს ან ღვიძლს, შეიცავს წითელ წვენს; ახასიათებს ხილის სუსტი სუნი. მოგვიანებით რბილობი მაგრდება და ხდება ბოჭკოვანი.

ჰაბიტატი – ძირითადად, იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე როგორც ცოცხალ, ისე გამხმარ მუხასა და წაბლზე, ზოგჯერ – წიფელზე. გვხვდება იშვიათად.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ჩრდ. აფრიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში, სანამ რბილობი გაუმავრდება.





არყის სოკო

Birch Polypore

Fomitopsis betulina

ნაყოფსხეული – თაროსებრი, მჯდომარე, ფეხის გარეშე, თავიდან – ბურთისებრი, შემდეგ – ბალიშისებრი ან ნიჟარისებრი, 10-20 სმ დიამეტრის, მოთეთრო, შემდეგ – მოყვითალო ღია მურამდე; გლუვი ან ოდნავ ხავერდოვანი, ზოგჯერ – დახეთქილი, თავიდან – რბილი, შემდეგ – კორპისებრი, სქელკიდიანი, შეკეცილი

ჰიმენოფორი – მილნაირი, წვრილფორიანი, მომრგვალო ან კუთხოვანი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – მონაცრისფრო

რბილობი – თავიდან – რბილი, თეთრი, შემდეგ – კორპისებრი; ახასიათებს სოკოს სასიამოვნო სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

სპორები – ელიფსური, გლუვი; 4.5-6 x 1.3-2 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

ჰაბიტატი – იზრდება მთელი წლის განმავლობაში როგორც ცოცხალ, ისე გამხმარ არყის ხეებზე სუბალპურ ტყეებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – არ იჭმევა. ძველად მისგან ამზადებდნენ აბედს. ხევსურეთში კი სათამაშო ბურთებს თლიდნენ.





ქერცლოვანი ფირფიტაბილა

Scaly Sawgill

Neolentinus lepideus

ქუდი – 4-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო, მოყავისფრო; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ძაბრისებრი, შუაში ოდნავ ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, კონცენტრული დიდი მურა ქერცლით; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – მეთ-ნაკლებად გაშლილი, ზოგჯერ – ტალღოვანი

ფეხი – 3-10 x 2-4 სმ; **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო; **ფორმა:** ცილინდრული, ცენტრალური ან ექსცენტრული, ძირში შევიწროებული, ზოგჯერ – ფესვისებრი წაგრძელებული; **ტექსტურა:** მშრალი, მკვრივი, დაფარული კრამიტისებური მურა ქერცლით

ჰიმენოფორი – ფირფიტები – სქელი, მეთ-ნაკლებად მეჩხერი, დაღმავალი, დაკბილული კიდეებით, მოთეთრო

სპორები – მოგრძო-ელიფსური, გლუვი; 10-13 x 3-4 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ხორცოვანი, მკვრივი, უხეში, თეთრი; ახასიათებს სოკოს სასიამოვნო სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის, მხოლოდ ფეხი ოდნავ უყვითლდება; მოგვიანებით ხდება კორპისებრი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე გამხმარ წინვოვან ხეებზე, ჭირკვებზე, ხეცეულებზე.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში მხოლოდ ქუდები, სანამ რბილობი გაუმაგრდება.





ძარღვა სოკო

Pig's Ear

Gomphus clavatus

ქუდი – 4-14 სმ დიამეტრის; **ფერი**: იისფერი, მოგვიანებით – მოყვითალო ელფერით; **ფორმა**: ძაბრისებრი, ბრტყელი ზედაპირით, ჩაღრმავების გარეშე, ფეხისგან მკვეთრად გამოყოფილი არ არის, ზოგჯერ რამდენიმე ქუდი ერთმანეთთანაა კიდით შებრდილი; **ტექსტურა**: ხორცოვანი, გლუვი; **კიდე**: ანული, ტალღოვანი, დანაკვეთული

ფეხი – 2-4 x 1-3 სმ; **ფერი**: ქუდისფერი; **ფორმა**: ზემოთ – განიერი, ქვემოთ – ვიწრო; **ტექსტურა**: მკვრივი, გლუვი

ჰიმენოფორი – ქუდისფერი, სქელი, მეჩხერი, ფეხის ბოლომდე დაღმავალი, ერთმანეთში გადახლართული ძარღვებით (ცრუ ფირფიტები)

სპორები – ელიფსური, დანაოჭებულ-ხორკლიანი; 10-12 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – მოყავისფრო

რბილობი – ხორცოვანი, მოყვითალო-მოთეთრო; ახასიათებს ხილის სასიამოვნო სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ხშირად – ჯგუფებად, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ხავსიან და ტენიან ადგილებში, განსაკუთრებით – მაღალ მთაში ნაძვთან და სოჭთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ, იმის გამო, რომ იშვიათი სახეობაა, შეგროვება არ არის რეკომენდებული.





ყვითელი საჩაჩლა (ირმის რქა, ირმის ჩხა)

Changle

Ramaria flava

ნაყოფსხეული – ბუჩქისებრი, მარჯნისებრი, უხვად დატოტვილი; ტოტები მეჩხრადაა განლაგებული მოკლე, თანაბარი ზომის, ირმის რქისებრი, ბოლოებში ორად გაყოფილი, ბლაგვი წვერით; 10-20 სმ სიმაღლისა და 10-15 სმ დიამეტრის; კაშკაშა ყვითელი, თანდათან წვეროდან ქვევით იწყებს გამუქებას. თითის დაჭერისას ხდება მონითალო.

ფეხი – 5-8 x 4-5 სმ; **ფერი**: მოთეთრო

რბილობი – მოყვითალო; მყიფე; მოგვიანებით კი უხეშდება; ახასიათებს მოტკბო სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

სპორები – ცილინდრული, ხორკლიანი, 8-15 x 3-6 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ძირითადად, წიფლნარში.

გავრცელება – ევროპა, სამხ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში, სანამ რბილობი გაუუხეშდება. გადაბერებული ნაყოფსხეული მომწაროა, გამწარებას კი იწყებს წვეროებიდან.





მოვარდისფრო საჩიჩელა

Salmon Coral

Ramaria formosa

ნაყოფსხეული – ბუჩქისებრი, მარჯნისებრი, უხვად დატოტვილი, ირმის რქისებრი, ვერტიკალურად მიმართული, ბოლოებში ორად გაყოფილი, ზოგჯერ – ბლაგვი წვერიით; გრძივად -დანაოჭებული ზედაპირით, 7-30 სმ სიმაღლის და 6-15 სმ დიამეტრის; მოყვითალო-მოვარდისფრო, მოვარდისფრო-მონაცრისფრო, ტოტების ბოლოები – ყვითელი, მოგვიანებით – მთლიანად მოყავისფრო, ფეხი – 3-6 x 2.5-6 სმ; მოთეთრო

რბილობი – მოთეთრო-მოვარდისფრო, მყიფე, გადატეხისას ხდება მონითალო; გამოკვეთილი სუნის გარეშე, მწარე გემოთი; მოგვიანებით ხდება ფხშუნადი, ცარცისებრი.

სპორები – ცილინდრული, მკრთალ-ხორკლიანი, 8-14 x 3-6 მკმ; ანაბეჭდი – მოყვითალო

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, იშვიათად წიწვოვანში და, ძირითადად, წიფლნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – შხამიანია. იწვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას.





წითელი ლორწოვანა

Copper Spike

Chroogomphus rutilus

ქუდი – 3-12 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყავისფრო-მონითალო-მოიასამნისფრო; **ფორმა:** თავიდან – მომრგვალო-კონუსისებრი და განიერი ბორცვაკით, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი და განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** ხორცოვანი, ნორჩობაში – ძლიერ ლორწოვანი, შემდეგ – მშრალი, აბრეშუმისებრი, პრიალა; ნესტიან ამინდში ისევ ლორწოვანი ხდება; **კიდე:** თავიდან – შეერთებულია ფეხთან აბლაბუდისებრი კერძო საბურველით, შემდეგ – გაშლილი.

ფეხი – 3-16 x 2-2.5 სმ; **ფერი:** მოყვითალო-მონითალო, ნარინჯისფერი ელფერით; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ შევიწროებული, ზოგჯერ – მოღრეცილი; **ტექსტურა:** ბოჭკოვან-ქერცლოვანი, ხორცოვანი; **საყელო/ვოლვა:** აბლაბუდისებრი კერძო საბურველის ნარჩენები ფეხის ზედა ნაწილში ტოვებს საყელოსებრ ნარჩენებს, რომელიც მალე ქრება, ზოგჯერ რჩება რკალისებური ანაბეჭდი.

ჰიმენოფორი – ფირფიტები – განიერი, მეჩხერი, სქელი, დაღმავალი, ფეხთან შეზრდილი; ადვილად შორდება ქუდს; თავიდან – მოყავისფრო-მონაცრისფრო, შემდეგ – მონითალო-იასამნისფერი; ნორჩობაში ფირფიტები მთლიანად დაფარულია მოთეთრო ბოჭკოვანი აბლაბუდისებრი კერძო საბურველით.

სპორები – გლუვი, თითისტარისებრი; 14-22 x 6-7 მკმ; ანაბეჭდი – ყავისფერი

რბილობი – ხორცოვანი, უსუნო. ქუდში – მონითალო, ფეხში – ბოჭკოვანი, იასამნისფერი ელფერით; ფეხის ძირში – მოყვითალო

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფიჭვნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





ნაძვნარების ლორწოვანა

Slimy Spike

Gomphidius glutinosus

ქუდი – 3-8 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო-მოყავისფრო; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ ამობურცულ-გაშლილი, ოდნავ ჩაჭყლეთილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, ლორწოვანი, გაშრობისას პრილა; **კიდე:** შეკეცილი, თავიდან – შეერთებულია ფეხთან აბლაბუდისებრი კერძო საბურველით.

ფეხი – 4-10 x 0.7-2 სმ; **ფერი:** მოთეთრო-მონაცრისფრო, ძირში მოყვითალო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ოდნავ განიერი; **ტექსტურა:** სქელხორცოვანი, ლორწოვანი, მუქი ქერცლით; **საყელო/ვოლვა:** კერძო საბურველი ლორწოვანია, ფეხის ზედა ნაწილში ტოვებს საყელოსებრ ნარჩენებს, რომელიც მალე ქრება, ზოგჯერ რჩება რკალისებრი ანაბეჭდი.

ჰიმენოფორი – ფირფიტები – განიერი, მეჩხერი, სქელი, დაღმავალი, ფეხთან შეზრდილი, თავიდან – მოთეთრო, მოგვიანებით – მურა ფერის, თითქმის შავი. ნორჩობაში ფირფიტები მთლიანად დაფარულია ლორწოვანი კერძო საბურველით.

სპორები – თითისტარისებრი, გლუვი; 17-23 x 5-6.5 მკმ; ანაბეჭდი – მუქი ყავისფერი

რბილობი – ხორცოვანი, თეთრი, ფეხის ძირში – მოყვითალო; ახასიათებს სოკოს სასიამოვნო სუნს.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წინვოვან ტყეში, ძირითადად, ნაძვნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





ენისებრი ბანარა

Tiered Tooth

Hericium cirrhatum

ნაყოფსხეული – მრავალიარუსიანი, თაროსებრი, ენისებრი, ხორცოვანი, 15-20 სმ დიამეტრის და 2-3 სმ სისქის; თავიდან – თეთრი, მოვარდისფრო, შემდეგ – მოყვითალო-მოყავისფრო; ზედა მხარე ჭაგრისებრ ბუსუსიანია, ქვედა მხარე კი დაფარულია გრძელი 0.5-1 სმ სიგრძის წაწვეტებული ეკლებით, რომლებიც მიმართულია ქვემოთ.

რბილობი – ხორცოვანი, რბილი, შემდეგ – რბილ-კორპისებრი; მოთეთრო; უსუნო; გადატეხისას ჰაერზე ფერს არ იცვლის.

სპორები – სფეროსებრი, გლუვი; ერთი დიდი ცხიმოვანი წვეთით; 3.5-4 x 3-3.5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე გამხმარ და დამპალ ფოთლოვან ხეებზე, ხექცეულებზე, განსაკუთრებით – მუხასა და წიფელზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ იმის გამო, რომ იშვიათი სახეობაა, შეგროვება არ არის რეკომენდებული.





ირმის ბანარა

Coral Tooth

Hericum coralloides

ნაყოფსხეული – საშუალოდ 30-40 სმ დიამეტრის, თეთრი, მოგვიანებით – მოყვითალო-მოყავისფრო ელფერით, მარჯნისებრი, ძლიერ დატოტვილი; ტოტები – 0.5-1 სმ სისქის, გლუვი; დაფარულია გრძელი 0.5-1 სმ სიგრძის ეკლებით, რომლებიც მიმართულია ქვემოთ. ტოტები გამოდის ცენტრალური ადგილიდან, საიდანაც ემაგრება სუბსტრატს.

რბილობი – ხორცოვანი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოყვითალო; განსაკუთრებული სუნის გარეშე; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

სპორები – სფეროსებრი, გლუვი ან ოდნავ ხორკლიანი, 3.5-4.5 x 3-3.5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე გამხმარ და დამპალ ფოთლოვან ხეებზე, ხექცეულებზე, განსაკუთრებით – წიფელზე.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ იმის გამო, რომ იშვიათი სახეობაა, შეგროვება არ არის რეკომენდებული.

მსგავსი სახეობები – ირმის ბანარა შეიძლება აგვერიოს კრავაში (*Hericum flagellum*). მათ შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ გარჩევა თითქმის შეუძლებელია. ძირითადად, განსხვავდებიან პატრონმცენარით. კრავა გვხვდება მაღალმთიან რეგიონებში მხოლოდ წინვოვნებზე, უპირატესად სოჭზე, და მისი ეკლები უფრო გრძელია, ვიდრე ირმის ბანარასი.





გულა სოკო

Bearded Tooth

Heridium erinaceus

ნაყოფსხეული – გულის ფორმის, მსხლისებრი ან უფრო მომრგვალო, 5-40 სმ დიამეტრის; ფეხის გარეშე, მთლიანად მიმაგრებული სუბსტრატთან, თეთრი, მოვარდისფრო ელფერით, შემდეგ – მოყვითალო-ჩალისფერი; მთლიანად დაფარული ძირისკენ მიმართული, 2-7 სმ სიგრძის ეკლებივით წანაზარდებით.

რბილობი – სქელხორცოვანი, თეთრი, უსუნო; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

სპორები – კვერცხისებრი, გლუვი, ერთი დიდი ცხიმოვანი წვეთით; 4-5.5 x 5-6.5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე როგორც ცოცხალ, ისე გამხმარ ფოთლოვან ხეებზე, ხექცეულებზე, უმეტესად – მუხაზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ იმის გამო, რომ იშვიათი სახეობაა, შეგროვება არ არის რეკომენდებული.





კრავა

Hericum flagellum

ნაყოფსხეული – საშუალოდ 20-30 სმ დიამეტრის; მოთეთრო-მოვარდისფრო, მოგვიანებით – მოყვითალო-მოყავისფრო ელფერით, მარჯნისებრი, ძლიერ დატოტვილი, ტოტები 0.5-1 სმ სისქის; გლუვი; დაფარულია ძირისკენ მიმართული 2-3 სმ სიგრძის ეკლებით; ტოტები გამოდის ერთი ცენტრალური, ფეხისებრი ადგილიდან, რომლითაც მიმაგრებულია სუბსტრატს.

რბილობი – ხორცოვანი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოყვითალო; განსაკუთრებული სუნის გარეშე; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

სპორები – სფეროსებრი, გლუვი ან ოდნავ ხორკლიანი, 5-6 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე გამხმარ და დამპალ ნიწვოვან ხეებზე, ხექვეულებზე, განსაკუთრებით სოჭზე.

გავრცელება – ევროპა

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ იმის გამო, რომ იშვიათი სახეობაა, შეგროვება არ არის რეკომენდებული.

მსგავსი სახეობები – კრავა შეიძლება აგვერიოს ირმის ბანარაში (*Hericum coralloides*). ისინი იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, რომ გარჩევა თითქმის შეუძლებელია. ძირითადად, განსხვავდებიან პატრონმცენარიტა და სპორების ზომით. კრავა გვხვდება მაღალმთიან რეგიონებში მხოლოდ ნიწვოვნებზე, უპირატესად – სოჭზე, და მისი ეკლები უფრო გრძელია, ვიდრე ირმის ბანარასი.





ირმისტუჩა

Wood Hedgehog

Hydnum repandum

ქუდი – 4-16 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო, მოყვითალო-ნარინჯისფერი, კრემისფერი; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, ბალიშისებრი, ცენტრში ოდნავ ჩაჭყლუეტილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, ხავერდოვანი; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, სქელი, ტალღოვანი, უსწორმასწორო

ფეხი – 3-6 x 1-3 სმ; **ფერი:** თეთრი, მოყვითალო; **ფორმა:** ცენტრალური ან ექსცენტრული, ცილინდრული, ზოგჯერ – ძირში გამსხვილებული, მოღუნული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, ხავერდოვანი, მკვრივი

ჰიმენოფორი – ეკლისებრი; ფეხისკენ დაღმავალი 2-7 მმ. სიგრძის, თეთრი ან მოვარდისფრო-მოყვითალო, მყიფე

სპორები – თითქმის სფეროსებრი, გლუვი; 6.5-9 x 5.5-8 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ხორცოვანი, მოთეთრო, მტვრევადი, მოგვიანებით – უხეში; ახასიათებს სასიამოვნო სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში. ზოგჯერ ქმნის „ქაჯის წრეს“.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა.





მართიო

Deceiver

Laccaria laccata

ქუდი – 1-5 სმ დიამეტრის; **ფერი:** ამინდის მიხედვით იცვლება, ჰაერის საშუალო ტენიანობისას – მონითალო-მოვარდისფრო-ხორცისფერი, ხოლო მშრალ ამინდებში – მოყვითალო; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ძაბრისებრი, შუაში ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** ოდნავ ქერცლოვანი ან ხაოიანი ზედაპირით; **კიდე:** თხელი, ღია ფერის, დაზოლილი

ფეხი – 3-10 x 0.3-1 სმ; **ფერი:** ზედა ნაწილში – ქუდისფერი, ძირისკენ – მოთეთრო ფქვილისებრი ნაფიფქით; **ფორმა:** თანაბარი, თხელი, ზოგჯერ დაგრეხილი; **ტექსტურა:** ბოჭკოვანი, გლუვი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – სქელი, განიერი, მეჩხერი, ოდნავ დაღმავალი მოვარდისფრო-ხორცისფერი, ცვილისებრი, მოთეთრო ფქვილისებრი ნაფიფქით

სპორები – სფეროსებრი, ხორკლიანი; 7 x 10 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თხელი, ქუდისფერი, უსუნო

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ნესტიან ადგილებში, ფოთლოვან და წინვოვან ტყეებში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.





გურზისებრი კლიტოციბა

Club Foot

Ampulloclitocybe clavipes

ქუდი – 4-6 ს. დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო ყავისფერი, კიდეები – უფრო ღია ფერის; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ძაბრისებრ-ბრტყელი, ცენტრში ბორცვაკით; **ტექსტურა:** წყლიანი (ჰიგროფანული), გლუვი; **კიდე:** თავიდან – ოდნავ შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი

ფეხი – 4-8 x 1-3 სმ; **ფერი:** ქუდისფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ გამსხვილებულ-გაბერილი, გურზისებრი; **ტექსტურა:** გლუვი, წყლიანი (ჰიგროფანული)

ჰიმენოფორი – ფირფიტები – საშუალოდ განიერი, დაღმავალი, თეთრი, კიდეები – თავიდან სწორი, შემდეგ – ტალღოვანი, ზოგჯერ დანაკვეთული

სპორები – ელიფსური, 5-7 x 3-4 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, წყლიანი; ახასიათებს ხილის სუსტი სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე, უმეტესად – მალამთიან რეგიონებში, ნიადაგზე. წინვოვან ტყეში, ძირითადად, ფიჭვნარებში. იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ფოთლოვან ტყეშიც.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა, თუმცა ალკოჰოლთან ერთად მისი მიღება იწვევს ძლიერ ინტოქსიკაციას, რის ნიშნებიც – ძლიერი თავის ტკივილი, გაძლიერებული პულსაცია თავისა და კისრის არეში, იშვიათად კი ხელების შეშუპება – ვლინდება 2-7 საათში.





წითელი ჰიგროციბა

Scarlet Waxcap

Hygrocybe coccinea

ქუდი – 2-5 სმ დიამეტრის; **ფერი:** თავიდან – ნარინჯისფერ-წითელი, შემდეგ – ყვითლდება; **ფორმა:** ზარისებრი, მოგვიანებით – ამობურცულ-გაშლილი; **ტექსტურა:** ცვილისებრი, ლორწოვანი; **კიდე:** თხელი, ზოგჯერ – დამსკდარი

ფეხი – 5-7 x 0.5-1 სმ; **ფერი:** ქუდისფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ ძირისკენ მოღუნული; **ტექსტურა:** გლუვი, პრიალა

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეჩხერი, სქელი, ფეხთან შებრდილი კბილით, მოყვითალო-ნარინჯისფერი, შემდეგ – წითელი, ცვილისებრი

სპორები – ელიფსური, გლუვი; 6-10 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თხელი, მონიტალო, უსუნო

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ბალახებში, ბალებსა და პარკებში, მდელოებზე, ტყისპირებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა. გვხვდება იშვიათად. ძირითადად, კერძების გასაფორმებლად იყენებენ.





პირის ჯიშა

Blackening Waxcap

Hygrocybe conica

ქუდი – 2-5 სმ დიამეტრის; **ფერი:** ნარინჯისფერი ან მოწითალო-მონარინჯისფრო, კიდეებისკენ – უფრო ღია, დაზიანებისას და მომწიფებისას მოშავო ელფერს იძენს; **ფორმა:** წვეტიანი კონუსისებური, შემდეგ – გაშლილი კონუსისებური, წვეტიანი ბორცვაკით; **ტექსტურა:** გლუვი, ცვილისებრი, წვიმიან ამინდში – ლორწოვანი, მშრალ ამინდში – აბრეშუმისებრ პრიალა; **კიდე:** უსწორმასწორო, რადიალურად დაზოლილი

ფეხი – 2-10 x 0.3-1 სმ; **ფერი:** მოყვითალო ან მოყვითალო-ნარინჯისფერი, ძირისკენ – უფრო ღია, დაზიანებისას მოშავო ელფერს იძენს; **ფორმა:** ცილინდრული; **ტექსტურა:** ბოჭკოვანი, პრიალა, მყიფე, მომწიფების შემდეგ – ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – თავისუფალი, ღია მოყვითალო ან მომწვანო-ნარინჯისფერი, დაზიანებისას და სპორების მომწიფებისას ხდება მოშავო.

სპორები – ელიფსური, გლუვი; 7-11 x 4.5-6 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მყიფე, ნარინჯისფერი; დამახასიათებელი სუნის გარეშე; ჰაერზე და დაზიანებისას შავდება.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, მდელოებსა და ტყისპირებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – შხამიანია. იწვევს საჭმლის მომწიფებელი სისტემის მოშლას.





ხრაშუნასებრი ჰიგროფორუსი (ხოხბისმკარდა)

Pinkmottle Woodwax

Hygrophorus russula

ქუდი – 7-15 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-მოვარდისფრო, ცენტრში – უფრო მუქი, ღვინისფერი ლაქებით; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – გაშლილი, ბალიშისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, ცენტრში – ნაზი ქერცლით დაფარული, წვიმიან ამინდში – ნებოვან-ლორწოვანი; **კიდე:** შეკეცილი, ტალღოვანი

ფეხი – 6-8 x 2-4 სმ; **ფერი:** თეთრი, მონითალო ლაქებით; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ შევიწროებული, თითისტარისებრი; **ტექსტურა:** მკვრივი, ხორცოვანი, გლუვი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ფეხთან შეზრდილი, ოდნავ დაღმავალი, თეთრი; დაზიანებისას და მომწიფების შემდეგ იფარება მონითალო ლაქებით.

სპორები – ელიფსური, გლუვი; 6-8 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ხორცოვანი, მკვრივი, თეთრი; ახასიათებს ფქვილის სუნი; გადატეხისას ხდება მოვარდისფრო-მონითალო.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, ძირითადად, მუხნარებში.

გავრცელება – ევროპა, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა.





ცრუ მიქლიო

False Chanterelle

Hygrophoropsis aurantiaca

ქუდი – 2-6 სმ დიამეტრის; **ფერი:** ნარინჯისფერ-ყვითელი, ცენტრისკენ უფრო მუქი, კიდისკენ ღია ფერის; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, ბრტყულად გაშლილი, ბოლოს – ძაბრისებრი, ჩაზნექილი; **ტექსტურა:** მშრალი, ხავერდოვანი; **კიდე:** შეკეცილი, ტალღოვანი, ზოგჯერ – დანაკვეთული

ფეხი – 3-6 x 0.5-1 სმ; **ფერი:** ნარინჯისფერ-ყვითელი, ძირისკენ მუქი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ შევიწროებული, ხშირად მოღუნული; **ტექსტურა:** გლუვი, ბოჭკოვანი, თავიდან – შიგნიდან ამოვსებული, შემდეგ – ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, სქელი, დაღმავალი, ჩანგლისებრ დატოტვილი, ნარინჯისფერ-ყვითელი

სპორები – ფართო-ელიფსური, გლუვი; 5-8 x 2.5-5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ქუდის ცენტრში სქელი, მკვრივი; მომნიფების შემდეგ – ბამბისებრი, ყვითელი, მკვეთრი სუნის გარეშე

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე დამპალ ხეებზე და მათ ახლოს, ჩამონაცვენზე, უმეტესად – წინვოვან ტყეში, თუმცა, გვხვდება ფოთლოვანშიც.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა, თუმცა, შეიძლება გამოიწვიოს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლა და გასტროენტერიტი.

მსგავსი სახეობები – ცრუ მიქლიო შეიძლება აგვერიოს მიქლიოში (*Cantharellus cibarius*). ცრუ მიქლიოს ქუდი მუქი ნარინჯისფერ-ყვითელია, მიქლიოსი კი – უფრო მოყვითალო. მიქლიოს ფეხი ყოველთვის მკვრივია და არ არის ფუყე. მიქლიო არასოდეს იზრდება დამპალ მერქანზე და ჩამოცვენულ ტოტებზე.





არშიანი გალერინა

Funeral Bell

Galerina marginata

ქუდი – 0.5-4 სმ; **ფერი**: ნარინჯისფერ-ყავისფერი, ჟანგისფერი, ნესტიან ამინდში უჩრდება მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი, კონცენტრული, ღია ფერის რგოლები; **ფორმა**: თავიდან – ამობურცულ-ზარისებრი; შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, თითქმის ბრტყელი; **ტექსტურა**: ჰიგროფანული, გლუვი, ნესტიან ამინდში – ნებოვანი, გაშრობისას – პრიალა, მბზინავი; **კიდე**: თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ოდნავ დაზოლილი, გამჭვირვალე

ფეხი – 2-8 x 0.2-1 სმ; **ფერი**: ქუდისფერი, საყელოს ზევით – მოთეთრო; **ფორმა**: ცილინდრული, მოღუნული, ძირისკენ ოდნავ განიერი; **ტექსტურა**: ზოლიან-ბოჭკოვანი, საყელოს ზევით – დაფქვილული, საყელოს ქვევით – ბოჭკოვანი, ძირში თეთრი ხავერდოვანი ნაფიფქით, ფუყე; **საყელო/ვოლვა**: საყელო – ფირფიტოვანი, დაზოლილი, მოყვითალო, მალე ქრება და ზოგჯერ ფეხზე რჩება მოყავისფრო, წრიული ნაჭდევი.

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ვიწრო, ხშირი, ფეხთან შებრდილი, ოდნავ დაღმავალი, თავიდან – მოთეთრო, შემდეგ – მუქი ყავისფერი. ნორჩობაში მთლიანად დაფარულია აპკისებრი კერძო საბურველით.

სპორები – ნუშისებრი, ოდნავ ხორკლიანი, 8-15 x 5-7 მკმ; ანაბეჭდი – მოყავისფრო

რბილობი – თხელი, მოყვითალო; ახასიათებს ფქვილის სუსტი სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე დამპალ, ხრწნად მერქანზე, ჯირკვებზე და მათ ახლოს, ჩამოცვენილ ტოტებზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია

გამოყენება – მომავკვინებლად შხამიანია. შხამას მსგავსად, შეიცავს ამატოქსინებს. 30 გრამი (2-3 ნაყოფსხეული) საკმარისია, რომ გამოიწვიოს სიკვდილი. მიღებიდან 10-14 საათში ვლინდება შემდეგი სიმპტომები: თავისა და მუცლის ძლიერი ტკივილი, სისუსტე, პირღებინება და ძლიერი ფალარათი, მხედველობის დარღვევა, კრუნჩხვა, დაუოკებელი წყურვილი. სამი დღის შემდეგ მონამულუს ეწყება მოჩვენებით უკეთესობა, მაგრამ, სინამდვილეში, ინტენსიურად მიმდინარეობს ღვიძლის დაშლა და სრულდება ლეტალურად.

მსგავსი სახეობები – არშიანი გალერინა შეიძლება აგვერიოს ზამთრის სოკოში (*Flammulina velutipes*) ან ზაფხულის მანჭკვალაში (*Kuehneromyces mutabilis*). ზამთრის სოკოს ქუდი ლორწოვანია და პრიალებს, არშიანი გალერინასი კი მშრალია და გლუვი; ზამთრის სოკოს ფეხი ყოველთვის ხავერდოვანია, არშიანი გალერინას ფეხი კი არასდროსაა ხავერდოვანი; არშიან გალერინასა და ზაფხულის მანჭკვალას შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ სოკოს გამოცდილ შემგროვებელსაც კი შეიძლება აერიოს ერთმანეთში. უნდა გვახსოვდეს: არშიანი გალერინა იზრდება ძირითადად ნიწვოვნებზე.





ცრუსრაშუნა

Poisonpie

Hebeloma crustuliniforme

ქუდი – 4-8 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო-მოყვითალო-ყავისფერი, შუაში უფრო მუქი შეფერილობით; **ფორმა:** თავიდან – ბალიშისებრ ამობურცული, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, თითქმის ბრტყელი, განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** ხორცოვანი, ლორწოვან-წებოვანი, შემდეგ – მშრალი, პრიალა, მბზინავი; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი

ფეხი – 4-7 x 1-2.5 სმ; **ფერი:** მოთეთრო-მოყვითალო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში შეიძლება იყოს მსხვილი; **ტექსტურა:** მშრალი, წვრილქერცლოვანი, თავიდან – სავესე, შემდეგ – ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან შეზრდილი კბილით, არათანაბარი კიდეებით, მოთეთრო-მონაცრისფრო, შემდეგ – მოყვითალო-მურა; ნესტიან ამინდში გამოყოფს გამჭვირვალე წვეთებს, რომლებიც გაშრობის შემდეგ ტოვებს მურა ლაქებს. წვეთები სავესეა მომნიშვნელო სპორებით.

სპორები – ნუშისებრი, ხორკლიანი; 10-12 x 5-6.5 მკმ; ანაბეჭდი – მოყავისფრო

რბილობი – სქელხორცოვანი, რბილი, მოთეთრო; ახასიათებს ბოლოკის სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე, ზოგჯერ – ზამთარშიც ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ბაღებსა და პარკებში, გზისპირებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – შხამიანია. იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას. მიღებიდან 3-4 საათში ვლინდება შემდეგი სიმპტომები: ძლიერი მუცლის ტკივილი, ფაღარათი და ღებინება.





კატუიარის ბოჭკოვანა

Deadly Fibrecap

Inocybe erubescens

ქუდი – 3-9 სმ დიამეტრის; **ფერი:** თავიდან – მოთეთრო-მოყვითალო, მოგვიანებით – მონითალო-მოყვითალო-მოყავისფრო; **ფორმა:** კონუსისებრი, ზარისებრი, მოგვიანებით – გაშლილი, შუაში კონუსისებური ბორცვაკით; **ტექსტურა:** ზედაპირი – აბრეშუმისებრი, რადიალური ბოჭკოებით, დახეთქილი; **კიდე:** თავიდან – დანეული, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი, დახეთქილი

ფეხი – 2-10 x 0.5-1 სმ; **ფერი:** ქუდისფერი, ოდნავ ღია; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ოდნავ გამსხვილებული; **ტექსტურა:** აბრეშუმისებრი, გრძელობოჭკოვანი, მყიფე, შიგნიდან სავსე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან შეზრდილი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოვარდისფრო-მოყავისფრო, მონითალო ლაქებით

სპორები – გლუვი, ოვალური; 10-13 x 5-8 მკმ; ანაბეჭდი – მოყავისფრო

რბილობი – ბოჭკოვანი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოვარდისფრო; თავიდან უსუნოა, მოგვიანებით კი ახასიათებს უსიამოვნო სუნს; გადატეხისას წითლდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან შემოდგომამდე ნიადაგზე, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, უპირატესად – წიფლნარში, ასევე, პარკებსა და ტყისპირებში.

გავრცელება – ევროპა, აზია

გამოყენება – მომაკვდინებლად შხამიანია. მასში 20-ჯერ უფრო მეტი რაოდენობის მუსკარინია, ვიდრე ცადამაყვანაში; მიღების შემდეგ ნახევარი საათიდან ორი საათის შუალედში ვლინდება შემდეგი სიმპტომები: ლებინება, ფაღარათი, არტერიული წნევის ვარდნა, გულის რიტმის დარღვევა, სუნთქვის გაძნელება, მხედველობის დარღვევა და ძლიერი ციება.

მსგავსი სახეობები – იმის გამო, რომ ამ გვარის სახეობების ნაწილი შხამიანია (ზოგი მომაკვდინებლადაც), სახეობებს შორის მსგავსება კი იმდენად დიდია, რომ მოყვარული შემგროვებლისთვის რთულია გარჩევა, ბოჭკოვანა სოკოების შეგროვება დაუშვებელია.





მინისაული ბოჭკოვანა

White Fibrecap

Inocybe geophylla

ქუდი – 0.5-4 სმ დიამეტრის; **ფერი:** თეთრი, მოვარდისფრო, იისფერი; **ფორმა:** კონუსისებრი, ზარისებრი, წვეტიანი, შემდეგ – გაშლილი, ქოლგისებრი, შუაში წვეტიანი ბორცვაკით; **ტექსტურა:** ზედაპირი – აბრეშუმისებრი, რადიალური ბოჭკოებით, ნესტიან ამინდში – ჰრი-ალა; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – დახეთქილი

ფეხი – 4-6 x 0.2-0.5 სმ; **ფერი:** ქუდისფერი; **ფორმა:** ცილინდრული, სწორი, ზოგჯერ მოღუნული, ძირისკენ ოდნავ განიერი; **ტექსტურა:** გლუვი, აბრეშუმისებრი-ბოჭკოვანი, თავიდან – ამოვსებული, ბოლოს – ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, სქელი, ფეხთან შეზრდილი, თავიდან მოთეთრო- მოყავისფრო, შემდეგ – თიხისფერი; ნორჩობაში დაფარულია აბლაბუდისებრი კერძო საბურველით.

სპორები – გლუვი, ოვალური; 8-11 x 5-7 მკმ; ანაბეჭდი – მოყავისფრო

რბილობი – თხელი, თეთრი; ახასიათებს მინის სუსტი სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, პარკებში, ტყისპირებში, ბილიკებთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ჩრდ. აფრიკა

გამოყენება – მომაკვდინებლად შხამიანია. შეიცავს დიდი რაოდენობით მუსკარინს. მიღების შემდეგ ნახევარი საათიდან ორი საათის შუალედში ვლინდება შემდეგი სიმპტომები: ღებინება, ფაღარათი, არტერიული წნევის ვარდნა, გულის რიტმის დარღვევა, სუნთქვის გაძნელება, მხედველობის დარღვევა, ძლიერი ცრემლდენა, ნერწყვდენა და ოფლიანობა.

მსგავსი სახეობები – იმის გამო, რომ ამ გვარის სახეობების ნაწილი შხამიანია (ზოგი მომაკვდინებლადაც), სახეობებს შორის მსგავსება კი იმდენად დიდია, რომ მოყვარული შემგროვებლისთვის რთულია გარკვევა, ბოჭკოვანა სოკოების შეგროვება დაუშვებელია.





წვეტიანი ბოჭკოვანა

Split Fibrecap

Inocybe rimosa

ქუდი – 3-7 სმ დიამეტრის; **ფერი:** თაფლისფერი, მუქი ჩალისფერი, მოყავისფრო; **ფორმა:** კონუსისებრი, ზარისებრი, წვეტიანი, შემდეგ – გაშლილი, ქოლგისებრი, შუაში წვეტიანი ბორცვაკით; **ტექსტურა:** ზედაპირი – აბრეშუმისებრი, რადიალური ბოჭკოებით, დახეთქილი, ნესტიან ამინდში – პრიალა; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი, ღრმად დახეთქილი

ფეხი – 3-9 x 0.2-1 სმ; **ფერი:** თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოყავისფრო ელფერით; **ფორმა:** ცილინდრული; **ტექსტურა:** გლუვი, აბრეშუმისებრი, გრძელბოჭკოვანი, ზოგჯერ დაგრეხილი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან შეზრდილი, ზოგჯერ თავისუფალი, თავიდან – მოთეთრო, შემდეგ – მოყავისფრო-მომწვანო

სპორები – გლუვი, ოვალური; 8-15 x 6-8 მკმ; ანაბეჭდი – მოყავისფრო

რბილობი – თხელი, თეთრი, უსუნო; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, პარკებში, ტყისპირებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა, ჩრდ. აფრიკა

გამოყენება – შხამიანია. შეიცავს დიდი რაოდენობით მუსკარინს. მილების შემდეგ ნახევარი საათიდან ორი საათის შუალედში ვლინდება მონამვლის ნიშნები: ღებინება, ფალარათი, არტერიული წნევის ვარდნა, გულის რიტმის დარღვევა, სუნთქვის გაძნელება, მხედველობის დარღვევა და ძლიერი ციება.

მსგავსი სახეობები – იმის გამო, რომ ამ გვარის სახეობების ნაწილი შხამიანია (ზოგი მომავკვინებლადაც) სახეობებს შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ მოყვარული შემგროვებლისთვის რთულია გარკვევა, ბოჭკოვანა სოკოების შეგროვება დაუშვებელია.





მაისის სოკო

St. George's Mushroom

Calocybe gambosa

ქუდი – 5-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო, ღია ყვითელი; **ფორმა:** ბალიშისებრი, ბრტყლად ამოზნექილი; **ტექსტურა:** მშრალი, სქელხორცოვანი, ოდნავ ბოჭკოვანი, ზოგჯერ – რადიალურად დახეთქილი; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი

ფეხი – 5-8 x 1-2 სმ; **ფერი:** მოთეთრო, მკრთალი ყვითელი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ შედარებით ფართო; **ტექსტურა:** გლუვი, სქელხორცოვანი.

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან შებრდილი კბილით, მოთეთრო

სპორები – გლუვი, ელიფსური; 5-6 x 3-4 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, მკვრივი, სქელხორცოვანი, ჰაერზე ფერს არ იცვლის; ახასიათებს ფქვილის სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულზე და – ზაფხულში ნიადაგზე, მდელოებსა და მინდვრებში, ტყისპირებში. ხშირად ქმნის „ქაჯის წრეს“.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – მაისის სოკო შეიძლება აგვერიოს შხამიან ცრუ ქამაში (*Entoloma sinuatum*), რომლის ფირფიტები მოვარდისფროა, მაისის სოკოსი კი ყოველთვის თეთრია. ცრუ ქამას სპორების ანაბეჭდი ვარდისფერია, მაისის სოკოსი კი – თეთრი.





ჯგუფურა

Clustered Domecap

Lyophyllum decastes

ქუდი – 5-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო, მონაცრისფრო-ყავისფერი; **ფორმა:** ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ბრტყლად ამოზნექილ-ამობურცული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, გლუვი, ოდნავ ქერცლოვანი; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – ზემოთ გადაკეცილი, ტალღოვანი, უსწორმასწორო

ფეხი – 5-10 x 0.5-1.5 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო-მოყავისფრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ მსხვილდება, ძირში შეზრდილია სხვა ფეხებთან; **ტექსტურა:** გლუვი, ბოჭკოვანი, მკვრივი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ოდნავ შეზრდილი ან თავისუფალი, მოთეთრო

სპორები – სფეროსებრი, გლუვი; 5-6 მკმ. დიამეტრის; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მკვრივი, თეთრი; ახასიათებს ფქვილის სუნი; ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ჯგუფებად, ბაღებსა და პარკებში, მინდვრებში, ტყისა და, უმეტესად, გზისპირებში, ასევე, დაზიანებულ გრუნტზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





ჰიმლას მატყუარა

Marasmius collinus

ქუდი – 3-5 სმ დიამეტრის; **ფერი:** ღია მოყვითალო-ტყავისფერი, ნესტიან ამინდში – მუქი შეფერილობის, მშრალ ამინდში – ღია ფერის; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი ან კონუსისებრი, შემდეგ – რამდენადმე ამობურცული ან თითქმის ბრტყელი, შუაში მოზრდილი მოყავისფრო ბორცვაკით; **ტექსტურა:** გლუვი, ჰიგროფანული, ადვილად იჩირჭვლება წყლით; ნესტიან ამინდში – ნებოვანი ზედაპირით, გვალვებისას – დაჭმუჭნული; **კიდე:** სადა, ნესტიან ამინდში დაღარული, მყიფე

ფეხი – 4-10 x 0.2-0.6 სმ; **ფერი:** კრემისფერი ან ქუდისფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ოდნავ გამსხვილებული; **ტექსტურა:** გლუვი, დაფქვილულივით, ძირში ბუსუსიანი, თავიდანვე ფუყე, ადვილად მტკრევადი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – განიერი, მეჩხერი, თხელი, ფეხთან შეზრდილი, მოთეთრო-კრემისფერი

სპორები – კვერცხისებრ-ელიფსური, გლუვი; 8-10 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თხელი, კრემისფერი, მყიფე; ჰაერზე ფერს არ იცვლის; ახასიათებს ნივრის ოდნავ შესამჩნევი სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ტყისპირებში, საძოვრებზე, მდელოებსა და მინდვრებში; ხშირად ქმნის „ქაჯის წრეს“.

გავრცელება – ევროპა, აზია

გამოყენება – არ იჭმევა. იწვევს მსუბუქ ინტოქსიკაციას მუცლის ტკივილითა და ფაღარათით.

მსგავსი სახეობები – ჰიმლას მატყუარა შეიძლება აგვერიოს ჰიმლასში (*Marasmius oreades*). მათ შორის ვიზუალური მსგავსება იმდენად დიდია, რომ სოკოს გამოცდილმა შემგროვებელმაც კი შეიძლება ვერ გაარჩიოს. ჰიმლას მატყუარას, ჰიმლასგან განსხვავებით, აქვს გლუვი, ფუყე ფეხი, რომელიც ადვილად ტყდება, ხოლო რბილობს დაკრავს ნივრის ოდნავ შესამჩნევი სუნი.





ჭიშკლა (წკრიალა სოკო, ჭიშკლოვანა)

Fairy Ring Champignon

Marasmius oreades

ქუდი – 2-5 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყავისფრო-მოყვითალო, მშრალ ამინდში – მკრთალი კრემისფერი, ნესტიან ამინდში – თიხისფერი, წრიული ღია ფერის ლაქებით; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი ან კონუსისებრი, შემდეგ – რამდენადმე ამობურცული ან თითქმის ბრტყელი, შუაში მოზრდილი მოყავისფრო ბორცვაკით; **ტექსტურა:** გლუვი, ჰიგროფანული, ადვილად იჭირჯვლება წყლით, ნესტიან ამინდში – ნებოვანი ზედაპირით; **კიდე:** დაღარული ან დაკბილული, მყიფე

ფეხი – 4-10 x 0.2-0.6 სმ; **ფერი:** ქუდისფერი, ძირისკენ უფრო მუქი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში ოდნავ გამსხვილებული; **ტექსტურა:** ხრტილოვანი, მკვრივი, ბოჭკოვანი, ამოვსებელი, ადვილად არ ტყდება, იგრინება.

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეჩხერი, განიერი, სქელი, თავიდან – შეზრდილი, შემდეგ – თავისუფალი, ნესტიან ამინდში მოყავისფრო, მშრალ ამინდში მოთეთრო-კრემისფერი

სპორები – კვერცხისებრ-ელიფსური, გლუვი; 7-10 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თხელი, კრემისფერი, მყიფე; ჰაერზე ფერს არ იცვლის; ახასიათებს ნუშის სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, ტყისპირებში, საძოვრებსა და მინდვრებში. ხშირად ქმნის „ქაჯის წრეს“.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ჭიშკლა შეიძლება აგვერიოს ჭიშკლას მატყუარაბი (*Marasmius collinus*). მათ შორის ვიზუალური მსგავსება იმდენად დიდია, რომ გამოცდილმა შემგროვებელმაც კი შეიძლება ვერ გაარჩიოს. ჭიშკლასგან განსხვავებით, ჭიშკლას მატყუარას აქვს გლუვი, ფუყე ფეხი, ხოლო რბილობს დაკრავს ნივრის ოდნავ შესამჩნევი სუნი. ჭიშკლა ჰგავს გაზაფხულის მანჭკვალასაც (*Gymnopus dryophilus*), რომელიც, ჭიშკლასგან განსხვავებით, ძირითადად, იზრდება ტყეში და გამოირჩევა ხშირი და თხელი ფირფიტებით.





სანელაბელა

Garlic Parachute

Mycetinis alliaceus

ქუდი – 2-5 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყავისფრო-ჩალისფერი, მურა ყავისფერი, კიდებზე უფრო ღია ფერის; **ფორმა:** თავიდან – ზარისებრი, კონუსური, შემდეგ – გაშლილი, ქოლგისებრი, კარგად გამოხატული განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** გლუვი, შიშველი, ნესტიან ამინდში – ოდნავ ლორწოვანი, მშრალ ამინდში – დაჭმუჭნილი; **კიდე:** ოდნავ გამჭვირვალე, დაბოლილი

ფეხი – 5-15 x 0.1-0.3 სმ; **ფერი:** მოყავისფრო-მურა, ქუდთან უფრო ღია ფერის; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ სქელდება, ფესვისებრი; **ტექსტურა:** მყარი, მაგარი, ხრტილოვანი, მონაცრისფროდ დამტვერილ-ხავერდოვანი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეტ-ნაკლებად მეჩხერი, ფეხთან თავისუფალი, მოთეთრო-მონაცრისფრო, უსწორმასწორო კიდიით

სპორები – ნუშისებრი, გლუვი; 7-11 x 6-8 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თხელი, მოთეთრო-მონაცრისფრო; ახასიათებს ნივრის ძლიერი სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ჩამონაცვენზე, ფოთლოვან ტყეში, ძირითადად, წიფლნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია

გამოყენება – იჭმევა. იყენებენ სანელებლად.





ნიორა სოკო

Vampires Bane

Mycetinis scorodoni

ქუდი – 1-3 სმ დიამეტრის; **ფერი:** ღია მოყავისფრო-თამბაქოსფერი, მოვარდისფრო-ჩალისფერი, კიდეებში უფრო ღია; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ბრტყლად ამოზნექილი, ცენტრში ჩაჭყლეთილი ან დამახასიათებელი ბორცვაკით; **ტექსტურა:** ძალიან თხელი, მშრალი, ზოლიან-ნაოჭიანი, ხაოიანი ზედაპირით; **კიდე:** თავიდან – დაშვებული, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ ზემოთ აპრეხილი, ნაოჭიან-ზოლიანი

ფეხი – 3-6 x 0.1-0.3 სმ; **ფერი:** მოყავისფრო, ქუდის მხარეს ღია ფერის; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ მოგრეხილი; **ტექსტურა:** მშრალი, გლუვი, პრიალა, ძირისკენ შებუსვილი, ხრტილოვანი, ღრუიანი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეჩხერი, განიერი, ფეხთან შეზრდილი კბილით, მოთეთრო

სპორები – ელიფსური, გლუვი; 8-9 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ძალიან თხელი, ქუდისფერი; ახასიათებს ნივრის მკვეთრად გამოხატული სუნი, რაც გაშრობისას კიდეგ უფრო მძაფრდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ჩამონაცვენზე და ღვინობად მერქანზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა. იყენებენ, ძირითადად, სანელებლად. ხარშვისას ნივრის სუნი ქრება, ხოლო გაშრობისას უფრო მძაფრდება.





ხუჭუჭა აბედა

Hen of the Woods

Grifola frondosa

ნაყოფსხეული – ბუჩქისებრი, ბროკოლისებრი; შედგება ცენტრალურ ღერძზე შეზრდილი, როზეტად შეკრებილი მარაოსებრი, ენისებრი ქუდებისგან; გამოკვეთილი ფეხით. ქუდი – 3-14 სმ დიამეტრის და 5-10 მმ სისქის, სხვადასხვა ფერის რადიალური ზონებით, მონაცრისფროდან მუქ ყავისფრამდე, გლუვი, ხავერდოვანი, ტალღოვან-დანაკვთულკიდიანი. მთლიანი ნაყოფსხეული 15-50 სმ დიამეტრის და 10-25 სმ სიმაღლის.

ჰიმენოფორი – მილნაირი, მომრგვალო-კუთხოვანი, ლაბირინთისებრი, ფეხზე ბოლომდე დაღმავალი, თავიდან – თეთრი, მოგვიანებით – მოყვითალო

სპორები – ელიფსური, გლუვი; 4-7 x 3-5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, მყიფე, ახასიათებს ნიგვზის სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ფოთლოვანი ხეების ძირებზე, დამპალ მერქანზე, ჭირკებზე, უმეტესად მუხაზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ, იმის გამო, რომ იშვიათი სახეობაა, შეგროვება არ არის რეკომენდებული.





ვიგანტური აბედა

Giant Polypore

Meripilus giganteus

ნაყოფსხეული – შედგება ერთმანეთთან ძირში შეზრდილი, როზეტად შეკრებილი მარაოსებრი ქუდებისგან; ქუდი – 10-50 სმ დიამეტრის და 1-3 სმ სისქის, სხვადასხვა ფერის რადიალური ზონებით, ჩალისფრიდან მუქ ყავისფრამდე; გლუვი, ხავერდოვანი, ტალღოვანკიდიანი; მთლიანი ნაყოფსხეული – 50-150 სმ დიამეტრის და 50-90 სმ სიმაღლის, წონა – 10-50 კგ.

ჰიმენოფორი – მილნაირი, ძალიან წვრილფორიანი, მჭიდროდ განლაგებული, 3-5 მილაკი 1 მილიმეტრზე, შეუიარაღებელი თვალით თითქმის შეუმჩნეველი, ქმნის ერთგვაროვან მასას, კრემისფერი, თითის დაჭერისას მუქდება.

სპორები – ელიფსური, გლუვი, ერთი ცხიმოვანი წვეთით; 5-6.5 x 4.5-6 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ხორცოვანი, თეთრი; გამოსატული სუნის გარეშე; გადატეხისას სწრაფად წითლდება და თანდათან მუქდება, მოგვიანებით მაგრდება და უხეშდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ფოთლოვანი ხეების ფესვებზე, იშვიათად – წიწვოვნებზე, უმეტესად – წიფელზე.

გავრცელება – ევროპა, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში, სანამ გამაგრდება.





გაზაფხულის მანჭკვალა

Russet Toughshank

Gymnopus dryophilus

ქუდი – 3-6 სმ დიამეტრის; **ფერი:** ჰაერის ტენიანობიდან გამომდინარე, ფერს იცვლის ჩალისფრიდან მუქ ყავისფერ-მოყვითალომდე, ცენტრისკენ უფრო მუქი შეფერილობის; **ფორმა:** თავიდან – მრგვლად ამობურცული, შემდეგ – ბრტყლად გაშლილი; **ტექსტურა:** თხელხორცოვანი, წყლიანი (ჰიგროფანული), გლუვი; **კიდე:** თხელი, თავიდან – სწორი, შემდეგ – ტალღოვანი

ფეხი – 4-8 x 0.2-0.5 სმ; **ფერი:** ქუდისფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ ძირისკენ ოდნავ გამსხვილებული; **ტექსტურა:** გლუვი, ბოჭკოვან-ხრტილოვანი, ფუყე, ზოგჯერ ძირში შებუსხილი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თხელი, ფეხთან შეზრდილი, მოთეთრო

სპორები – მსხლისებრი, გლუვი; 5-6 x 2-3 მკმ; ანაბეჭდი – კრემისფერი

რბილობი – თხელხორცოვანი, მოთეთრო, მყიფე, გამოხატული სუნის გარეშე

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით დამპალ ხეებზე, ჩამონაცვენზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა მხოლოდ ქუდი, ფეხი უხეში აქვს.

მსგავსი სახეობები – გაზაფხულის მანჭკვალა შეიძლება აგვერიოს ჯიმლაში (*Marasmius oreades*), რომელსაც, გაზაფხულის მანჭკვალასგან განსხვავებით, უფრო განიერი და მეჩხერი ფირფიტები აქვს. ჯიმლა, ძირითადად, მდელოებზე და ღია ადგილებში იზრდება.





თითისტარა კოლიბია

Spindle Toughshank

Gymnopus fusipes

ქუდი – 4-8 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოწითალო-მურა, წაბლისფერი, შემდეგ – უფრო ღია ფერის, მურა ლაქებით; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, ცენტრში განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** გლუვი, მშრალი, ნესტიან ამინდში – პრიალა, ნებოვანი; გვალვების დროს – რადიალურად დახეთქილი; **კიდე:** ტალღოვანი, ოდნავ დაბოლილი, ზოგჯერ დახეთქილი

ფეხი – 8-12 x 1-2 სმ; **ფერი:** ჩალისფერი, ქუდისკენ უფრო ღია ფერის, ძირისკენ მურა; **ფორმა:** თითისტარისებრი, ძირისკენ ფესვისებრი წაგრძელებული, ღრმად ჩამჯდარი სუბსტრატში; **ტექსტურა:** ხრტილოვანი, გლუვი, ბოჭკოვანი, დაგრეხილი, თავიდან – სავსე, შემდეგ – ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – განიერი, მეჩხერი, ნაწილობრივ შებრდილი ფეხთან, კრემისფერი, მოგვიანებით – მურა ლაქებით

სპორები – ელიფსური, გლუვი; 4-6 x 3-4.5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – ხორცოვანი, თეთრი, უხეში; გამოხატული სუნის გარეშე; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ჯგუფებად როგორც ცოცხალ, ისე გამხმარ ფოთლოვან ხეებზე, ჯირკვებზე, ფესვებზე, ძირითადად, მუხასა და წიფელზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა მხოლოდ ქუდი, ფეხი უხეში აქვს.





მურყნისძირა

Alder Bolete

Gyrodon lividus

ქუდი – 3-12 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მოყავისფრო, ჩალისფერი; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, შუაში ოდნავ ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** მშრალი, ხორცოვანი, ხავერდოვანი, ნესტიან ამინდში ლორწოვან-ნებოვანი; **კიდე:** თხელხორცოვანი, თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, უსწორმასწორო, ტალღოვანი

ფეხი – 3-5 x 2.5 სმ; **ფერი:** ქუდისფერი, ძირისკენ უფრო მუქი, მურა ლაქებით; **ფორმა:** ცილინდრული, მკვეთრად არ არის გამოკვეთილი ქუდისგან, ძირისკენ ოდნავ ვიწრო; **ტექსტურა:** ბოჭკოვანი, მშრალი

ჰიმენოფორი – მილნაირი, ფორები ლაბირინთისებრი, ფეხზე შეზრდილი, დაღმავალი, ყვითელი, თითის დაჭერისას ხდება მომწვანო-მოლურჯო, რომელიც თანდათან ხუნდება, ჰიმენიალური შრე თხელი – 5 მმ. სისქის

სპორები – მომრგვალო-ელიფსური, გლუვი; 4-6.5 x 3-5 მკმ; ანაბეჭდი მოყავისფრო

რბილობი – მკვრივი, ხორცოვანი, ქუდში – ღია მოყვითალო, უსუნო; გადატეხისას ოდნავ ლურჯდება. ფეხში – მოყავისფრო და გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე მურყნარებში, მიკორიზას ქმნის მურყანთან. გვხვდება იშვიათად.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ იმის გამო, რომ იშვიათი სახეობაა, შეგროვება არ არის რეკომენდებული.





ლორის სოკო

Brown Roll Rim

Paxillus involutus

ქუდი – 10-15 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მურა-მონაცრისფრო; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ძაბრისებრი, ჩაზნექილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, ნორჩობაში – ქეჩისებრი, შემდეგ – გლუვი, ნესტიან ამინდში – ნებოვანი და პრიალა; **კიდე:** ღრმად შეკეცილი, ქეჩისებრ შებუსხვილი, დაღარულხოლიანი

ფეხი – 5-8 x 1-3 სმ; **ფერი:** ქუდისფერი ან ოდნავ უფრო ღია; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ ექსცენტრული, ძირისკენ ოდნავ ვიწრო; **ტექსტურა:** გლუვი, მყარი, ამოვსებული

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, განიერი, დატოტვილი, დაღმავალი, ფეხთან ქმნის ბადისებრ ორნამენტს; მურა ყვითელი; თითის დაჭერისას მუქდება.

სპორები – ელიფსური, გლუვი; 8-10 x 4.5-6 მკმ; ანაბეჭდი – მურა

რბილობი – რბილი, ფაშარი, მოყვითალო, უსუნო, გადატეხისას მუქდება.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ტენიან ნიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ზოგჯერ ხავსიანი ხეების ძირზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – მომაკვდინებლად შხამიანია. სოკოს რამდენჯერმე მიღება არ იწვევს მონამვლის სიმპტომებს, მაგრამ ტოქსიკური ნივთიერებები ორგანიზმში თანდათან გროვდება და მორიგი მიღების შემდეგ, დაახლოებით, სამ საათში ვლინდება შემდეგი სიმპტომები: ძლიერი სპაზმური ტკივილები მუცლის არეში, ღებინება, ფაღარათი, სისუსტე, კიდურების გაციება და ტკივილი წელის არეში. მძიმე შემთხვევებში ვითარდება თირკმლის უკმარისობა.





ქვეყნის გული (სადამბელია, მუცელგვრემია)

Stinkhorn

Phallus impudicus

ნაყოფსხეული – თავიდან – მომრგვალო-კვერცხისებრი, 5-6 სმ დიამეტრის, დაფარული ორი გარსით, გარეთა გარსი მოთეთრო-მონაცრისფროა, შიგნითა კი – მომწვანო-ლორწოვანი, ძირში – ფესვისებური, მიცელიუმის ძაფებით. ამ სტადიაში სოკო რამდენიმე კვირაა გაჩერებული. შემდეგ, კვერცხი სკდება და იქიდან ამოიზრდება 20 სმ სიმაღლის და 4-6 სმ დიამეტრის მოთეთრო მოყვითალო ცილინდრული ფეხი, თავში ქუდისებრი ნარმონაქმნით. ფეხი ღრუბლისებრი, ფაშარი და ღრუიანია, ძირში ვოლვისებრი ნარჩენებით. ქუდი ზარისებრია, 4-5 სმ სიმაღლის, მოთეთროდან ზეთისხილისფრამდე, ფიჭისებრი ზედაპირით, რომელიც დაფარულია მურა-მომწვანო ლორწოთი. ქუდი წვერზე იხსნება თეთრი დისკოსებრი ნასვრეტით. ლორწო სავსეა სპორებით და ახასიათებს მძორის ძლიერი სუნი, რის გამოც იზიდავს ბუზებს, რომლებიც შემდეგ ავრცელებენ მის სპორებს. კვერცხის სტადიაში ახასიათებს ბოლოკის სუნი.

სპორები – მოგრძო-ელიფსური, გლუვი; 3-4 x 1-1.5 მკმ.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ბაღებსა და მინდვრებში, ფოთლოვან ტყეში, განსაკუთრებით წიფლნარში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – კვერცხისებრ სტადიაში იჭმევა. ძველად საქართველოში, კერძოდ, ფშავში, ქვეყნის გულს გადააცლიდნენ კანს და უმად ჭამდნენ. ქვეყნის გულს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში იყენებენ ხალხურ მედიცინაში, გულის სამკურნალოდ, შიშებისას და ანთებისას.





მანჭკვალა (მანჭკორა, მანჭკვარაი, მუნჭკურა, მაჭუნკალა, მაჭკუნარა, მაჭკვინარა)

Honey Fungus

Armillaria mellea

ქუდი – 3-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** შეფერილობა იცვლება მოყავისფრო-თაფლისფრიდან მომწვანო-ყავისფრამდე; **ფორმა:** თავიდან – ამოზნექილ-ამობურცული, შემდეგ – ბრტყლად გაშლილი, ზოგჯერ დამახასიათებელი ბორცვაკით; **ტექსტურა:** მოყვითალო-მურა ქერცლით დაფარული ზედაპირით; მოგვიანებით ქერცლი ქრება; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი, ოდნავ დაღარულზოლიანი

ფეხი – 7-14 x 1-2 სმ; **ფერი:** ღია მოყვითალო-მოყავისფრო, ძირისკენ უფრო მუქი ელფერით; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ ძირისკენ ოდნავ გაფართოებული, ხშირად ძირში ერთმანეთთან შეზრდილი; **ტექსტურა:** მკვრივი, მთლიანი, ბამბისებრი ქერცლით დაფარული ზედაპირით; **საყელო/ვოლვა:** საყელო – ფეხის ზედა ნაწილში, თითქმის ქუდის ქვეშ – თეთრი, მოყვითალო ქეჩისებრი კიდეით; ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მოთეთრო, შემდეგ – მოვარდისფრო-მოყავისფრო, ფეხთან შეზრდილი, ოდნავ დაღმავალი

სპორები – ელიფსური, გლუვი; 7-8.5 x 6-7.5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მკვრივი, მოთეთრო; ახასიათებს სასიამოვნო სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება როგორც ზაფხულში და შემოდგომაზე, ასევე ზამთარშიც – პირველ ყინვებამდე, უმეტესად – ნესტიან ადგილებში, ჯგუფებად როგორც ცოცხალ, ასევე დამპალ ხეებზე, ბალებსა და პარკებში, ვენახებში; ხშირად გვხვდება კუნძებსა და მორებზე, ხექცეულებზე, ხეებისა და ბუჩქების ფესვებზე.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – მანჭკვალა შეიძლება აგვერიოს მანჭკვალას მატყუარაში (*Hypholoma fasciculare*) და ტყუბლა სოკოში (*Desarmillaria tabescens*). მათგან განსხვავებით, ნამდვილ მანჭკვალას ფეხზე აქვს საყელო.





ტყუბლა სოკო

Ringless Honey Fungus

Desarmillaria tabescens

ქუდი – 3-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყავისფრო-მოწითალო, მოყავისფრო ჩალისფერი; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** მშრალი, მუქი ქერცლით, ხავერდოვანი; **კიდე:** ტალღოვანი

ფეხი – 7-20 x 0.5-1.5 სმ; **ფერი:** ქუდის მხარეს – მოთეთრო, ქვევით – მოყვითალო-მოყავისფრო; **ფორმა:** ცილინდრული, მოღუნული, ძირში შებრდილი; **ტექსტურა:** გლუვი, ბოჭკოვანი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ფეხთან შებრდილი, ოდნავ დაღმავალი, თავიდან თეთრი, შემდეგ – მოვარდისფრო

სპორები – ელიფსური, გლუვი; 6-8 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – კრემისფერი

რბილობი – მოთეთრო, დამახასიათებელი სუნის გარეშე

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ჯგუფებად როგორც ცოცხალ, ასევე, დამპალ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით მუხაზე.

გავრცელება – ევროპა, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ტყუბლა სოკო შეიძლება აგვერიოს მანჭკვალაში (*Armillaria mellea*). მანჭკვალასგან განსხვავებით, მას არ აქვს საყელო.





ზამთრის სოკო

Velvet Shank

Flammulina velutipes

ქუდი – 2-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო, ცენტრისკენ – მოყავისფრო; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი; **ტექსტურა:** გლუვი, ლორწოვან-ნებოვანი; **კიდე:** შეკეცილი, გლუვი, შემდეგ – გაშლილი, დაღარულბოლიანი

ფეხი – 4-9 x 0.5-1 სმ; **ფერი:** ქუდისკენ – მოყვითალო, ძირისკენ – მურა-მოყავისფრო; **ფორმა:** ცილინდრული, მოღუნული, ძირში დავიწროებული; **ტექსტურა:** ხავერდოვანი, ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეჩხერი, განიერი, ფეხთან შებრდილი, მოთეთრო-ჩალისფერი

სპორები – მოგრძო-ელიფსური, გლუვი; 6-9 x 3-5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მოთეთრო-მოყვითალო, დამახასიათებელი სუნის გარეშე

ჰაბიტატი – იზრდება ჯგუფებად გვიან შემოდგომიდან ზოგჯერ მთელი ზამთრის განმავლობაში როგორც ცოცხალ, ისე დამპალ ფოთლოვან ხეებზე, უშეტესად – ვერხვსა და ტირიფზე.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ზამთრის სოკო იშვიათად შეიძლება აგვერიოს მომაკვდინებლად შხამიან არშიან გალერინაში (*Galerina marginata*). უნდა გვახსოვდეს: ზამთრის სოკოს ქუდი ლორწოვანია და პრიალებს, არშიანი გალერინასი კი მშრალი და გლუვია; ზამთრის სოკოს ფეხი ყოველთვის ხავერდოვანია, არშიანი გალერინას ფეხი კი არასდროსაა ხავერდოვანი.





მაჩალო

Branching Oyster

Pleurotus cornucopiae

ქუდი – 4-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო, მკრთალი მონაცრისფრო-მურა; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ძაბრისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მშრალი, გლუვი; **კიდე:** შეკეცილი, შემდეგ – მეტ-ნაკლებად გაშლილი, ტალღოვანი, ზოგჯერ დანაკვეთილი

ფეხი – 2-8 x 1-2 სმ; **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** კარგად გამოკვეთილი, ცილინდრული, ექსცენტრული ან ცენტრალური, ზოგჯერ ერთმანეთთან შეზრდილი, მკვეთრი საზღვარი ფეხსა და ქუდს შორის არ არის; **ტექსტურა:** მკვრივი, სადა, ბოჭკოვანი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეტ-ნაკლებად მეჩხერი, სქელი, ფეხზე დადამავალი თითქმის ძირამდე, მოთეთრო-კრემისფერი

სპორები – მოგრძო-ელიფსური, გლუვი; 8-11 x 3.5-5 მკმ; ანაბეჭდი – მოთეთრო-კრემისფერი

რბილობი – მკვრივი, ხორცოვანი, მოთეთრო, მოგვიანებით – უხეში; ახასიათებს ფქვილის სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით ხმელ და დამბალ ფოთლოვან ხეებზე, ხექვეულებზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – მაჩალო შეიძლება აგვერიოს ხეთამხალში (*Pleurotus ostreatus*), რომლისგანაც განსხვავდება ღია შეფერილობით, შედარებით უფრო მცირე ზომით და მოგრძო ფეხით.





სტეპის ხეთამხალი

King Oyster

Pleurotus eryngii

ქუდი – 4-8 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო-ყავისფერი; **ფორმა:** თავიდან – მრგვლად ამობურცული, განიერი ბორცვაკით, შემდეგ – ბრტყლად ამოზნექილი, შუაში ოდნავ ჩაზნექილი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, ცენტრში ოდნავ ბოჭკოვან-ქერცლოვანი; **კიდე:** ყოველთვის შეკეცილი

ფეხი – 3-5 x 1-2.5 სმ; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** ცენტრალური ან ექსცენტრული, ცილინდრული, ძირში გამსხვილებული, გურზისებრი; **ტექსტურა:** სქელხორცოვანი, გლუვი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეთ-ნაკლებად მეჩხერი, განიერი, ფეხზე დადმავალი, ზოგჯერ ტალღოვანი, თეთრი, მოვარდისფრო ელფერით

სპორები – წაგრძელებულ-ელიფსური, 10-14 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – კრემისფერი

რბილობი – სქელხორცოვანი, მკვრივი, მოთეთრო, უსუნო

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჯგუფებად, ქოლგოსნების ფესვებსა და ღეროებზე, უმეტესად ლურჯ ნარზე, სტეპებში, უდაბნოში, ნახევარუდაბნოში, საძოვრებზე.

გავრცელება – ევროპა, აზია

გამოყენება – იჭმევა.





ხეთამხალი (კალმახა, კალმახა ზოკო, ტყუბელა, ნიფლის სოკო, ნიფრაჲ ტყუბულ, ხის სოკო)

Oyster Mushroom

Pleurotus ostreatus

ქუდი – 5-25 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო-კრემისფერი-მურა, მოყავისფრო-მონაცრისფრო; **ფორმა:** ნიჟარისებრი, მარაოსებრი ან ენისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, აბრეშუმისებრი; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი

ფეხი – 1-4 x 0.5-2 სმ; **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** რუდიმენტული, გვერდითი, ცილინდრული; **ტექსტურა:** მკვრივი, ხორცოვანი, გლუვი, ძირში ქერისებრი ზედაპირით

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეტ-ნაკლებად ხშირი, დაღმავალი, თავიდან – მოთეთრო, მოგვიანებით – მონაცრისფრო ელფერით

სპორები – ელიფსური, გლუვი; 7-11 x 3-4 მკმ; ანაბეჭდი – მოთეთრო-მოვარდისფრო

რბილობი – ხორცოვანი, მოთეთრო; ახასიათებს სასიამოვნო სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ჯგუფებად, გამხმარ და დამპალ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით – ნიფელზე; ძალიან იშვიათად გვხვდება წინვოვან ხეებზე.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ხეთამხალი შეიძლება აგვერიოს მაჩალოში (*Pleurotus cornucopiae*), რომელიც ხეთამხალისგან განსხვავდება ქუდის ღია შეფერილობით, შედარებით უფრო მცირე ზომითა და საკმაოდ გრძელი ფეხით.





აბრეშუმისებრი ვოლვარიელა

Silky Rosegill

Volvariella bombycina

ქუდი – 8-20 სმ დიამეტრის; **ფერი:** თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოყვი-თალო; **ფორმა:** თავიდან – კვერცხისებრი, შემდეგ – ზარისებრი, ნახევრად გაშლილი, განიერი ბორცვაკით; **ტექსტურა:** მშრალი, სქელ-ხორცოვანი, ხშირი აბრეშუმისებრი ბუსუსებით, მბზინავი; **კიდე:** დაშვებული, სწორი, ბუსუსიანი

ფეხი – 8-15 x 1-2 სმ; **ფერი:** თეთრი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირში თანაბრად გაგანიერებული, ზოგჯერ – მოგრეხილი; **ტექსტურა:** აბრეშუმისებრ-ბოჭკოვანი, მკვრივი, შევსებული; **საყელო/ვოლვა:** საყელოს გარეშე; ვოლვა – განიერი, ჭუჭყისფერ-თეთრი, თავისუფალი, უსწორმასწორო კიდით

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თხელი, ფეხთან თავისუფალი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოვარდისფრო

სპორები – ოვალური, გლუვი; 7-10 x 4.5-6 მკმ; ანაბეჭდი – ვარდისფერი

რბილობი – თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოყვითალო, უსუნო; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ცალკეულ ეგზემპლარებად როგორც ცოცხალ, ისე გამხმარ ფოთლოვან ხეებზე, ხშირად – ფულუროებში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა, მაგრამ იმის გამო, რომ იშვიათი სახეობაა, შეგროვება არ არის რეკომენდებული.





ძერანა (ძერა, ჟორის სოკო, ჟორო ზოკო, ძერიკა, ძერო)

Dryad's Saddle

Cerioporus squamosus

ქუდი – 10-40 სმ დიამეტრის, 1-4 სმ სისქის; **ფერი**: ჩალისფერი; **ფორმა**: თავიდან – ამობურცულ-ძაბრისებრი, ჩაღრმავებული, შემდეგ – გაშლილი, ბრტყელი, მარაოსებრი; **ტექსტურა**: ხორცოვანი, ზემოდან დაფარული მოყავისფრო კონცენტრულად განლაგებული მსხვილი ქერცლით; **კიდე**: შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი, თხელი

ფეხი – 2-6.5 x 1-3.5 სმ; **ფერი**: ჩალისფერი, ძირში – მურა; **ფორმა**: მოკლე, ძირითადად, გვერდული, ასიმეტრიული, იშვიათად, ცენტრალური, ძირში – გაგანიერებული; **ტექსტურა**: ქერცლოვანი, ბადისებრი ორნამენტით

ჰიმენოფორი – მილნაირი, მსხვილკუთხოვანი, ფორები დაღმავალი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – მოყვითალო

სპორები – ნაგრძელებულ-ელიფსური, გლუვი; 10-14 x 4-5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, თავიდან – ხორცოვანი, შემდეგ – მაგარი, კორპისებრი; ახასიათებს ფქვილის სუნი, ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან შემოდგომამდე როგორც ცოცხალ, ისე ხმელ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით წიფელზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში, სანამ რბილობი გამაგრდება. ზოგჯერ კორპისებრ ნაყოფსხეულებს აქუცმაცებენ და იყენებენ წვნიანებში.





აბედის სოკო (ბაბერა სოკო, ვანესა, კვეჟო, ჰობელიაჟ)

Hoof Fungus

Fomes fomentarius

ნაყოფსხეული – 5 – 45 სმ დიამეტრის, თავიდან – მომრგვალო, შემდეგ – ჩლიქისებრი, თაროსებრი, ფეხის გარეშე, ღია კრემისფრიდან მუქ ნაცრისფრამდე, მუქი კონცენტრული ზოლებით

ჰიმენოფორი – მილნაირი, თავიდან – კრემისფერი, მოგვიანებით – მოყავისფრო, თითის დაჭრისას მუქდება.

რბილობი – მკვრივი, რბილი, კორპისებრი, გადანაჭერზე – ხავერდოვანი, მუქი ჟანგისფერ-ყავისფერი

სპორები – მოგრძო, უფერული, 14-22 x 5-6 მკმ; ანაბეჭდი – მოთეთრო

ჰაბიტატი – იზრდება წელიწადის ნებისმიერ დროს როგორც ცოცხალ, ისე გამხმარ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით ხეჭეულებზე, წიფელსა და არყზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – არ იჭმევა. ძველად მისგან ამზადებდნენ აბედს. ამისთვის შიგთავსს კარგად მოხარშავდნენ, მზეზე გააშრობდნენ და დაანაკუნებდნენ. ცეცხლის დანთებისას აბედის სოკოს ნაკუნს მჭიდროდ დაადებენ ფოლადის ნაჭერს – კვესს და ჩამოართყამენ ტალს, იგივე კაჟს (მაგარი ქანის შედგენილობის ქვას). კაჟზე რკინის ჩამორტყმისას გაყრილი ნაპერწკლები აბედს შეეყრება და რამდენიმე ასეთი ჩამორტყმის შემდეგ წაეკიდება უალო ცეცხლი, რომელიც საკმარისია დიდი ცეცხლის ასანთებად. აბედის შიგთავსს იყენებდნენ სისხლდენის შესაჩერებლადაც. მისგან დღესაც ამზადებენ სხვადასხვა სახის სუვენირებს, ქუდებს, ჩანთებს და სხვ.





ყვითელი აბედა

Chicken Of The Woods

Laetiporus sulphureus

ნაყოფსხეული – 10-45 სმ დიამეტრის, 4-7 სმ სისქის; ხორცოვანი, ნარინჯისფერ-ყვითელი, კიდეისკენ უფრო ღია ფერის, ფეხის გარეშე, მარაოსებრი, თაროსებრი, ოდნავ ხავერდოვანი დაჭმუჭულ-ტალღოვანი ზედაპირით; ნაყოფსხეულები ფენებადაა განვითარებული და ერთმანეთთან ძირშია შეზრდილი.

ჰიმენოფორი – მილნაირი, წვრილი, მომრგვალო ფორებით, ღია ყვითელი; ნორჩობაში გამოყოფს მოყვითალო წვეთებს.

რბილობი – თავიდან – ხორცოვანი, რბილი, მოყვითალო, შემდეგ – კორპისებრი, მტვრევადი; ახასიათებს თავიდან ლიმონის სუნი, შემდეგ – უსიამოვნო სუნი.

სპორები – მოგრძო, გლუვი; 14-22 x 5-6 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან შემოდგომამდე როგორც ცოცხალ, ისე გამხმარ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით – ხექცეულებზე. იწვევს მერქნის ლჰობას. გვხვდება ხეხილზეც.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა მხოლოდ ფოთლოვან ხეებზე ზრდადი სახეობები ნორჩობაში, გამაგრებამდე.

მსგავსი სახეობები – თითქმის შეუძლებელია ყვითელი აბედას გარჩევა წინვოვნების ყვითელი აბედასგან (*Laetiporus conifericola*). ზოგიერთი მიკოლოგი მათ ერთსა და იმავე სახეობად მიიჩნევს. მთავარი განმასხვავებელია პატრონმცენარე. წინვოვნების ყვითელი აბედა გვხვდება მხოლოდ წინვოვნებზე. მისი საკვებად გამოყენება არ არის რეკომენდებული, რადგან, შესაძლოა, გამოიწვიოს მცირედი ინტოქსიკაცია.





ყველის სოკო (კაციყურა)

Hairy Oyster Mushroom

Panus rudis

ქუდი – 2-8 სმ დიამეტრის; **ფერი:** ღია მოყავისფრო-ჩალისფერი, მომატებული ტენიანობისას მოიისფრო ელფერი; **ფორმა:** ნიჟარისებრი, ყურისებრი ან ძაბრისებრი; **ტექსტურა:** მკვრივი, ხშირი ჯაგრისებრი ბენვით დაფარული ზედაპირით, ნორჩობაში – რბილი, შემდეგ – უხეში, მაგარი, მტვრევადი; **კიდე:** შეკეცილი, ტალღოვანი

ფეხი – 2-3 x 1-2 სმ; **ფერი:** ქუდისფერი; **ფორმა:** ექსცენტრული, ძირისკენ ოდნავ გამსხვილებული; **ტექსტურა:** მშრალი, მაგარი, ჯაგრისებრი ზედაპირით

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, დაღმავალი, მოთეთრო ან ღია მოყვითალო-მოვარდისფრო

სპორები – ელიფსური, გლუვი; 4.5-6.5 x 2.5-4 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მოთეთრო, მაგარი, უსუნო; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან შემოდგომამდე ნესტიან ტყეში ხშირად ჯგუფებად, გამხმარ და დამპალ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით რცხილასა და წიფელზე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა ნორჩობაში, გამაგრებამდე. გამხმარსა და დაქულს იყენებენ ყველის ამოყვანისას.





მგლის სოკო

Glistening Inkcap

Coprinellus micaceus

ქუდი – 3-6 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-მოყავისფრო, თაფლისფერი, მოგვიანებით ფერმკრთალდება, განსაკუთრებით კიდეებში, მონაცრისფრო ელფერით; **ფორმა:** თავიდან – მოგრძო კვერცხისებრი, შემდეგ – ზარისებრი, გაშლილი; **ტექსტურა:** თხელხორცოვანი, მყიფე; **ზედაპირი** – რადიალურად დაზოლილი, დაფარული მბზინავი ქერცლით, რომელიც მოგვიანებით ქრება; **კიდე:** თხელი, თავიდან – სწორი, მოგვიანებით – ბოჭკოვან-ზოლიანი, დაფლეთილი, აპრეხილი

ფეხი – 3-9 x 0.2-0.5 სმ; **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, თანაბარი; **ტექსტურა:** აბრეშუმისებრ-ბოჭკოვანი, მყიფე, ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თხელი, ფეხთან შეზრდილი; თავიდან – მოთეთრო, შემდეგ – მოშავო, თეთრი კიდეებით, ბოლოს შავდება და ნაწილობრივ გარდაიქმნება შავი ფერის თხევად მასად (ხდება ავტოლიზი).

სპორები – გლუვი, ელიფსური; 7-10 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – შავი

რბილობი – თხელი, მოთეთრო-მოჩალისფრო, უსუნო

ჰაბიტატი – იზრდება წელიწადის ნებისმიერ დროს ჯგუფებად, დამპალ ხეებსა და ხეცეულებზე, ასევე, მათთან ახლოს, ნაკელიან და რუდერალურ ადგილებში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა მხოლოდ ნორჩობაში, სანამ სიშავე შეეპარება. აუცილებელია სოკოს გამოყენება შეგროვებისთანავე. ალკოჰოლთან ერთად მისი მიღება იწვევს ინტოქსიკაციას. მიღებიდან 20-40 წუთის შემდეგ მონამულუს სახე უწითლდება, ცხვირის წვერი და ყურის ბიბილოები კი უფერულდება, სხეულის ტემპერატურა მატულობს, ჩნდება წყურვილის ძლიერი გრძნობა, იწყება გულისრევა და ფაღარათი, მაჯისცემა ჩქარდება, ავადმყოფს უძნელდება ლაპარაკი, უქვეითდება მხედველობა. გარკვეული დროის შემდეგ ყველა ეს სიმპტომი გაივლის, მაგრამ თუ მონამული მეორე დღეს ალკოჰოლს ისევ მიიღებს, მონამულის ნიშნები განმეორდება. ამ თვისების გამო მგლის სოკოს იყენებენ ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ.





სილიო (გელნის სოკო, სილის სოკო, ქვიშანყური)

Common Inkcap

Coprinopsis atramentaria

ქუდი – 3-10 სმ; **ფერი:** მონაცრისფრო-მოყავისფრო, ვერცხლისფერი, ცენტრისკენ უფრო მუქი; **ფორმა:** თავიდან – კვერცხისებრი, ამობურცული, შემდეგ – ზარისებრი; **ტექსტურა:** მშრალი, გლუვი, დაჭმუჭნული, აბრეშუმისებრი, სიგრძივ-ბოჭკოვანი, ცენტრისკენ მურა ქერცლით; **კიდე:** თავიდან – დაშვებული, შემდეგ – აპრეხილი, დახეთქილი

ფეხი – 8-18 x 1-2 სმ; **ფერი:** მოთეთრო, ძირისკენ უფრო მურა; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ – თითისტარისებრი, ზოგჯერ – მოგრეხილი; **ტექსტურა:** გლუვი, მყიფე, ბოჭკოვანი, ფუყე; **საყელო/ვოლვა:** საყელო – თავიდან მოთეთრო, რომელიც სწრაფად ქრება და ზოგჯერ ფეხის ქვედა ნაწილში რჩება ერთგვარი თეთრი ნაჭდევი. ვოლვის გარეშე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, განიერი, თავიდან მოთეთრო, შემდეგ მუქდება, ბოლოს შავდება და გარდაიქმნება შავი ფერის თხევად მასად (ხდება ავტოლიზი).

სპორები – ელიფსური, გლუვი; 6-10 x 4-6 მკმ; ანაბეჭდი – შავი

რბილობი – თხელი, მოთეთრო, უსუნო; მალევე მუქდება და შავდება.

ჰაბიტატი – იზრდება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნიადაგზე, საძოვრებსა და მინდვრებში, ნაკელიან ნიადაგზე, დამპალ ფოთლოვან ხეებსა და ხეცეულებზე, ასევე მათ ახლოს.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა მხოლოდ ნორჩობაში, სანამ სიშავე შეეპარება. აუცილებელია სოკოს გამოყენება შეგროვებისთანავე. ალკოჰოლთან ერთად მისი მიღება იწვევს ინტოქსიკაციას. მიღებიდან 20-40 წუთის შემდეგ მოწამლულს სახე უნითლდება, ცხვირის წვერი და ყურის ბიბილოები კი უფერულდება, სხეულის ტემპერატურა მატულობს, ჩნდება წყურვილის ძლიერი გრძნობა, იწყება გულისრევა და ფაღარათი, მაჯისცემა ჩქარდება, ავადმყოფს უძნელდება ლაპარაკი, უქვეითდება მხედველობა. გარკვეული ხნის შემდეგ ყველა ეს სიმპტომი გაივლის, მაგრამ თუ მოწამლული მეორე დღეს ალკოჰოლს ისევ მიიღებს, მოწამვლის ნიშნები განმეორდება. ამ თვისების გამო სილიოს იყენებენ ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ.





ნარინჯისფერი რძიანა

Orange Milkcap

Lactarius aurantiacus

ქუდი – 2-6 სმ დიამეტრის; **ფერი:** ჟანგისფერ-მონითალო-ნარინჯისფერი; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, ძაბრისებრი, ოდნავ ჩაღრმავებული, შუაში პატარა ბორცვაკით; **ტექსტურა:** სადა, ხავერდოვანი, კონცენტრული ხაზების გარეშე; **კიდე:** თხელი, თავიდან შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, აწეული, ტალღოვანი

ფეხი – 3-6 x 1-1.5 სმ; **ფერი:** ქუდისფერი ან ოდნავ ღია; **ფორმა:** ცილინდრული, თანაბარი, ზოგჯერ ძირისკენ დავინროებული; **ტექსტურა:** გლუვი, მაგარი, ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – თხელი, ფეხთან შეზრდილი, მოთეთრო-მონაცრისფრო, შემდეგ – მოყავისფრო

სპორები – სფეროსებრი, ორნამენტებით; 8 x 9 მკმ დიამეტრის; ანაბეჭდი – მოთეთრო-მოვარდისფრო

რბილობი – თხელი, მყიფე, მოყვითალო; გადატეხისას გამოყოფს თეთრ, რძისმაგვარ არაცხარე სითხეს, რომელიც, რბილობის მსგავსად, ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, უპირატესად ნაძვნარებში.

გავრცელება – ევროპა, აზია

გამოყენება – იჭმევა.





მჟაღა (მჟაღიო, მჟაღო, ჟაღო, გუიზ)

Saffron Milkcap

Lactarius deliciosus

ქუდი – 5-17 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყვითალო-ნარინჯისფერი, ზოგჯერ – მკვეთრად გამოხატული მოლურჯო-მომწვანო ელფერით, მუქი კონცენტრული ზოლებითა და ლაქებით; **ფორმა:** სქელ-ხორცოვანი, თავდაპირველად – მრგვლად ამობურცულ-ბრტყელი, შემდეგ – გაშლილი, ძაბრისებრი, ოდნავ ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** გლუვი, ზოგჯერ – ოდნავ ხაოიანი, ხოლო ნესტიან ამინდში – წებოვანი; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი

ფეხი – 4-6 x 1-2 სმ; **ფერი:** ქუდისფერი ან ოდნავ ღია; **ფორმა:** ცილინდრული, თანაბარი, ზოგჯერ – ძირისკენ დავინროებული; **ტექსტურა:** მომრგვალო, არათანაბარი ზედაპირული ნარინჯისფერი ნაჭდევებით დაფარული, მყიფე, ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თხელი, ფეხის მიმართ ოდნავ დაღმავალი, მოყვითალო-ნარინჯისფერი; ხელის დაჭერისას მწვანდება.


სპორები – ელიფსური, ხორკლიანი; 7-9 x 6-8 მკმ; ანაბეჭდი – ყვითელი

რბილობი – ხორცოვანი, მოყვითალო-ნარინჯისფერი, მყიფე; ახასიათებს ხილის სასიამოვნო სუნე; გადატეხისას გამოყოფს ბლანტ, ნარინჯისფერ, რძისმაგვარ სითხეს, რომელიც, რბილობის მსგავსად, მონაცრისფრო-მომწვანო შეფერილობას იღებს.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ღია ადგილებში, წიწვოვან ტყეში და ტყისპირებში, უპირატესად – ფიჭვნარში.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – იჭმევა.





ნაცარა

Stumpy Milkcap

Lactarius flexuosus

ქუდი – 5-12 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო-ტყვიისფერი, ღია იისფერი უღფერით, შედარებით მუქი, წვრილი კონცენტრული ზონებით; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ძაბრისებრი, ოდნავ ჩაღრმავებული, შუაში პატარა ბორცვაკით; **ტექსტურა:** გლუვი, ხავერდოვანი, ნესტიან ამინდში პრიალა; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ანეული, უსწორმასწორო, ტალღოვანი

ფეხი – 4-8 x 1-2 სმ; **ფერი:** ქუდისფერი ან უფრო ღია; **ფორმა:** ცილინდრული, თანაბარი, ზოგჯერ – ძირისკენ დავინროებული; **ტექსტურა:** გლუვი, სიგრძივ დაღარული, თავიდან – მკვრივი, შემდეგ – ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეჩხერი, ფეხთან შეზრდილი, ხშირად დაკლაკნილი, მოყვითალო

სპორები – სფეროსებრი, ორნამენტებით; 6-8.5 x 5-6.5 მკმ; ანაბეჭდი – მოყვითალო

რბილობი – მოთეთრო, მკვრივი; გადატეხისას გამოყოფს რძისმაგვარ მოთეთრო სითხეს, რომელიც, რბილობის მსგავსად, ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, უპირატესად არყთან და ვერხვთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





არყა (არყაი, ვარყა, რძიანა სოკო, სოკოკილკილაი)

Peppery Milkcap

Lactarius piperatus

ქუდი – 6-18 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო-კრემისფერი, ზოგჯერ მოვარდისფრო ლაქებით; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ძაბრისებრ ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** გლუვი, ზოგჯერ ოდნავ ხაოიანი ზედაპირით; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი

ფეხი – 3-7 x 2-3 სმ; **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, თანაბარი, ზოგჯერ ძირისკენ დავინროებული; **ტექსტურა:** მკვრივი, გლუვი, თავიდან – სავსე, მოგვიანებით – ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თხელი, ფეხის მიმართ ოდნავ დაღმავალი, მოთეთრო-მოყვითალო ან ღია კრემისფერი, მოგვიანებით – მოყავისფრო

სპორები – სფეროსებრი, ორნამენტებით; 7-8 x 6-7 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, მკვრივი, მყიფე; გადატეხისას გამოყოფს ბლანტ, ძალიან ცხარე, რძისმაგვარ მოთეთრო სითხეს, რომელიც ერთ-ორ საათში, გაშრობისას, მოყვითალო-მომწვანო შეფერილობას იღებს.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად – ნიფონარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა თერმული დამუშავების ან დაღობის შემდეგ. ძველად, სვანეთში არყას სიბევრით საზღვრავდნენ, რამდენად თოვლიანი იქნებოდა ზამთარი.





ყვითელი კაჭიჭა

Spotted Milkcap

Lactarius scrobiculatus

ქუდი – 8-22 სმ დიამეტრის; **ფერი:** ჭუჭყიანი მოყვითალო, ზოგჯერ მურა ლაქებით; **ფორმა:** თავიდან – მრგვალად ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ძაბრისებრ ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** ქეჩისებრ შებუსვლილი, ლორწოვან-ნებოვანი; **კიდე:** შეკეცილი, შებუსვლილი

ფეხი – 4-6 x 2-4 სმ; **ფერი:** მოთეთრო-მოყვითალო; **ფორმა:** ცლინდრული, სწორი, ზოგჯერ ძირისკენ გაგანიერებული; **ტექსტურა:** მაგარი, ნებოვანი, მოჟანგისფრო, უფორმო, ლაქისებრი ნაჭდევეებით, ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხის მიმართ ოდნავ დაღმავალი, მოთეთრო, მოგვიანებით – მოვარდისფრო-მოყვითალო

სპორები – ელიფსური, ხორკლიანი, 7-8 x 6-7 მკმ; ანაბეჭედი – ჩალისფერი

რბილობი – თეთრი, მკვრივი, მყიფე; გადატეხისას გამოყოფს ცხარე, ბლანტ, რძისმაგვარ თეთრ სითხეს, რომელიც მოყვითალო-მონაცრისფრო შეფერილობას იღებს.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან ტყეში, ძირითადად, ნაძვნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა თერმული დამუშავების ან დაღობის შემდეგ, ძირითადად, მწნილის სახით.





ნაბადა

Woolly Milkcap

Lactarius torminosus

ქუდი – 5-15 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოვარდისფრო-მონითალო, მუქი კონცენტრული რგოლებით; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ძაბრისებრ ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** სქელი ქეჩისებრი ზედაპირით, ოდნავ ლორწოვან-ნებოვანი; **კიდე:** შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ქეჩისებრ შებუსვლი, ტალღოვანი

ფეხი – 4-6 x 1-2 სმ; **ფერი:** ქუდისფერი ან ოდნავ ღია; **ფორმა:** ცილინდრული; **ტექსტურა:** მაგარი, მკვრივი, გლუვი, ზოგჯერ პატარა ნაჭდევებით; თავიდან – ამოვსებული, შემდეგ – ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხის მიმართ დაღმავალი, მოთეთრო-მოვარდისფრო

სპორები – ელიფსური, ხორკლიანი ორნამენტით; 8-9 x 5-6 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მკვრივი, თეთრი, მომწარო, უსუნო; გადატეხისას გამოყოფს რძისმაგვარ მოთეთრო, მომწარო სითხეს, რომელიც ჰაერზე ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად – არყნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ჩრდ. აფრიკა

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადული წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.





სავარცხელა

Fleecy Milkcap

Lactarius vellereus

ქუდი – 5-25 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო ან ღია კრემისფერი, მოჟანგისფრო ლაქებით; **ფორმა:** თავიდან – ბრტყლად ამობურცული, შემდეგ – ძაბრისებრ ჩაღრმავებული **ტექსტურა:** სქელხორცოვანი, ბუსუსიანი, ქეჩისებრი ზედაპირით; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ანული, ტალღოვანი

ფეხი – 2-8 x 2-5 სმ; **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ ვიწრო; **ტექსტურა:** მაგარი, მკვრივი, ბუსუსიანი ზედაპირით, შიგნიდან ამოვსებული

ჰიმენოფორი – ფირფიტები – სქელი, ოდნავ მეჩხერი, ფეხის მიმართ ოდნავ დაღმავალი, კრემისფერი, მოგვიანებით – მოყავისფრო ლაქებით, მყიფე

სპორები – სფეროსებრი, წვრილხორკლიანი; 7.5-9.5 x 6.5-8.5 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თეთრი, მაგარი, მკვრივი, გადატეხისას გამოყოფს მოთეთრო, მწარე რძისმაგვარ სითხეს, რომელიც შრება მოყავისფრო ლაქებად.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ძირითადად, ფოთლოვან ტყეში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადუღი წყალი უნდა გადაიღვაროს.

მსგავსი სახეობები – სავარცხელა შეიძლება აგვერიოს არყაში (*Lactarius piperatus*), რომლის რძისებრი სითხე, სავარცხელასგან განსხვავებით, გაშრობის შემდეგ მომწვანო-მოყვითალოა.





ჭაჭკაბა (მჭადა, ჭადილო)

Fishy Milkcap

Lactarius volemus

ქუდი – 5-14 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოყავისფრო-ნარინჯისფერი, ჟანგისფერი; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, შუაში ჩალრმავებით, ზოგჯერ ძაბრისებრი; **ტექსტურა:** ხორცოვანი, მკვრივი, მშრალი, ხავერდოვანი, მოგვიანებით – შიშველი, ზოგჯერ – დახეთქილი; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – ანეული, სწორი ან ტალღოვანი

ფეხი – 6-9 x 1-2.5 სმ; **ფერი:** ქუდისფერი ან უფრო ღია; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ ვიწრო; **ტექსტურა:** მკვრივი, ხავერდოვანი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხის მიმართ ოდნავ დაღმავალი, მოთეთრო-მოყვითალო; თითის დაჭერისას უჩნდება ყავისფერი ლაქები.

სპორები – სფეროსებრი, ბადისებრი ორნამენტით; 6.5-9.5 x 5.5-9 მკმ; ანაბეჭდი – მოთეთრო

რბილობი – ხორცოვანი, მკვრივი, მოთეთრო; გადატეხისას მუქდება, გამოყოფს მოთეთრო რძისმაგვარ სითხეს, რომელიც ჰაერზე თანდათან მუქდება, სქელდება და ხდება რეზინივით წელვადი. თავიდან ახასიათებს სასიამოვნო, მოგვიანებით კი – უსიამოვნო სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, უმეტესად – მუხების ქვეშ, იშვიათად გვხვდება წიწვოვან ტყეში, ზღვის დონიდან 1200 მეტრამდე.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა თერმული დამუშავების ან დაღობის შემდეგ.





მინაყარა (წოვანა)

Lactarius zonarius

ქუდი – 5-12 სმ დიამეტრის; **ფერი**: მოყვითალო-ნარინჯისფერი, ჩალისფერი, მუქი კონცენტრული რგოლებით, შეხებისას მუქდება; **ფორმა**: თავიდან – ბრტყელი, შემდეგ – ძაბრისებრი, შუაში ჩაღრმავებული; **ტექსტურა**: გლუვი, მშრალი, ნესტიან ამინდში ლორწოვან-წებოვანი; **კიდე**: თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ტალღოვანი.

ფეხი – 2-6 x 1-2 სმ; **ფერი**: კრემისფერი; **ფორმა**: ცილინდრული; **ტექსტურა**: მაგარი, მშრალი, გლუვი, ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხის მიმართ დაღმავალი, მოთეთრო-მოყვითალო, ნესტიან ამინდში – მოყავისფრო

სპორები – სფეროსებრი, ორნამენტებით; 6.5-8.5 x 5.5-6.5 მკმ; ანაბეჭდი – ჩალისფერი

რბილობი – მკვრივი, კრემისფერი; გადატეხისას გამოყოფს მოთეთრო რძისმაგვარ მომწარო სითხეს.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, ძირითადად, მუხნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა 15-20-წუთიანი თერმული დამუშავების შემდეგ. ნადული წყალი უნდა გადაიღვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის მოშლას.





მურა სოკო (შავროხა სოკო, ჩოხიო, ჩოხაშავა)

Winecork Brittlegill

Russula adusta

ქუდი – 5-20 სმ დიამეტრის; **ფერი:** მონაცრისფრო-მურა, მოყავისფრო ელფერით; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, შუაში ჩაღრმავებით; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, ნესტიან ამინდში – ნებოვან-ლორწოვანი; **კიდე:** დაშვებული, შემდეგ – ანეული, ტალღოვანი

ფეხი – 3-6 x 2-3 სმ; **ფერი:** ქუდისფერი ან ოდნავ ღია; შეხებისას მუქდება; **ფორმა:** ცილინდრული, თანაბარი; **ტექსტურა:** მაგარი, გლუვი, შიშველი, შიგნიდან ამოვსებული

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, სხვადასხვა ზომის, ფეხის მიმართ ოდნავ დაღმავალი, ჯერ – მოთეთრო, შემდეგ – მონაცრისფრო-ჭუჭყისფერი; თითის დაჭერისას შავდება.

სპორები – ოვალური, ხორკლიანი ზედაპირით; 7-9 x 5-8 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – თავიდან – მკვრივი, მოთეთრო, გადატეხისას წითლდება, შემდეგ ხდება მონაცრისფრო, შეხებით შავდება. ახასიათებს ღვინის ცარიელი კასრისთვის დამახასიათებელი სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, ძირითადად, ფიჭვებთან, არყთან და ვერხვთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, ავსტრალია

გამოყენება – იჭმევა მხოლოდ მწნილის სახით.





მძრედიო (ძრედო, ხრახუნა)

Green Brittlegill

Russula aeruginea

ქუდი – 5-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** ღია მომწვანო-მონაცრისფრო; **ფორმა:** თავიდან – მრგვლად ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, შუაში ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, მშრალი, ნესტიან ამინდში – ლორწოვან-ნებოვანი; კანი ადვილად სძვრება ზედაპირს; **კიდე:** თავიდან – დაშვებული, გლუვი, შემდეგ – დაღარული, გაშლილი

ფეხი – 4-7 x 2-3 სმ; **ფერი:** მოთეთრო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ ვიწრო; **ტექსტურა:** გლუვი, მყიფე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თითქმის თავისუფალი, მყიფე, მოთეთრო-მოყვითალო, მოგვიანებით – შურა ლაქებით

სპორები – ელიფსური, ხორკლიანი; 6-9 x 5-7 მკმ; ანაბეჭდი – კრემის-ფერი

რბილობი – მკვრივი, თავიდან – მოთეთრო, შემდეგ – მოყვითალო, მყიფე, ბამბისებრი, უსუნო; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, უმეტესად – ნიფლნარში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





ოქროსფერი ხრაპუნა

Gilded Brittlegill

Russula aurea

ქუდი – 5-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** თავიდან – მონითალო-ყვითელი, შემდეგ – ნარინჯისფერ-ყვითელი, ოქროსფერი, ზოგჯერ აჭრელებული; **ფორმა:** თავიდან – მრგვლად ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ოდნავ ჩალრმავებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, თავიდან – ოდნავ ლორწოვან-ნებოვანი, შემდეგ – მშრალი; კანი ადვილად სძვრება ზედაპირს; **კიდე:** თავიდან – დაშვებული, გლუვი, გაშლილი, ზოგჯერ დაღარული

ფეხი – 4-7 x 1.5-2 სმ; **ფერი:** თეთრი, მოთეთრო-მოყვითალო; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ ვიწრო; **ტექსტურა:** გლუვი, შიგნიდან ბამბისებრი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თითქმის თავისუფალი, თავიდან – თეთრი, შემდეგ – ოქროსფერ-ყვითელი

სპორები – ელიფსური, ბადისებრი ორნამენტი; 8-9 x 6-7 მკმ; ანაბეჭდი – მოყვითალო

რბილობი – თავიდან – მკვრივი, შემდეგ – ბამბისებრი, თეთრი, კანქვეშ კი – მოყვითალო; უსუნო; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ბაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, ძირითადად, მუხასთან, წიფელთან და თხილთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





ღვინიო (ღვინუე)

Charcoal Burner

Russula cyanoxantha

ქუდი – 6-12 სმ დიამეტრის; **ფერი:** შუაში – მომწვანო-მონაცრისფრო, კიდეებისკენ – მონაცრისფრო-მოიისფრო-მოწითალო, ზოგჯერ მთლიანად იისფერი; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – ამობურცულ-გაშლილი, ზოგჯერ – შუაში ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, ნესტიან ამინდში ნებოვან-ლორწოვანი; **კიდე:** სწორი, გლუვი

ფეხი – 5-9 x 1-3 სმ; **ფერი:** მოთეთრო, ზოგჯერ ღია იისფერი ელფერით; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ ძირისკენ შევიწროებული; **ტექსტურა:** მყიფე, გლუვი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფართო, დრეკადი, რბილი, ფეხთან თავისუფალი, მოთეთრო

სპორები – ელიფსური, ხორკლიანი; 6.5-9 x 5.5-7 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მკვრივი, დრეკადი, მოგვიანებით – მყიფე; მოთეთრო; ფეხში – ბამბისებრი; უსუნო; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე, ნიადაგზე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეში, უპირატესად ფოთლოვანში.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, აფრიკა

გამოყენება – იჭმევა.





ცხენისკბილა (ხარისკბილა)

Milk White Brittlegill

Russula delica

ქუდი – 6-20 სმ დიამეტრის; **ფერი:** მოთეთრო ან ღია კრემისფერი, ზოგჯერ მოჟანგისფრო ელფერით; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ძაბრისებრი, შუაში ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, წვრილქეჩისებრი ან გლუვი ზედაპირით; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, აპრეხილი, ტალღოვანი, გლუვი

ფეხი – 2-4 x 1-3 სმ; **ფერი:** მოთეთრო ან ღია კრემისფერი; **ფორმა:** ცილინდრული; **ტექსტურა:** მკვრივი, გლუვი, თავიდან ამოვსებული, შემდეგ – ფუყე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან ოდნავ დაღმავალი, მყიფე; თავიდან – მოთეთრო, მოგვიანებით – მოცისფრო ელფერით

სპორები – კვერცხისებრ-ელიფსური, ხორკლიანი; 8-11 x 7-9 მკმ; ანაბეჭდი – მოთეთრო

რბილობი – მკვრივი, მოთეთრო; ახასიათებს თევზის სუსტი სუნი; გადატეხისას ფერს არ იცვლის.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში,

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.

მსგავსი სახეობები – ცხენისკბილა ვიზუალურად შეიძლება აგვერიოს არყაში (*Lactarius piperatus*) ან სავარცხელაში (*Lactarius vellereus*). ცხენისკბილასგან განსხვავებით, ორივე სახეობა გადატეხისას გამოყოფს რძისმაგვარ სითხეს.





ბლავანა (კატამყავანა, ჭლავანა)

Sickener

Russula emetica

ქუდი – 5-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** მუქი წითლიდან ღია ვარდისფრამდე, ზოგჯერ – მოთეთრო ლაქებით; **ფორმა:** თავიდან – ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, შუაში რამდენადმე ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, გლუვი, ნესტიან ამინდში წებოვან-ლორწოვანი, კანი იოლად სცილდება; **კიდე:** გლუვი, ზოგჯერ დაღარული

ფეხი – 5-8 x 1-1.5 სმ; **ფერი:** თეთრი, ზოგჯერ – მოვარდისფრო ელფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ განიერი; **ტექსტურა:** მყიფე, ბადისებრ-დანაოჭებული

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, ფეხთან შეზრდილი ან თითქმის თავისუფალი, თეთრი

სპორები – ელიფსური, ხორკლიანი; 7-10 x 6-8 მკმ; ანაბეჭდი – თეთრი

რბილობი – მყიფე, თეთრი, ძალიან ცხარე; ახასიათებს ხილის სუსტი სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ტენიან წინვოვან და ფოთლოვან ტყეებში, განსაკუთრებით – მთაში. უყვარს ჭაობიანი და ტენიანი ადგილები.

გავრცელება – ყველა კონტინენტი

გამოყენება – შხამიანია, იწვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას.





მურალი სრაშუნა

Stinking Brittlegill

Russula foetens

ქუდი – 5-15 სმ დიამეტრის; **ფერი:** მურა-ჟანგმინისფერი, კიდეებისკენ – უფრო მუქი; **ფორმა:** თავიდან – სფეროსებრი, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ – შუაში რამდენადმე ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** ხორცოვანი, ნესტიან ამინდში – ძლიერ ლორწოვანი, ადვილად სძვრება კანი; **კიდე:** თავიდან – შეკეცილი, შემდეგ – გაშლილი, ღრმად დაღარული, ზოგჯერ – დამსკდარი

ფეხი – 4-12 x 2-4 სმ; **ფერი:** მოთეთრო, თითის დაჭერით მუქდება; **ფორმა:** ცილინდრული, ზოგჯერ – ძირისკენ გაბერილი; **ტექსტურა:** გლუვი, თავიდან – მკვრივი, მოგვიანებით – მყიფე

ჰიმენოფორი – ფირფიტები – მეტ-ნაკლებად ხშირი, ფეხთან შეზრდილი, მყიფე, მოთეთრო ან კრემისფერ-ჭუჭყისფერი; გამოყოფს მოყვითალო ფერის გამჭვირვალე სითხეს, რომელიც მურა ლაქებს ტოვებს.

სპორები – ელიფსური, მსხვილხორკლიანი; 8-11.5 x 7-9 მკმ; ანაბეჭდი – კრემისფერი

რბილობი – ხორცოვანი, თეთრი; გადატეხისას ოდნავ მუქდება; თავიდან ახასიათებს ამძაღებული ზეთის სუნი, მოგვიანებით – დამპალი თევზის სუნი.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ძირითადად ფოთლოვან ტყეში. უყვარს ნესტიანი ადგილები.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა, სამხ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა მხოლოდ მწნილის სახით.





ფქვილიო

Golden Brittlegill

Russula risigallina

ქუდი – 2-8 სმ დიამეტრის; **ფერი:** მუქი ყვითელი, მოყვითალო, კიდეებისკენ მოვარდისფრო; **ფორმა:** თავიდან – მრგვლად ამობურცული, შემდეგ – გაშლილი, ზოგჯერ შუაში ჩაღრმავებული; **ტექსტურა:** თხელხორცოვანი, მშრალი, პრიალა, ნესტიან ამინდში – წებოვანი; კანი სძვრება ადვილად, თითქმის მთლიანად; **კიდე:** თავიდან – გლუვი, შემდეგ – ოდნავ დაღარული

ფეხი – 2-8 x 0.6-1 სმ; **ფერი:** თეთრი, მოგვიანებით – მოყვითალო-მონაცრისფრო ელფერით; **ფორმა:** ცილინდრული, სწორი ან ძირში ოდნავ გამსხვილებული; **ტექსტურა:** მშრალი, მყიფე, გლუვი

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თითქმის თავისუფალი, თეთრი, მოყვითალო

სპორები – კვერცხისებრი, ხორკლიანი; 7.5-9 x 6.2-8 მკმ; ანაბეჭდი – ყვითელი

რბილობი – მყიფე, თეთრი, ზოგჯერ მოყვითალო; გადატეხისას ხდება მონაცრისფრო. ახასიათებს ყვავილების სასიამოვნო სუნი და მტკნარი გემო.

ჰაბიტატი – იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე ნიადაგზე, ფოთლოვან ტყეში, უყვარს ნესტიანი ადგილები, ხშირად გვხვდება არყის ხეებთან.

გავრცელება – ევროპა, აზია, ჩრდ. ამერიკა

გამოყენება – იჭმევა.





წითელკაბა (წითლი, ჟვუხნითელა)

Rosy Brittlegill

Russula rosea

ქუდი – 5-10 სმ დიამეტრის; **ფერი:** წითელი, ცენტრში – ღია, კიდეებისკენ – უფრო მუქი, წვიმების შემდეგ – ღია ვარდისფერი; **ფორმა:** თავიდან – ნახევარსფეროსებრი, შემდეგ – გაშლილი, იშვიათად – ცენტრში ოდნავ ჩაზნექილი; **ტექსტურა:** მშრალი, ნესტიან ამინდში – ოდნავ ლორწოვანი; კანი სძვრება ძნელად; **კიდე:** თავიდან – გლუვი, შემდეგ – დაღარული

ფეხი – 4-7 x 1-2 სმ; **ფერი:** თეთრი, ძირისკენ – მოვარდისფრო ელფერი; **ფორმა:** ცილინდრული, ძირისკენ – გამსხვილებული; **ტექსტურა:** მყიფე, თავიდან – ამოვსებული, შემდეგ – კამერებით

ჰიმენოფორი – ფირფიტები – ხშირი, თითქმის თავისუფალი, მოთეთრო, მოგვიანებით – მოყვითალო; ზოგჯერ – კიდისკენ მონითალო

